



დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ჭარბ წონასა და სიმსუქნეზე
საქართველოში

ავტორი: სოფიო სკლიარენკო

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზაზა ავალიანი

თბილისი

2016

საავტორო უფლებები

სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების
ზეგავლენა ჭარბ წონასა და სიმსუქნეზე საქართველოში“

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი - სოფიო სკლიარენკო

თარიღი: 22 მარტი 2016

მადლიერების გამოხატვა

მინდა გამოვხატო ჩემი უდიდესი მადლიერება საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ყველა თანამშრომლის და პირადად სკოლის დირექტორ ქალბატონ თამარ ლობჯანიძის მიმართ. მათი თანადგომით და დახმარებით შესაძლებელი გახდა კვლევის ჩატარება და ნორვეგიელი და ამერიკელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება.

დიდი მადლობა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, რომელმაც საშუალება მომცა მქონოდა წვდომა პირველად მონაცემთა ბაზასთან და ჩამეტარებინა მათი ანალიზი.

დიდ მადლობას ვუხდით ჩემს საბჭოს წევრებს, ბატონ ვასილ ტყემელაშვილს, ბატონ ოთარ ვასაძეს, ქალბატონ ლალი ჯავაშვილს, ბატონ ოთარ გერზმავას

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ბატონ ზაზა ავალიანს

მინდა დიდი პატივისცემით გავიხსენო ბატონი რეზო თათარაძე, რომლის დახმარებით განხორციელდა აღნიშნული კვლევის დაგეგმვა.

მიმოხილვა

აღნიშნულ კვლევაში ჩატარდა მეორადი ანალიზი არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორთა კვლევის პირველადი ბაზის მონაცემთა მიხედვით. გაანალიზებულ იქნა სიმსუქნისა და ჭარბი წონის კავშირი სხვადასხვა რისკ-ფაქტორებთან - დემოგრაფია, სოციალური ფაქტორები, ქცევითი რისკ-ფაქტორები, მეკვიდრეობითობა, დაავადებების არსებობა ანამნეზში, სისხლში ბიოქიმიური მაჩვენებლების დონე.

არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორთა კვლევა ჩატარდა 2011 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ შემუშავებული მეთოდით – STEPS (WHO Step wise approach to Surveillance). აღნიშნული მეთოდი STEPS – არის სტანდარტიზებული მიდგომა, რათა მოხდეს მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და მათი გავრცელება ჯანმო-ს წევრ ქვეყნებში. აღნიშნული კვლევა ტარდება მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაშიც. იგი ეფუძნება ეფექტურ და მეცნიერულად დადასტურებულ მეთოდოლოგიას და ინსტრუმენტებს, იძლევა სარწმუნო მონაცემებს. ერთიდაიგივე სტანდარტიზებული კითხვარებისა და პროტოკოლების გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება ქვეყნის შიგნით, არამედ შედარებების გაკეთება ქვეყნებს შორის. საქართველოში აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 64 წლამდე ასაკის 6497-მა საქართველოს მოქალაქემ (მონაწილეობის მაჩვენებელი 95%). ჩვენს კვლევაში გაანალიზდა ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები სიმსუქნესა და ჭარბწონიანობასთან მიმართებაში.

ჭარბი წონა და სიმსუქნე, ერთის მხრივ, წარმოადგენს რისკ-ფაქტორს მრავალი დაავადების განვითარებისათვის (დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა, სიმსივნური დაავადებები და ა.შ). მეორეს მხრივ, არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ჭარბი წონისა და სიმსუქნის განვითარებას, მათ შორის დემოგრაფიული, სოციალური, გენეტიკური და ა.შ.

აღნიშნული კვლევის მიზანია ამ ფაქტორების ზეგავლენის განსაზღვრა სიმსუქნისა და ჭარბი წონის განვითარებაზე.

მონაცემთა დამუშავება მოხდა SPSS პროგრამის საშუალებით. მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა მარტივი T- ტესტი, მრავლობითი რეგრესიის მეთოდი, ასევე შეფარდებითი რისკის გამოთვლა. T- ტესტი გამოყენებულ იქნა ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავების დასადგენად .

მრავლობითი რეგრესიის საშუალებით მოხდა ანალიზი ფაქტორების დიდი რიცხვისათვის და განისაზღვრა მათი ზეგავლენა სხეულის მასის ინდექსის ცვლილებაზე. ასევე მოხდა იმის

განსაზღვრა, თუ რომელ დამოუკიდებელ ცვლადსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის არსებობს კორელაცია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ცვლადებს შორის.

შეფარდებითი რისკის ანალიზისას მოხდა დადგენა იმისა თუ რამდენად ზრდის ჭარბი წონა და სიმსუქნე სხვადასხვა დაავადების განვითარების რისკს.

აღნიშნულ კვლევაში გამოიყო დამოუკიდებელი ცვლადების რამდენიმე ჯგუფი. კერძოდ, დემოგრაფიული, სოციალური, ქცევითი, ფიზიკური განზომილებები, ბიოქიმიური მაჩვენებლები, დაავადებების არსებობა ანამნეზში და მემკვიდრეობაში. დამოკიდებულ ცვლადად განხილულ იქნა სხეულის მასის ინდექსი (სმი).

სხვადასხვანაირი კორელაცია გამოვლინდა სხეულის მასის ინდექსსა და აღნიშნულ ფაქტორებს შორის. მაგალითად, ასაკსა და სხეულის მასის ინდექსს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია მაშინ, როდესაც სქესი არ აღმოჩნდა სხეულის მასის ინდექსის ცვლილების განმაპირობებელი.

აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ანამნეზში დაავადებების არსებობის მიხედვით და ა.შ.

სარჩევი

შესავალი	12
თემის აქტუალობა	12
კვლევის მიზანი და ამოცანები	15
დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები	15
კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული ღირებულება	16
ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა	17
თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა	18
1.1. ჭარბი წონა და სიმსუქნე	18
1.2. სიმსუქნის მიზეზები	21
1.3. ენერჯის ბალანსი	31
1.4. სიმსუქნე და ფსიქოლოგიური პრობლემები	33
1.5. სხეულის იმიჯი	33
1.6. კვებითი დარღვევები	34
1.7. ნერვული ანორექსია	35
1.8. ნერვული ბულიმია	37
1.9. სიმსუქნე და ჯანსაღი ცხოვრების წესი	40
1.10. სიმსუქნის გავრცელება	43
1.11. სიმსუქნის გავრცელება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში	44
1.12. არაგადამდები დაავადებები საქართველოში	45
1.13. სიმსუქნის ფიზიკური შედეგები	46
1.14. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები	47
1.15. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2	48
1.16. სიმსივნური დაავადებები	48
1.17. რესპირატორული დაავადებები	49
1.18. დარღვევები ძვალ-კუნთოვანი სისტემის მხრივ	49
1.19. სიმსუქნის ეკონომიკური მახასიათებლები	50
1.20. სიმსუქნის პრევენცია	51
თავი II - კვლევის მასალები და მეთოდები	53
2.1 საქართველოში არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევის მასალები	53
2.2 სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი შესადარებელ ჯგუფებში კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით	71
2.3 სხეულის მასის ინდექსის კავშირი ფაქტორების სხვადასხვა ჯგუფთან რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით	75
თავი III - სხეულის მასის ინდექსის გავრცელებისა და დამოკიდებულების ანალიზი სტატისტიკური მეთოდების საშუალებით	77
3.1 სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელება სხვადასხვა ჯგუფში რაოდენობრივი კვლევის მარტივი ტ-ტესტის გამოყენებით	77
3.2 სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელება საკვლევ პირთა ჯგუფებში რაოდენობრივი კვლევის მარტივი ტ-ტესტის გამოყენებით (რეზიუმე)	94
თავი IV- რეგრესიული მოდელი	99
4.1 სიმსუქნისა და ჭარბი წონის კავშირი რისკ-ფაქტორთა ჯგუფებთან რეგრესიული ანალიზის საშუალებით	99
4.2 სიმსუქნისა და ჭარბი წონის კავშირი რისკ-ფაქტორთა ჯგუფებთან რეგრესიული ანალიზის საშუალებით (რეზიუმე)	115
თავი V - დაავადებათა შეფარდებითი რისკები სიმსუქნისა და ჭარბი წონის არსებობისას	121

თავი VI-დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ჭარბ წონასა და სიმსუქნეზე საქართველოში (რეზიუმე)	152
მიღებული შედეგები	154
დასკვნები	156
პრაქტიკული რეკომენდაციები	158
გამოყენებული ლიტერატურა	159
დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული შრომების სია	172
დანართი CD	172

ნაშრომში არსებული ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1- ჯანმო-ს სტანდარტების მიხედვით თემო/წელის გარშემოწერილობის მაჩვენებლები	21
ცხრილი 2 - ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით გადანაწილება	58
ცხრილი 3 - რესპოდენტთა პროცენტული განაწილება მწვევლობის, სქესის და ასაკის მიხედვით	62
ცხრილი 4- რესპოდენტების პროცენტული განაწილება საკვების მიღების სიხშირის მიხედვით მამაკაცებში	64
ცხრილი 5 -რესპოდენტების პროცენტული განაწილება საკვების მიღების სიხშირის მიხედვით ქალებში	64
ცხრილი 6 -რესპოდენტების პროცენტული განაწილება საკვების მიღების სიხშირის მიხედვით მამაკაცებსა და ქალებში	65
ცხრილი 7- გულისცემის საშუალო მაჩვენებელი სქესის და ასაკის მიხედვით	70
ცხრილი 8 - ბიოქიმიური მაჩვენებლები სქესისა და ასაკის მიხედვით	71
ცხრილი 9 - სხეულის მასის ინდექსი მწვევლობის სტატუსის მიხედვით	79
ცხრილი 10 - სხეულის მასის ინდექსი მწვევლობის სტატუსის მიხედვით (2)	79
ცხრილი 11- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით.	80
ცხრილი 12- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით (2) .	81
ცხრილი 13- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლები საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით	82
ცხრილი 14- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლები საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით(2)	83
ცხრილი 15 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ათწუთიანი ფიზიკური დატვირთვის მიხედვით	84
ცხრილი 16 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ათწუთიანი ფიზიკური დატვირთვის მიხედვით (2)	85
ცხრილი 17 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით	86
ცხრილი 18 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი სამუშაო სტატუსის მიხედვით.	87
ცხრილი 19 – სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ანამნეზში სიმსივნის არსებობის მიხედვით	89
ცხრილი 20 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ანამნეზში ინსულტის არსებობის მიხედვით	91
ცხრილი 21- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ანამნეზში ინსულტის არსებობის მიხედვით(2)	91

ცხრილი 71- სიმსივნური დაავადების განვითარების შეფარდებითი რისკის შეფასება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში (3) 150

ნაშრომში არსებული ილუსტრაციების ჩამონათვალი	
ილუსტრაცია 1- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლების განსაზღვრა	20
ილუსტრაცია 2- გრაფიკული მთვლელი სხეულის წონის კონტროლისათვის	42
ილუსტრაცია 3 – STEPS კვლევის მონაწილეები ასაკისა და სქესის მიხედვით	57
ილუსტრაცია 4- STEPS კვლევის მონაწილეების გადანაწილება ოჯახური მდგომარეობის სტატუსის მიხედვით.	59
ილუსტრაცია 5 - არასრული საშუალო განათლების მქონე პირთა პროცენტული გადანაწილება ასაკის მიხედვით	60
ილუსტრაცია 6 - მამაკაცებისა და ქალების პროცენტული გადანაწილება სამუშაო სტატუსის მიხედვით	61
ილუსტრაცია 7 - პროცენტული გადანაწილება მწველობის სტატუსის მიხედვით	62
ილუსტრაცია 8 - მამაკაცებისა და ქალების პროცენტული გადანაწილება ალკოჰოლის მოხმარების მიხედვით	63
ილუსტრაცია 9 - რესპოდენტთა პროცენტული განაწილება არტერიული წნევის გაზომვის სტატუსის, სქესის და ასაკის მიხედვით	66
ილუსტრაცია 10 - რესპოდენტთა პროცენტული განაწილება ანამნეზში სამედიცინო პერსონალის მიერ სისხლში შაქრის დონის გაზომვის სტატუსის და ასაკის მიხედვით. . .	67
ილუსტრაცია 11- ანამნეზში მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტის, ინსულტის, სიმსივნის და მომატებული ქოლესტეროლის არსებობა სქესის მიხედვით	68
ილუსტრაცია 12- მემკვიდრეობაში ჰიპერგლიკემიის ან დიაბეტის, მაღალი არტერიული წნევის, ინსულტის, სიმსივნის ჰიპერქოლესტერინემიის, მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტის არსებობის სტრუქტურა	69
ილუსტრაცია 13- ჭარბი წონისა და სიმსუქნის გავრცელება 1000 მოსახლეზე სქესის მიხედვით	77
ილუსტრაცია 14- ჭარბი წონისა და სიმსუქნის გავრცელება 1000 მოსახლეზე სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	78
ილუსტრაცია 15 - სხეულის მასის ინდექსი მწველობის სტატუსის მიხედვით	79
ილუსტრაცია 16 - სხეულის მასის ინდექსი განათლების დონის მიხედვით	81
ილუსტრაცია 17 - სხეულის მასის ინდექსის ცვლილება საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით	83
ილუსტრაცია 18 - სხეულის მასის ინდექსი ყოველდღიური 10-წუთიანი ფიზიკური დატვირთვის მიხედვით	84
ილუსტრაცია 19 - სხეულის მასის ინდექსი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით	86
ილუსტრაცია 20 - სხეულის მასის ინდექსი სამუშაო სტატუსის მიხედვით	88
ილუსტრაცია 21 - სხეულის მასის ინდექსი ანამნეზში სიმსივნის არსებობის მიხედვით.	89
ილუსტრაცია 22 - სხეულის მასის ინდექსი ანამნეზში ინსულტის არსებობისას	90
ილუსტრაცია 23- სხეულის მასის ინდექსი ანამნეზში მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობისას	92
ილუსტრაცია 24- სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი სისხლში ქოლესტერინის დონის	

მიხედვით	93
ილუსტრაცია 25- დემოგრაფიული მონაცემები და სხეულის მასის ინდექსი	102
ილუსტრაცია 26- ქცევითი რისკ-ფაქტორები და სხეულის მასის ინდექსი	104
ილუსტრაცია 27 - რეგრესიული ანალიზი, ბიოქიმიური პარამეტრები სისხლში სხეულის მასის ინდექსთან მიმართებაში	107
ილუსტრაცია 28 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ანამნეზში დაავადებების არსებობის მიხედვით	109
ილუსტრაცია 29 - მემკვიდრეობაში დაავადებების არსებობა და სხეულის მასის ინდექსი რეგრესიული ანალიზი	111
ილუსტრაცია 30 - საკვები პროდუქტების მოხმარება და სხეულის მასის ინდექსი რეგრესიული ანალიზი	114
ილუსტრაცია 31 - დაავადებათა გავრცელება ჭარბი წონის შემთხვევაში	136
ილუსტრაცია 32 - დაავადებათა გავრცელება სიმსუქნის შემთხვევაში	136
ილუსტრაცია 33- დაავადებათა განვითარების რისკი ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში	150
ილუსტრაცია 34- დაავადებათა განვითარების რისკი ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში 50 წლის ზემოთ	151

ნაშრომში გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები

WHO - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

STEPS - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდი ეტაპობრივი მიდგომა ზედამხედველობისათვის

Cost – effectiveness - ხარჯთეფექტურობა

NHANES - ჯანმრთელობისა და კვების ნაციონალური კითხვარი

IOTF - სიმსუქნის საერთაშორისო საგანგებო ჯგუფი

HBSC - კვლევა, ჯანმრთელობის ჩვევები სკოლის ასაკის ბავშვებში

DALY - უუნარობასთან ადაპტირებული სიცოცხლის წლები

CRRC-საქართველოს კვლევის გზამკვლევი

PDA - სპეციალური მობილური მოწყობილობა

BMI - სხეულის მასის ინდექსი

შესავალი

თემის აქტუალობა

სიმსუქნე არის თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაავადება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა მიხედვით, სიმსუქნემ მიაღწია ეპიდემიის დონეს. 1995 წელს მსოფლიოში იყო 200 მილიონამდე მსუქანი მოზრდილი ადამიანი, ხოლო 2000 წლისათვის ეს ციფრი 300 მილიონამდე გაიზარდა. 22 მილიონია ხუთ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები ჭარბი წონით (Finer/ფინერი, 2003). უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოში არის სიმსუქნის სიხშირის მატების ტენდენცია ბავშვებსა და მოზარდებში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2012 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 44 მილიონ 5 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვს აღენიშნებოდა ჭარბი წონა და სიმსუქნე მაშინ, როდესაც 1990 წელს ეს რაოდენობა შეადგენდა 31 მილიონს (WHO Fact sheet/ჯანმო ფაქტების ნუსხა N°311). სიმსუქნის ასეთი პროგრესირებადი გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ალიმენტურ-კონსტიტუციურ (ინგლისურენოვანი წყაროების მიხედვით, დიეტ-ინდუცირებული) სიმსუქნესთან. სიმსუქნე მიეკუთვნება ე.წ. ცივილიზაციის დაავადებებს. კვების “ვესტერნიზაცია”, კვების ქაოტური რეჟიმი, ღამის კვება, ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა განაპირობებს სიმსუქნის “პანდემიას” (Amigo/ამიგო 2007). ეს პრობლემა აქტუალურია იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას, განურჩევლად მათი სოციალური, პროფესიონალური სტატუსისა, ასაკისა და სქესისა. სიმსუქნის გავრცელებასთან ერთად მრავლდება და მძიმდება მასთან დაკავშირებული სომატური დაავადებები: ათეროსკლეროზი, გულის კორონარული დაავადება, არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (Seccareccia/ სეკარეჩია, 1998) , პოდაგრა, ონკოლოგიური დაავადებები, ქალებში ანოვულაციის მაღალი სიხშირე და სხვა, რომლებიც აუარესებენ ცხოვრების ხარისხს, იწვევენ შრომისუნარიანობის დაქვეითებას და ნაადრევ სიკვდილს.

ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული გახდა სიმსუქნის კვლევა. ბოლო 2 ათწლეულია, რაც მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს სიმსუქნის შემსწავლელი კვლევები სხვადასხვა მიმართულებით (მისი გავლენა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ფსიქოსოციალური ზეგავლენა და ა.შ.).

უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც დემოგრაფიის, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით. 2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობა 2010 წელთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 2 წლით (სტატისტიკური ცნობარი 2014). უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონტრასტი დაფიქსირდა გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით 70 – იან წლებში. ეს კარგად ჩანს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედარების ფონზე ევროკავშირისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მოსახლეობაში (განსხვავება იყო 7.2 წელი). 2002 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, 1990 წელს საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იყო 71.5 წელი (74.8 ქალებისათვის და 68 მამაკაცებისათვის). სხვა საბჭოთა ქვეყნების მონაცემებთან შედარებით ეს არ იყო ცუდი მაჩვენებელი, თუმცა იყო უფრო დაბალი, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში (WHO 2002) .

ევროპის ჯანმრთელობის რეპორტის მიხედვით (Measuring progress towards more sustainable Europe/პროგრესის განსაზღვრა მდგრადი ევროპის მიმართულებით, 2005), 1990 წლის შემდეგ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა, თუმცა სხვადასხვა ქვეყნისათვის მონაცემები განსხვავებულია. ამავე დროს აღინიშნა ნაადრევი სიკვდილობის სიხშირის მატება მამაკაცებში. ამ რეპორტის თანახმად, სიკვდილიანობის მიზეზებიდან საქართველოში დომინირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა (ეს მოხსენებულია 2003–2005 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში) .

ევროპის ჯანმრთელობის რეპორტის მიხედვით, შესაძლებელია სიკვდილიანობის გამომწვევი მდგომარეობების პრევენცია. ძირითად რისკ-ფაქტორებად მოიაზრება მაღალი არტერიული წნევა, ქოლესტერინის მაღალი დონე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ამ მდგომარეობებს საფუძვლად უდევს ჭარბი წონა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დანერგვა .

ჭარბწონიანობის სიხშირის ზრდამ გამოიწვია სიცოცხლის ჯანსაღი წლების შემცირების ტენდენცია , რაც ძალიან თვალსაჩინოა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. ჭარბ წონასთან დაკავშირებულია ისეთი დაავადებები, როგორც არის დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა, ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადებები, საჭმლის მომწელებელი სისტემის დარღვევები, რაც იწვევს სიკვდილიანობის სიხშირის ზრდას (Aronne/არონი. 2002). ამდენად,

ჭარბწონიანობის პრევენციას და ცხოვრების ჯანსაღი წესის აგიტაციას აქვს დიდი მნიშვნელობა.

უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა ჭარბწონიანობის ტენდენცია საქართველოში, რაც ზრდის ჯანდაცვის დანახარჯებს გამომდინარე იქედან, რომ არაგადამდებ დაავადებათა გამო (გულის იშემიური დაავადება (გ.ი.დ), არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.) მიმართვიანობას საავადმყოფოებში აქვს მზარდი ტენდენცია.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად (NCDC/ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი სტატისტიკური ცნობარი 2012,), საქართველოში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, გამოხატულია ჰიპერტენზიის პრევალენტობის ზრდა, ასევე გულის იშემიური დაავადებების და დიაბეტის გავრცელების ზრდის ტენდენცია.

ჭარბწონიანობას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე, ვინაიდან ამ მდგომარეობით გამოწვეული არაგადამდები დაავადებები იწვევენ ხანგრძლივ შრომისუუნარობას და დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან (Cholditz/ჩოლდიცი, 1999). არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ევროპული სტრატეგიის მიხედვით, ჯანდაცვის დანახარჯების 70–80 % მოდის სწორედ ქრონიკულად მიმდინარე დაავადებებზე. განვითარებულ ქვეყნებში გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის სიხშირე შემცირდა, თუმცა დაახლოებით 10–ჯერადი განსხვავებაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით . ითვლება, რომ განვითარებულ ქვეყნებში ჭარბწონიანობა უფრო მეტად დამახასიათებელია დაბალი ფენისთვის, თუმცა ეს მეტად დისკუტაბელური საკითხია საქართველოსთან მიმართებაში. ახალგაზრდა ასაკში სიკვდილიანობა, ან ქრონიკული დაავადებებით გამოწვეული შრომისუუნარობა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ოჯახის , ისე საზოგადოების სოციალურ–ეკონომიკურ მახასიათებლებზე (WHO factsheet updated March 2013/ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფაქტების ცხრილი,2013).

პრობლემის აქტუალობიდან და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მოხდა კვლევის თემატიკის შერჩევა

კვლევის მიზანი:

კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელების, მათ სოციალურ, დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დამოკიდებულების ანალიზს, რაც საშუალებას მოგვცემს შემუშავებულ იქნას კონკრეტული პრევენციული რეკომენდაციები.

კვლევის ამოცანები:

1. 2010-2011 წლებში საქართველოში არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების გავრცელების შესახებ ინფორმაციის მომცველი მონაცემთა ბაზის მეორადი ანალიზის ჩატარება.
2. საქართველოში 18-დან 64 წლამდე ასაკობრივ პერიოდში მამაკაცებსა და ქალებში სიმსუქნისა და ჭარბი წონის დამოკიდებულების შესწავლა სოციო-დემოგრაფიულ, ქცევით ფაქტორებთან, ფიზიკურ და ბიოქიმიურ მახასიათებლებთან.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. სხეულის მასის ინდექსი კორელაციურ კავშირშია რიგ სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორთან, ასევე- ჯანმრთელობის მდგომარეობის რიგ დარღვევებთან.
2. ჭარბი წონა და სიმსუქნე, განსაკუთრებით 50 წლის შემდეგ, ზრდის შაქრიანი დიაბეტის, ინსულტის, მიოკარდიუმის ინფარქტისა და ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკს.
3. ჯანმრთელობის პრომოციის, დაავადებების პრევენციისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით საქართველოს მოსახლეობამ საჭიროა მუდმივ კონტროლზე აიყვანოს საკუთარი სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი, უარი თქვას მაღალკალორიულ საკვებზე, გაზარდოს ფიზიკური აქტივობა და დაიცვას ენერგეტიკული ბალანსი.

კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

საქართველოში სიმსუქნისა და ჭარბი წონის სოციო-დემოგრაფიულ, ქცევით ფაქტორებთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან მათი დამოკიდებულების ანალიზმა საშუალება მოგვცა აღნიშნულ სამეცნიერო დარგში მიგველო ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა, კერძოდ:

1. დაზუსტებული იქნა საქართველოში ყოველ 1,000 მოსახლეზე ჭარბი წონისა და სიმსუქნის პრევალენტობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
2. გამოვლენილი იქნა მამაკაცებში, ქალებთან შედარებით, ასაკთან ერთად წონაში მატებისა და სიმსუქნის ერთი დეკადით ადრე განვითარების ტენდენცია.
3. დადასტურებული იქნა სიმსუქნისა და ჭარბი წონის კორელაცია სოციო-დემოგრაფიულ და ქცევითი ფაქტორებთან და დაზუსტებული იქნა მომატებული სმი-ს რისკის ჯგუფები;
4. დადასტურებული იქნა მომატებული სმი-ს კორელაციური კავშირი ჯანმრთელობის მდგომარეობის რიგ დარღვევებთან, კერძოდ- მაღალ არტერიულ წნევასთან, სისხლში ქოლესტერინისა და გლუკოზის დონის მომატებასთან, ანამნეზში შაქრიან დიაბეტთან, ინსულტთან, მიოკარდიუმის ინფარქტთან, ავთვისებიან სიმსივნეებთან.
5. პირველად იქნა დადგენილი საქართველოს მოსახლეობაში სიმსუქნისა და ჭარბი წონის შემთხვევებში შაქრიანი დიაბეტის, ინსულტის, მიოკარდიუმის ინფარქტისა და ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკების ოდენობები.

კვლევის შედეგად მიღებული ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა საშუალებას მოგვცემს ოპტიმიზირებული იქნას პოპულაციაში მაღალი რისკის ჯგუფების ფორმირება და მათი სკრინინგით მოცვა, ხელი შეეწყოს მძიმე ქრონიკული დაავადებების პრევენციას, მოსახლეობის ჯანმრთელობის პრომოციას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის ინპლემენტაციას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, დიდი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელის მიღებას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის , 6 თავის, ძირითადი შედეგების, პრაქტიკული რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სიისა და დანართი CD- გან. დისერტაცია დაწერილია 174 გვერდზე APA სტილით, შეიცავს 71 ცხრილსა და 34 ილუსტრაციას. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 167 წყაროს.

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ჭარბი წონა და სიმსუქნე

ჭარბი წონა და სიმსუქნე, როგორც დაავადება, შედარებით ახალ ფენომენად მოიაზრება. ისტორიული მონაცემების მიხედვით, იგი გვხვდებოდა პირველყოფილ საზოგადოებაშიც. მაგ, პალეოლითის ხანაში სიმსუქნე აღწერილია ევროპაში, რუსეთსა და ციმბირში (Beller/ბელერი, 1977). აღნიშნულ პერიოდში სიმსუქნე არ მოიაზრებოდა პრობლემად, ვინაიდან მაცხოვრებელთა უმეტესობა, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გამხდარი იყო (მათი ძირითადი საქმიანობა იყო ნადირობა) (Brown/ბრაუნი, 1993). სიმსუქნის გავრცელების შესახებ ქვის ხანიდან მე-20 საუკუნის პერიოდამდე ისტორიული მიმოხილვის თანახმად (Bouchard /ბუჩარდი, 1998), იგი როგორც სამედიცინო პრობლემა, გაჩნდა ჰიპოკრატეს პერიოდში. ჰიპოკრატემ აღწერა უეცარი სიკვდილის შემთხვევები მსუქან ადამიანებში.

დღეისათვის სიმსუქნის ერთ-ერთ ყველაზე უარყოფით მხარედ ითვლება სიცოცხლის ხარისხის დაქვეითება, რაც შესაძლოა იმდენად ჯანმრთელობის გაუარესებით არ იყოს გამოწვეული, რამდენადაც ინდივიდის მიერ საკუთარი თავის უარყოფითი აღქმით (Kushner/კუშნერი, 2000). საზოგადოებრივი ჯანდაცვა ძირითადად ფოკუსირდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სიცოცხლის ხარისხზე (HRQL) (Sarlio-Lähteenkorva/სარლიო-ლაჰტენკორვა, 1995). ჯანმრთელობა განისაზღვრება როგორც სრული ფიზიკური, მენტალური და სოციალური კარგად ყოფნა და არა უბრალოდ დაავადების არარსებობა (WHO 1946).

სიმსუქნის გავრცელება იზრდება ისეთი სისწრაფით, რომ WHO მას უწოდებს თანამედროვე ეპიდემიას . ბოლო ორი დეკადის განმავლობაში ევროპულ ქვეყნებში გაორმაგდა და გასამმაგდა სიმსუქნის სიხშირე. მაგ, ინგლისში 1980 წლიდან იგი გასამმაგებულია (ნაციონალური აუდიტის ოფისი 2001). სიმსუქნე განისაზღვრება როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემა, რადგან სიმსუქნისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების (შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, ჰიპერტენზია და სხვ.) მკურნალობა დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან.

სიმსუქნე არის ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილის არსებობა და გამოითვლება სხეულის მასის ინდექსის საშუალებით (BMI). მისი გამოთვლა ხდება სხეულის წონის გაყოფით სიმაღლის კვადრატზე. სიმსუქნის კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით ბავშვებში, რადგან ამ ასაკში სწრაფად იცვლება სიმაღლისა და წონის შეფარდება.

თუმცა არსებობს სხვადასხვა მონაცემი ამის თაობაზე (Edmunds/ ედმუნდსი,2001)(Cole/კოლი, 2000).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დებულების მიხედვით, ჭარბწონიანობად განიხილება სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი 25 კგ/მ^2 -დან 30 კგ/მ^2 მდე, ხოლო სიმსუქნის გრადაცია იწყება 30 კგ/მ^2 -დან, თუმცა დაავადებების განვითარების რისკი იზრდება, როდესაც სხეულის მასის ინდექსი მეტია 22 კგ/მ^2 -ზე.

აფრიკასა და აზიაში მოზრდილთა სხეულის მასის ინდექსი საშუალოდ არის 20 - 23 კგ/მ^2 , ხოლო ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში 25 - 27 კგ/მ^2 . სხეულის მასის ინდექსი იზრდება საშუალო და უფროს ასაკში და განაპირობებს დაავადებების განვითარების გაზრდილ რისკს. შაქრისა და ნაჯერი ცხიმების გამოყენების ზრდამ და ფიზიკური აქტივობის შემცირებამ გამოიწვია სიმსუქნის გავრცელების სამჯერადი ზრდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ინგლისში, დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპაში 1980 წლის შემდეგ. განვითარებად ქვეყნებში მოხდა სხეულის მასის ინდექსის ზრდა და ფაქტიურად მიიღო ეპიდემიის ხასიათი. ჯანმო-ს 2000 წლის მონაცემით მილიარდი ადამიანი მსოფლიოში ჭარბწონიანია, ხოლო 300 მილიონი - მსუქანი. (*Obesity:*

preventing and managing the global epidemic. Geneva: World Health

Organization/სიმსუქნის, როგორც გლობალური ეპიდემიის პრევენცია და მართვა; ქენევა; ჯანმო 2000.)

სხეულის მასის ინდექსის (BMI) მიხედვით, ნორმად ითვლება $18.5 - 24.9 \text{ კგ/მ}^2$. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ საზღვრებში მყოფი ინდივიდები არ არიან დაცული სიმსუქნესთან დაკავშირებული დაავადებების განვითარებისაგან (Manson /მანსონი, 1995), (Willett/ ვილეთი, 1995). BMI-ს აქვს გარკვეული შეზღუდვები, ვინაიდან არ ითვალისწინებს სქესსა და ასაკს. ცხიმის გადანაწილებაზე გავლენას ახდენს ასაკიც (Ross/როსი, 2000). თუმცა პოპულაციურ დონეზე BMI-ს გამოყენება ძალიან მოსახერხებელი და გამართლებულია

ილუსტრაცია 1 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლების განსაზღვრა

	BMI
წონის დეფიციტი	18.5–ზე ქვემოთ
ნორმალური	18.5–24.9
ჭარბი წონა	25.0–29.9
სიმსუქნე	30.0 და ზემოთ

წყარო - <http://www.nhlbi.nih.gov>

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები დამოკიდებულია ცხიმის გადანაწილებაზე (IOTF/ სიმსუქნის საერთაშორისო საგანგებო ჯგუფი, 2003). მაგ, ინდივიდები პერიფერიული სიმსუქნით (ცხიმი ლოკალიზებულია დუნდულოებზე და თეძოებზე), არიან დაავადებების განვითარების ნაკლები რისკის ქვეშ, ვიდრე ინდივიდები ცენტრალური სიმსუქნით. სხეულის ცხიმის განაწილება შესაძლოა განისაზღვროს სხვადასხვა ანთროპომეტრიული გაზომვებით, მათ შორის წელისა და თეძოს, მაჯის გარშემოწერილობით.

წელის გარშემოწერილობის გაზომვა საშუალებას იძლევა მოხდეს ჯანმრთელობის შესაძლო რისკების განსაზღვრა. თუ ცხიმის უმეტესი ნაწილი ლოკალიზებულია წელის და არა თეძოს გარშემო, ადამიანი იმყოფება გულის დაავადებების და ტიპი 2 დიაბეტის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფში. აღნიშნული რისკი იზრდება, თუ წელის გარშემოწერილობა ქალებში მეტია 88.9სმ -ზე, ხოლო მამაკაცებში - 101.6 სმ-ზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა პროტოკოლის მიხედვით, წელის გარშემოწერილობა უნდა განისაზღვროს სანტიმეტრის საშუალებით, XII ნეკნის კიდის დონეზე. თეძოს გარშემოწერილობა უნდა განისაზღვროს თეძოს ყველაზე მსხვილი ადგილების დონეზე თეძოს ძვლის ზედა კიდიდან . ჯანმო-ს მიხედვით, მუცლისმიერი სიმსუქნე განისაზღვრება, როდესაც თეძო-წელის გარშემოწერილობის ინდექსი >0.95 მამაკაცებისათვის და >0.86 მ ქალებისათვის (WHO STEPS/ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტეპს კვლევა). საჭმლის მომწელებელი სისტემის, თირკმლის და დიაბეტის ნაციონალური ინსტიტუტის მონაცემებით (NIDDK), ქალები, რომელთა თეძო-წელის გარშემოწერილობა >0.86 -ზე, და მამაკაცები, რომელთა ანალოგიური მაჩვენებელი 1.0 მ-ზე მეტია, არიან დაავადებების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ.

ცხრილი 1- ჯანმო-ს სტანდარტების მიხედვით თემო/წელის გარშემოწერილობის მაჩვენებლები:

თემო/წელის გარშემოწერილობის მაჩვენებელი		
მამაკაცები	ქალები	ჯანმრთელობის რისკი
0,95 და ქვემოთ	0,80 და ქვემოთ	დაბალი რისკი
0,96 – 1,0	0,81 – 0,85	საშუალო რისკი
1,0-ზე მეტი	0,85-ზე მეტი	მაღალი რისკი

წყარო - National heart, lung and blood institute, 2015

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია აბდომინალური სიმსუქნის განსაზღვრის ყველაზე ზუსტი მეთოდებია, მაგრამ მათი გამოყენება ძვირია და არაპრაქტიკული (Björntorp/ბიორნტორპი, 1997) (არონი 2002). ცხიმის ცენტრალური განაწილება არის კარდიოვასკულური დაავადებების განვითარების რისკ-ფაქტორი. არსებობს მონაცემები, რომელიც გვაჩვენებს, რომ მაჯის გარშემოწერილობა ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული დაავადებათა რისკის განსაზღვრისათვის, თუმცა არ არის ისეთი ზუსტი მაჩვენებელი, როგორც თემო-წელის თანაფარდობა (Seidell /სეიდელი 1997); (Visscher /ვიშერი, 2001). მაჯის გარშემოწერილობის განსაზღვრა რეკომენდებულია, როგორც ჯანმრთელობის პრომოციის ინსტრუმენტი (Lean /ლინი, 1995).

1.2 სიმსუქნის მიზეზები

სიმსუქნის ეტიოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მას იწვევს ენერჯის დისბალანსი, როდესაც ენერჯის მიღება ჭარბობს მის გაცემას. აღმოჩნდა, რომ 1970 წლის შემდეგ, ადამიანების მიერ დღიურად მოხმარებული საკვების ენერგეტიკული ღირებულება შემცირდა 750 კილოკალორით, ხოლო ენერჯის ხარჯვა - 800 კილოკალორით დღეში, რაც გახდა ჭარბი წონის მიზეზი 25- დან 75 წლამდე ასაკის მოზრდილებში (James /ჯეიმსი, 1995). თუმცა ერთი ფაქტორი არ განსაზღვრავს სიმსუქნის განვითარებას. იგი მულტიფაქტორული დაავადებაა და განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებით, გარემო პირობების ზემოქმედებით, ქცევითი უნარებით და სხვ.

სიმსუქნის გენი შესწავლილი იყო in vitro და in vivo კვლევებში. in vivo კვლევები განხორციელდა ცხოველებზე, ვირთხებზე. მრავალი კვლევა მიემდგვნა ჰორმონ ლეპტინს, რომელსაც თვლიდნენ საკვანძო რგოლად სიმსუქნის პათოგენეზსა და მკურნალობაში (Zhang/ჟანგი, 1994). თუმცა ადამიანებზე ჩატარებულ კვლევებში აღმოჩნდა რომ ლეპტინის ზუსტი როლი არ არის დადგენილი. ვარაუდობენ, რომ მსუქანი ადამიანები არიან ლეპტინ რეზისტენტულები.

მეცნიერებმა ვერ დაადგინეს სიმსუქნის გამომწვევი მხოლოდ ერთი გენი და ჩაითვალა რომ იგი არის პოლიგენური (Diament/ დიამენტი 2003). სიმსუქნის ზოგიერთი ფორმა გამოწვეულია სხვადასხვა დეფექტით. მაგ, კუმინგის დაავადების დროს ხდება კორტიზოლის ჭარბი რაოდენობით გამომუშავება თირკმელზედა ჯირკვლის მიერ და შედეგად ვღებულობთ აბდომინალური ტიპის სიმსუქნეს. ასევე გავრცელებული გენეტიკური დარღვევაა პრადერ–ვილის სინდრომი რაც გამოიხატება გაძლიერებულ უკონტროლო მადში (ბულიმია) და იწვევს სასიკვდილო სიმსუქნეს (ბუჩარდი, 1998). სიმსუქნის გამომწვევია მეტაბოლური ცვლის დარღვევაც. მაგ, ჰიპოთირეოზი ერთ–ერთი გავრცელებული პათოლოგიაა, რომელიც იწვევს სიმსუქნეს მეტაბოლური ცვლის პროცესების სიჩქარის დაქვეითების შედეგად. დღეს ჰიპოთირეოზის მკურნალობა ხდება ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპიით (არონი, 2002).

რიგი დაავადებების მსგავსად (არტერიული ჰიპერტენზია, შიზოფრენია), სიმსუქნის განვითარებაშიც მემკვიდრეობითობა გარკვეულ როლს ასრულებს (ბიორნტორპი, 1997). დადგენილია, რომ ადამიანს გასუქების მეტი ალბათობა აქვს, თუ მისი ოჯახის წევრები და ნათესავები არიან მსუქნები (Comuzzie /კომუჯი, 1998). ტყუპებზე ჩატარებულმა საერთაშორისო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სხეულის მასის ინდექსს მოზრდილ ასაკში უმეტესად განსაზღვრავს გენეტიკური ფაქტორები (Allison/ ალისონი 1996) . უკანასკნელ პერიოდში სიმსუქნის მზარდი გავრცელების გამო გამოითქვა აზრი, რომ გარემო ფაქტორებს ენიჭებათ უპირატესი როლი გენეტიკურთან შედარებით. ამის მაგალითად სახელდება ეთნიკური ჯგუფების შესწავლა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ იაპონელები, რომლებიც აშშ–ში გადავიდნენ საცხოვრებლად, მეტად გასუქდნენ, ვიდრე მათი იაპონიაში მცხოვრები ნათესავები (ვილეტი, 2002).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სიმსუქნის ზრდა გამოიწვია ინდუსტრიალიზაციამ, ურბანიზაციამ, ეკონომიკურმა განვითარებამ და ბაზრის გლობალიზაციამ (ჯანმო, 2003).

ახალი მონაცემებით გამოიკვეთა, რომ სიმსუქნის გამომწვევი შეიძლება იყოს ვირუსი (Dhurandhar/დურანდარი 2000). მკვლევარებმა ჩაატარეს in vivo გამოკვლევები ქათმებსა და თაგვებზე და აღმოაჩინეს, რომ ვირუსის შეყვანა ამ ცხოველებში იწვევდა ცხიმოვანი საფარის გაზრდას. ასევე ჩატარდა რამდენიმე ასეული ადამიანის სკრინინგი და აღმოჩნდა, რომ მსუქნებს გააჩნდათ Ad 36 ვირუსული ანტისხეულები. ეს ვირუსული თეორია საჭიროებს შემდგომ კვლევებსა და დაკვირვებებს.

საინტერესო იყო მონაცემები დოფამინის როლის შესახებ. დოფამინი ნეიროტრანსმიტერია, რომელიც აძლიერებს კმაყოფილებისა და სიამოვნების შეგრძნებას. მეცნიერებმა აღმოაჩინეს კავშირი სიმსუქნესა და დოფამინის გამომუშავებას შორის (Wang/ ვანგი 2001).

მიუხედავად ზემოთაღნიშნული თეორიებისა და კვლევების მრავალფეროვნებისა, დღეისთვის სიმსუქნის უზშირეს მიზეზად ითვლება ნაკლები ფიზიკური აქტივობა და საკვებით ჭარბი კილოკალორიების მიღება (ამიგო, 2007). ამდენად, წონის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია ფიზიკური აქტივობის გაზრდა და დღიური რაციონის და ქცევის კონტროლი. ჭარბ წონას ან სიმსუქნეს მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები აქვს. სიმსუქნე წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ტიპი2 (ინსულინ-დამოუკიდებელი) შაქრიანი დიაბეტის, არტერიული ჰიპერტენზიის, ოსტეოქონდროზის, დეპრესიის, მთელი რიგი ავთვისებიანი სიმსივნეების (სარძევე ჯირკვლის და მსხვილი ნაწლავის სიმსივნეების ჩათვლით) განვითარების მიშვნელოვან რისკ ფაქტორს მოზრდილებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა „ გლობალური მოქმედების გეგმა არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლისათვის 2013 –2020“.

კალორიების უმნიშვნელო შემცირებამაც კი შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს წონაზე . 100 კილოკალორიის შემცირება ყოველდღიურად იწვევს 4.5 კგ-ით წონის კლებას ერთი წლის მანძილზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოზრდილი ადამიანის სიმსუქნის მახასიათებელია სხეულის მასის ინდექსი (სმი, BMI) > 30 კგ/მ² , ხოლო ჭარბი წონის დროს სმი შეადგენს 25-30 კგ/მ². მაგალითად, ქალისთვის, რომლის სიმაღლეა 1.64 მეტრი, ხოლო წონა - 73,2 კგ, სმი შეადგენს 27.2 კგ/მ², რაც ნიშნავს, რომ ის ჭარბწონიანია.

სმი-ს ინტერპრეტაცია გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, განსაკუთრებით ბავშვებში. სმი-ს განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ბავშვის ასაკი და სქესი. ბავშვის ასაკის და სქესის მიხედვით შემუშავებულია საერთაშორისო ნორმები ბავშვებში სმი-ს გამოსათვლელად (კოლი, 2000).

სმი ბავშვებში გამოისახება 10 პერსენტის დიაპაზონში. პერსენტის მაჩვენებელი წინასწარ განსაზღვრავს მოცემული ასაკის ბავშვების რაოდენობის პროცენტს, რომლებიც მოექცევიან რაიმე განსაზღვრული მაჩვენებლის მონაცემებს ქვემოთ. მაგალითად, მე-10 პერსენტილი ნიშნავს, რომ გარკვეულ ასაკში პოპულაციის 10% აღმოჩნდება საშუალო მაჩვენებელზე დაბლა, ხოლო 90% – მაღლა. ბავშვის პროგრესის მონაცემებს ადარებენ პერსენტის წრფეებს სმი-ს გრაფიკზე.

ბავშვებში ჭარბი წონის და სიმსუქნის შემთხვევების მატება განსაკუთრებით საშიშია მომავალში ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის გამო. 2001/02 Health Behaviours of School-aged children/ ჯანმრთელობის ჩვევები სკოლის ასაკის ბავშვებში (HBSC) კვლევის შედეგებმა გამოავლინა ევროპელ მოზარდებში ჭარბი წონის და სიმსუქნის მნიშვნელოვანი ვარიაბელობა, რომელიც მერყეობს 3% - დან 34 % -მდე 13 და 15 წლის ასაკის ბავშვებში. ჭარბი წონის და სიმსუქნის გავრცელება უფრო მეტადაა გამოხატული ვაჟებში. 13 წლის ასაკის მოზარდი ბიჭების 14,4%-ში და გოგონების 9,1%-ში აღინიშნება ჭარბი წონა ან სიმსუქნე. 15 წლის მოზარდებში ჭარბი წონის და სიმსუქნის მაჩვენებლები შესაბამისად 14,5% და 8,5% შეადგენს (Mulvihill/ მულვიჰილი 2004). ბაზალური მეტაბოლიზმის შედეგად გამოთავისუფლებული ენერგია გამოიყენება ორგანიზმის ისეთი ფუნქციების განსახორციელებლად, როგორც არის გულისცემა და სუნთქვა. თუ ბაზალური მეტაბოლიზმი და ფიზიკური აქტივობის შედეგად დახარჯული ენერგია უფრო ნაკლებია, ვიდრე საკვებით მიღებული ენერგია კილოკალორიებში, ეს იწვევს წონაში მატებას და ჭარბი ენერგიის ცხიმად გარდაქმნას. სხეულის ცხიმი წარმოადგენს ზედმეტი ენერგიის შენახვის ფორმას. ეს რეზერვი ორგანიზმმა შეიძლება გამოიყენოს საკვების დეფიციტის შემთხვევაში. ევროპის მცხოვრებთა უმრავლესობა საკვების დეფიციტს არ განიცდის. ამავე დროს ზოგიერთ საზოგადოებაში მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საკვების ხელმისაწვდომობა, ფასი და მიწოდება. საგულისხმოა, რომ რაც უფრო იაფფასიანია საკვები, მით უფრო მეტ ცხიმს შეიცავს იგი (Anderson/ ანდერსონი, 1992).

სწრაფი კვების ობიექტებში დამზადებული და გადამუშავებული საკვები ხასიათდება:

1. ნაჯერი ცხიმის მაღალი შემცველობით,
2. ენერგიის სიმკვრივით (ეს ნიშნავს, რომ დიდი რაოდენობით კალორიების მისაღებად ასეთი საკვების მხოლოდ მცირე ულუფებია საკმარისი),
3. მოზრდილი ულუფებით,
4. მცირე რაოდენობით საკვები ბოჭკოს, მიკროელემენტების და ანტიოქსიდანტების შემცველობით.

წინა თაობებისა და განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამჟამად ევროპაში მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომია საკვების ფართო ასორტიმენტი სხვადასხვა წყაროებიდან. დროთა განმავლობაში საკვების მოხმარება და ხელმისაწვდომობა უფრო მატულობს და მასთან ერთად სულ უფრო მეტად ვითარდება და უმჯობესდება ჭარბი ენერჯის „შემნახველი“ ტექნოლოგიები, როგორებიცაა ესკალატორები, ლიფტები, მართვის პულტები, მანქანები და ისეთი გასართობები, რომელიც ადამიანის მჯდომარე პოზას საჭიროებს (ტელევიზორის ყურება, კომპიუტერთან მუშაობა და ა. შ.). ამის შედეგად რეალურია რისკი იმისა, რომ ენერჯია, რომელსაც ადამიანი ღებულობს (კილოკალორიები, რომლებსაც ის საკვებით იღებს), აღემატება მის მიერ ენერჯის ხარჯვას (ენერჯია, რომელიც იხარჯება ფიზიკურ აქტივობაზე და შეესაბამება მეტაბოლიზმის მოთხოვნილებებს) (ჩოლდიცი, 1999).

არსებობს სიმსუქნის გამომწვევი სხვა ფაქტორებიც, თუმცა ისინი შედარებით იშვიათია. გასათვალისწინებელია გენეტიკური წინასწარგანწყობაც, მაგრამ უხშირესად სიმსუქნით დაავადებული მშობლების შვილის სიმსუქნე დაკავშირებულია ოჯახის ფიზიკური აქტივობისა და კვების წესთან და არა მხოლოდ გენეტიკურ მემკვიდრეობასთან. ცხადია, რომ სიმსუქნის უხშირესი მიზეზი დაქვეითებული ფიზიკური აქტივობა და საკვებით ჭარბი ენერჯის მიღების თანაარსებობაა.

არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ ამ ორი ფაქტორიდან უფრო მნიშვნელოვანია დაქვეითებული ფიზიკური აქტივობა. Reilly და Dorosty/ რეილი და დოროსტი-მ (1999) გამოავლინეს, რომ ენერჯის ნაკლები ხარჯვა (სხვა სიტყვებით, დაბალი ფიზიკური აქტივობა), წარმოადგენს მათ მიერ გამოკვლეული ბავშვების წონაში მატების წამყვან მიზეზს. მათი აზრით, ეს გარემოება უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ენერჯის ჭარბად მიღება (დიდი რაოდენობით კალორიების საკვების სახით მიღება). ამ კვლევის შედეგების განზოგადება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც რთულია ზედმიწევნით განისაზღვროს მიღებული ენერჯია და მისი ხარჯვა ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში. უფრო მისაღებია ვივარაუდოთ, რომ მთლიანად პოპულაციაში, საკვების მოხმარება და ფიზიკური აქტივობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სხეულის მასის მატებასთან.

ნაკლები ფიზიკური აქტივობის და დასავლეთის ქვეყნების მსგავსად, დიდი რაოდენობით ცხიმისა და შაქრის შემცველი საკვების მიღების შედეგის ერთ-ერთი დრამატული მაგალითია ცნობილი ფაქტი. წყნარი ოკეანის ნაურუს კუნძულს გააჩნია მსოფლიოში ფოსფატების უმდიდრესი საბადოები. ფოსფატების მიყიდვამ სასუქის მწარმოებელი კომპანიებისთვის უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაზარდა ადგილობრივი აბორიგენების შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. გამდიდრებასთან ერთად მათ უარი თქვეს ტრადიციულ

საკვებზე, რომელიც თევზისა და ბოსტნეულისგან შედგებოდა. დაიწყეს ძვირადღირებული იმპორტირებული „დასავლეთის“ საკვების მოხმარება. ამასთან, კუნძულის მოსახლეობამ შრომის დასაზოგად შეიძინა შესაბამისი ინვენტარი, რამაც შეამცირა მათი შრომის დროს ენერჯის დანახარჯი. ერთი თაობის მანძილზე ნაურუს აბორიგენები გახდნენ პლანეტაზე მცხოვრები ყველაზე მსუქანი პოპულაციის წარმომადგენლები. კუნძულის მოსახლეობის 30% ამჟამად დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით (Takaaki Nishiyama / ტაკაკაკი ნიშიამა, 2012) .

სკოლის ასაკის ბავშვებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათ ასწავლიან რაციონალური კვების ელემენტებს, მაგრამ ხშირად მშობლები არწმუნებენ და აიძულებენ ბავშვებს, რომ მათ „მთლიანად“ ჭამონ თავისი ულუფა, ის, რაც თეფშზეა. ამასთან მშობლები ზოგჯერ საკმაოდ ხისტები არიან ბავშვის ზუსტად განსაზღვრულ დროს კვებასთან დაკავშირებით (მიუხედავად იმისა, ბავშვს შია თუ არა), რაც ხელს უშლის ბავშვს თავისი შეგრძნებების აღქმაში. შესაბამისად, ბავშვი ეჩვევა მოიხმაროს იმაზე მეტი საკვები, ვიდრე მას ჭირდება და ეს ჩვევა შეიძლება გაჰყვეს მოზარდობის და მოზრდილობის პერიოდებშიც, რადგან დადგენილია, რომ ადრეულ ბავშვობაში გამომუშავებული კვების ჩვევები საკმაოდ მდგრადი და ხანგრძლივია (Key findings from the Health Behaviour in School-aged Children (HBSC) study: international report from the 2009/2010 survey/ ძირითადი ფაქტები სკოლის ასაკის ბავშვები ჯანმრთელი ქცევის კვლევიდან, საერთაშორისო რეპორტი 2009/2010). ცნობილია ასევე მთელი რიგი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სიმსუქნესთან. მაგალითად, ჭამის სტილი - სწრაფი ჭამა, დანაყრების დაქვეითებული შეგრძნება „უკუკავშირის მექანიზმების“ დარღვევის გამო, რომლებიც დანაყრებაზე მიანიშნებს, ჭამის იმპულსების კონტროლის უუნარობა, დეპრესია.

დასავლეთის ქვეყნებში საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის მიმზიდველობას, რაც ჩვეულებრივ აღიქმება როგორც „სიგამხდრის“, „მოხდენილი ტანის“ სინონიმი, განსაკუთრებით ქალებთან მიმართებაში.

ჭარბი წონის ადამიანის არამიმზიდველად ჩათვლას სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია. თუ ეს მცდარი წარმოდგენა მსუქან ბავშვებზეც ვრცელდება, ადრეულ ასაკში მსუქანი ბავშვები შეიძლება მუდმივი დისკრიმინაციის ობიექტები გახდნენ. ამერიკაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სკოლის ასაკში ბავშვებს სიმსუქნის მიმართ სპეციფიკური „მგრძობელობა“ უყალიბდებათ, რაც ასოცირდება ისეთ უარყოფით მახასიათებლებთან, როგორებიცაა „სიზარმაცე“ და „მოუხერხებლობა“ (Dietz/დიეცი, 1998).

აშშ-ში ჩატარებულ კვლევაში ასევე მოყვანილია მონაცემები, რომელთა მიხედვითაც 10-11 წლისათვის ბავშვებში ვლინდება ჭარბი წონის ან სიმსუქნის მქონე თანატოლების მიმართ

დისკრიმინაციის გამოვლენის ნიშნები, განსაკუთრებით მეგობრების შერჩევისას. როდესაც ამ ასაკის ბიჭებს სთხოვეს, მიესადაგებინათ 39 ზედსართავი სახელი სამიდან ერთი სილუეტისთვის (გამხდარი, კუნთიანი და მსუქანი), მსუქანი ფიგურა ყველაზე იშვიათად იყო აღწერილი როგორც „საუკეთესო მეგობარი“, და უხშირესად მას უსადაგებდნენ სიტყვას „სასაცილო“.

დიდ ბრიტანეთში 9 წლის ასაკის ბავშვებში ჩატარებულმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ისინი სიმსუქნეს უკავშირებდნენ ნაკლებ აქტიურობას, აკადემიურ ჩამორჩენილობას, ჯანმრთელობის და საკუთარი თავის მოვლის შესახებ ცოდნის დეფიციტს (Hill/ ჰილი, 1995).

ხუთი ან ექვსი წლის ბავშვებშიც კი ვლინდება დისკრიმინაციის ნიშნები თავიანთი მსუქანი თანატოლების მიმართ. სიმსუქნის შემთხვევების შემცირების ძირითადი სტრატეგია ბავშვის ფიზიკური აქტივობის გაზრდასა და მისი საკვების შემადგენლობის და კვებასთან დაკავშირებული ქცევის კონტროლში მდგომარეობს.

მხოლოდ დიეტის ხანგრძლივი დროით დაცვა არ არის ეფექტური მეთოდი ჭარბი წონისა და სიმსუქნის დროს. ადამიანების უმრავლესობა ისევ იმატებს წონაში დიეტის შეწყვეტიდან ერთი წლის მანძილზე (Mukherjee/ მუხერჯი, 2011).

კვლევების მიხედვით, უკანასკნელ წლებში მკვეთრად იმატა თხუთმეტი წლის ბიჭების და გოგონების რაოდენობამ, რომლებიც წონის დასაკლებად დიეტას იცავენ. ეს ასაკი განუწყვეტლად კლებულობს. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ 5-7 წლის ბავშვებიც კი ზღუდავენ საკვების მიღებას. მედიის საშუალებით გამუდმებით ხორციელდება საინფორმაციო ზეწოლა, რომლის მიხედვითაც იდეალურად ითვლება თხელი, გამხდარი სილუეტი გოგონებისთვის, ხოლო ბიჭებისთვის იდეალურ ფიგურად დაკუნთული სხეული მიიჩნევა. დიეტის დაწყებას დასაბამს აძლევს უკმაყოფილება საკუთარი გარეგნობით და სხეულის ფორმის ცვლილებებით, რაც თან ახლავს პუბერტატულ პერიოდს, განსაკუთრებით გოგონებში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე კვების რეჟიმის მცირე ცვლილებებმაც კი შეიძლება განაპირობოს წონის მნიშვნელოვანი შემცირება. ამასთან, დიეტის ფონზე წონის დაკლების შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები კვლავ იმატებენ წონაში, რაც კვლავ უბიძგებს მათ წონის შემდგომი კლებისაკენ დიეტის დაცვის გზით. (მულვიჰილი, 2004).

დიეტას იცავენ კვების შეზღუდვის მეშვეობით. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ დიეტური კვება თვითონ შეიძლება გახდეს წონის პრობლემის მიზეზი. დიეტა გლობალური კომერციული საქმიანობა გახდა. ბევრი დიეტა წარმოადგენს კომერციულ პროდუქტს, ხოლო შეთავაზებები (რომლებიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას შეიცავს კვების შესახებ) განაპირობებს იმ გაუგებრობას, რაც არსებობს წონის მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკაში.

სკოლის ასაკის ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევის (2001/02 სკოლის ასაკის ბავშვები ჯანმრთელი ქცევის კვლევა) მონაცემებმა აჩვენა დიეტის და წონის კლების შესაბამისი ქცევის ფართო გავრცელება. დიეტას გოგონები ბიჭებთან შედარებით უფრო ხშირად იცავენ (18% და 8% შესაბამისად). ეს მაჩვენებლები მატულობს ასაკთან ერთად. 11 წლის გოგონებში დიეტას 12% იცავს, ხოლო 15 წლის ასაკში - 23%, თუმცა ბიჭებში ეს მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება. დიეტის დაცვის და წონის დაკლების შესაბამისი ქცევების მაღალი სიხშირე ბიჭებს შორის გამოვლინდა დანიაში, უნგრეთში და მალტაზე, ხოლო გოგონებში - დანიაში, უნგრეთში, შოტლანდიაში და უელსში (მულვიჰილი, 2004).

მიმდინარეობს სხეულის იდეალიზებული გამოსახულების განუწყვეტელი რეკლამირება, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებისთვის. ამ გამოსახულებას ბიოლოგიურ რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. „სრულყოფილი“ ქალის სხეულის ფორმაზე შეხედულება მკვეთრად შეიცვალა მე-18 საუკუნეში იდეალურად მიჩნეული სრული ტანის ფორმიდან ამჟამად უკიდურესად გამხდარი სხეულის მქონე მოდელებით და ცნობილი სახეებით.

წელის და თემოს შეფარდების შესწავლამ მანეკენებში და გაანგარიშებებმა დაადგინა, თუ რა რაოდენობით ცხიმს უნდა შეიცავდეს სხეული ასეთი ფორმის მისაღებად. ქალებს ისეთი ფიგურით, რომელსაც ტანსაცმლის რეკლამირებისთვის 1970 წლიდან იყენებენ, არ ექნებათ მენსტრუალური ციკლი და იქნებიან უნაყოფობის კანდიდატები. ანალოგიურად გამოთვალეს, რომ ქალი სათამაშო ბარბის რომ დაემსგავსოს, სიმაღლეში დამატებით უნდა მოიმატოს 40–43 სმ და სხეულის ისეთი ფორმა ჰქონდეს, რომელიც სტატისტიკით აქვს 100000 ქალიდან ერთს მთლიან პოპულაციაში (Norton/ ნორტონი, 1996).

წუხილმა საკუთარ გარეგნობაზე შეიძლება ხელი შეუწყოს თამბაქოს წევას, რადგან ზოგიერთ ადამიანს ნიკოტინის ზემოქმედებით მადა უქვეითდება. ეს მოსაზრება შეიძლება განმტკიცდეს იმ ფართოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებით, რომ თამბაქოს წვევის შეწყვეტა წონაში მატებას იწვევს. თამბაქოს წვევის შეწყვეტის შემდეგ ზოგიერთმა მართლაც შეიძლება მოიმატოს წონაში, მაგრამ ეს ხანმოკლე პერიოდის მანძილზე ხდება. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს თამბაქოს წვევის შეწყვეტის ნებისმიერ პროგრამაში, რომელიც ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი. უკანასკნელმა გამოკვლევებმა, რომლებიც ამერიკაში ჩატარდა, აჩვენა, რომ 9-14 წლის გოგონებსა და ბიჭებში თამბაქოს წვევის შეწყვეტა ასოცირდება წონაში მატების პრობლემასთან (Pednekar/ პედნეკარი, 2006). ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია სასკოლო პროგრამებში, რომლებიც ეხება წონის შენარჩუნების მეთოდებს. უნდა გაბათილდეს მცდარი აზრი თამბაქოს, როგორც ეფექტური და სასურველი მეთოდის გამოყენებაზე.

ბევრი ახალგაზრდა მცდარად აიგივებს დიეტას და ჯანსაღ კვებას. ზოგიერთი პოპულარული ჟურნალი ჯანმრთელობის და მოდის თემატიკაზე ასევე განამტკიცებს ამ აზრს. გოგონები გამოირჩევიან განსაკუთრებული გაცნობიერებულობით იმის შესახებ, თუ რომელი საკვები უფრო „ჯანსაღია“ და არჩევენს აკეთებენ იმის მიხედვით, რომელ საკვებში უფრო ნაკლები ცხიმია. ამის გამო ისინი მეტ ხილსა და ბოსტნეულს მოიხმარენ, ვიდრე ბიჭები (Currie /კური, 2004).

კვების ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დიეტაზე მყოფი ადამიანების და ჩვეულებრივი საკვების მომხმარებელ ჯგუფებში სხვა საკვების დაგემოვნებისას, დიეტაზე მყოფნი ჭამენ მეტს. ამ პარადოქსული მონაცემებით დადასტურდა აზრი, რომ დიეტაზე ყოფნა იწვევს საკვების გაძლიერებულ მოთხოვნას და პირიქით -vice versa ეფექტი (Herman /ჰერმანი, 1980).

გაცნობიერებულად საჭმლის მიღების სრული დათრგუნვა ნიშნავს, რომ თუ ეს შეზღუდვა რაიმე მიზეზის გამო დაირღვა (მაგალითად, მეგობრებთან წვეულებაზე ან მალულად შოკოლადის ფილის მიღებით), დიეტაზე მყოფი საკუთარ სურვილებს ემორჩილება. დიეტაზე ყოფნისას ჩნდება აზრი, რომ ცხიმის მაღალი შემცველობის მქონე და მაღალკალორიული საკვები (ნამცხვრები, შოკოლადი და სხვ.) მეტად მიმზიდველია. ამასთან ჩნდება დანაშაულის შეგრძნება, რომელსაც დიეტაზე მყოფი თავის თავს პატიობს. ასე რომ, ნაცვლად იმისა, რომ დიეტის დროს მოხდეს კვებაზე კონტროლი, საკვები ცხოვრების ცენტრალური პრობლემა ხდება (Noakes/ ნოაკესი, 2005).

დიდი ხანია ცნობილია, რომ წონის დაკლება წარმატებულად შეიძლება კვების რეჟიმში მცირე ცვლილებების შეტანის შედეგად. ამავე დროს სხვადასხვაგვარი „დიეტებით“ ცდილობენ მიაღწიონ წონის მნიშვნელოვან შემცირებას ხანმოკლე პერიოდში. ადრეულ სტადიაზე ხდება წონის კლება სითხის დაკარგვის გამო, მაგრამ დიეტაზე მყოფი ადამიანის კვების პრინციპები და ფიზიკური აქტივობის ჩვევები ხანგრძლივი დროის პერსპექტივაში არ იცვლება.

ამრიგად, დიეტა ყოველთვის ეფექტური არ არის, რადგან:

- დიეტის დაცვა რთულია. დიეტების უმრავლესობა მოითხოვს ადამიანის ნორმალური კვების რეჟიმის ხანგრძლივი დროით შეცვლას (ან ადამიანისთვის ჩვეული კვების რეჟიმის შეცვლას).
- დიეტაზე ყოფნისას ადამიანებს უჩნდებათ შიმშილის და თავისუფლების შეზღუდვის შეგრძნება. კვლევებმა აჩვენა, რომ დიეტაზე ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი შიმშილის გრძნობა და აკრძალული საკვების, მაგალითად, ტკბილეულის და ცხიმოვანი საკვების მიღების დაუოკებელი სურვილი.

- დიეტას არღვევენ. დიეტა ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას იცავენ. ადამიანების უმრავლესობას წყინდება შეზღუდული კვება და დროგამოშვებით ისინი დიეტას არღვევენ.
- დიეტას არ შეუძლია დააკომპენსიროს კვების ემოციური ასპექტი. ხშირად ადამიანები საკვებს ემოციური პრობლემების (როგორცაა არის სტრესი) არსებობისას და არა შიმშილის გამო ეტანებიან. დიეტას შეუძლია „ემოციური“ პრობლემის გამძაფრება.
- დიეტაზე მყოფებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ უარის თქმა თავის ძირითად ჩვევებზე. ადამიანები, რომლებმაც წარმატებით დაიკლეს წონაში და ინარჩუნებენ მას, ამას აღწევენ თავისი და თავისი ოჯახის წევრების კვების და ფიზიკური აქტივობის ჩვევების პერმანენტულად შეცვლის ხარჯზე.

დიეტაზე ყოფნა ხშირად განაპირობებს კიდევ უფრო მკაცრი დიეტის დაცვას. ამჟამად კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანები, რომლებიც დიეტის დაცვისას წონაში იკლებენ, შემდეგში კიდევ უფრო მეტად იმატებენ, რაც თავის მხრივ, კვლავ უბიძგებს მათ წონის შემდგომი დაკლებისკენ. ეს ფენომენი ცნობილია, როგორც წონის „ციკლორობა“ ან „იო-იო“ დიეტა. ამ ფენომენის ახსნა თავდაპირველად მოხდა ექსპერიმენტულ კვლევაში, როდესაც ვირთაგვებს აძლევდნენ სხვადასხვა სახის საკვებს წონაში დასაკლებად, შემდეგ კი უქმნიდნენ წონაში მომატებისთვის საჭირო პირობებს. ეს სქემა მეორდებოდა რამდენჯერმე. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ყოველი წონის მატების/კლების ციკლის გამეორებისას ვირთაგვებს სულ უფრო მეტი დრო სჭირდებოდათ წონაში დასაკლებად და უფრო სწრაფად მატულობდნენ წონაში საკვების ჩვეულ ულუფაზე გადაყვანის შემდეგ. „იო-იო“-ს დიეტის ფენომენი ადამიანებზეც ვრცელდება (ამიგო, 2007).

ადამიანებში ამ ტიპის წონის ციკლორობა იწვევს კუნთოვანი ქსოვილის კლებას და ცხიმის აკუმულაციას. წონის მატება დიეტის დასრულების შედეგად საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. წონის ციკლორობა გულისხმობს წონის მატებისა და კლების მონაცვლეობას. მრავალი კვლევით სწავლობენ, თუ რამდენად მავნე ზეგავლენას ახდენს ორგანიზმზე ასეთი ციკლორობა, თუმცა არ არსებობს შორეული შედეგების დამადასტურებელი კვლევები.

რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს პირდაპირპროპორციული კავშირი წონის ციკლორობასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ზრდას შორის (Hamm/ჰამი, 1989;), (Blair/ ბლეირი 1993) ; (Folsom/ ფოლსომი, 1996).

მსუქანი ადამიანები, რომლებიც განიცდიან წონის ციკლორობას, უფრო ხშირად ავადდებიან სხვადასხვა დაავადებებით, ვინაიდან ამ დროს ირღვევა მეტაბოლური

პროცესების მიმდინარეობა. შესაბამისად, წონის შემდგომი კლება უფრო პრობლემატური ხდება. მას თან ახლავს უარყოფითი ფსიქოლოგიური ეფექტები და შესაძლოა დეპრესიის განვითარებაც.

თანამედროვე ცხოვრების წესი განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო რთულს ხდის წონის რეგულაციას. ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ მრავალფეროვანი, გემრიელი საკვები, რომელიც ენერგეტიკულად მკვრივია (მაღალკალორიულია). ენერჯის ყოველდღიური დანახარჯი მცირდება. ამავდროულად ყველგან რეკლამირდება გამხდარი ფიგურის იმიჯი, რომელიც სილამაზესთან, პოპულარობასთან, ბედნიერებასა და წარმატებასთან არის ასოცირებული.

მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ასაკიდან ადამიანი შეეჩვიოს კვების მუდმივ ჯანსაღ სქემას. საკვები და ჭამა ცხოვრების ბუნებრივი და სასიამოვნო მხარეებია და როდესაც ის უკავშირდება რეგულარულ ფიზიკურ აქტივობას, მიიღწევა სათანადო ენერგეტიკული ბალანსი.

1.3 ენერჯის ბალანსი

ენერჯის ბალანსი გულისხმობს თანაფარდობას საკვებით მიღებულ ენერჯიასა (გამოხატულს კილოკალორიებში, ან როგორც ხშირად უწოდებენ, *კალორიებში*) და ორგანიზმის მეტაბოლიზმისა და ფიზიკური აქტივობის შედეგად დახარჯულ ენერჯიას შორის.

ადამიანს აქვს „დაბალანსებული ენერჯია“, თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკვებით მიღებული ენერჯიის რაოდენობა ტოლია მის მიერ დახარჯული ენერჯიისა. დაბალანსებული ენერჯიის მიღებული ინდიკატორია წონა. სხეულის წონა იმატებს, თუ მიღებული ენერჯია დახარჯულზე მეტია. წონა კლებულობს, როდესაც დახარჯული ენერჯია მიღებულს აღემატება. თუ მიღებული და დახარჯული ენერჯია ტოლია, სხეულის წონა უცვლელი რჩება (Dauncey/ დაუნსეი, 1990).

ენერჯია მიიღება საკვები ნივთიერებებით, რომლებსაც შეიცავს საკვები და სასმელი. ეს ნივთიერებებია:

ნახშირწყლები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმისთვის საჭირო ენერჯიის დაახლოებით ნახევარს.

ციხიმები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საჭირო ენერჯიის დაახლოებით ერთი მესამედი.

ცილები, რომელსაც ასევე შეუძლია უზრუნველყოს ორგანიზმი ენერჯიით, მაგრამ ჯანმრთელი ორგანიზმის მიერ ცილების ენერგეტიკული ღირებულება პირველ რიგში ხმარდება სხვა ფუნქციებს - ზრდასა და უჯრედების განახლებას.

ენერგია ხმარდება:

- ორგანიზმის მეტაბოლიზმს ყველა იმ ფუნქციის განსახორციელებლად, რომლებიც საჭიროა სხეულის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად (მაგალითად, გულისცემა, სუნთქვა, საჭმლის მონელება).
- ფიზიკურ აქტივობას.

ენერგიის საზომი სტანდარტული ერთეული არის კილოჯოული. მიუხედავად ამისა, საკვების ენერგეტიკული ღირებულების შეფასებისთვის გამოიყენება კილოკალორიები (შემოკლებით – კალორიები). ერთი კილოკალორია = 4.2 კილოჯოულს.

მოზრდილი ადამიანი, რომელსაც ძირითადად მჯდომარე ცხოვრების წესი აქვს, ენერგიას ძირითადად შემდეგნაირად ხარჯავს:

- მიღებული ენერგიის დაახლოებით 80% გამოიყენება ორგანიზმის მეტაბოლიზმისთვის.
- ენერგიის დაახლოებით 20% იხარჯება მოძრაობასა და ზოგად ფიზიკურ აქტივობაზე.
- ის ჭარბი ენერგია, რომელიც არ იხარჯება ზემოაღნიშნული მიზნებისთვის, ინახება ცხიმის სახით.

გამლიერებული ფიზიკური აქტივობა განაპირობებს წონის შენარჩუნებას ან მის დაკლებას შემდეგი გზით:

- ზედმეტი ენერგიის დახარჯვით, რომელიც სხვა შემთხვევაში ორგანიზმში ცხიმის სახით აკუმულირდება.
- ცხიმის და გლიკოგენის მარაგის დახარჯვით
- ფიზიკური აქტივობით განპირობებული ენერგიის დიდი წილის ხარჯვით.

ენერგია, რომელიც გამოიყენება ბაზალური მეტაბოლიზმისთვის და გამოთავისუფლდება საკვების გადამუშავებისას, ფაქტობრივად ტოლია, თუმცა ეს ფარდობითი ცნებაა.

მაგინდივიდებს, რომლებსაც მნიშვნელოვნად აქვთ მომატებული კუნთოვანი მასა ინტენსიური ფიზიკური აქტივობის შედეგად, ეზრდებათ ბაზალური მეტაბოლიზმის ინტენსივობა (ნოაკესი , 2005).

1.4 სიმსუქნე და ფსიქოლოგიური პრობლემები

მსუქან ადამიანებს ახასიათებთ მიდრეკილება დეპრესიისაკენ, აღენიშნებათ სხვადასხვა ფსიქიატრიული სიმპტომები, ჭამის პროცესის უკონტროლობა და ა.შ. (Goldsmith/ გოლდსმისი, 1992); (Fitzgibbon / ფიზგიბონი, 1993).

პოპულაციურმა კვლევებმა აჩვენა სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი შედეგი. მაგ, საშუალო ასაკის შვედ ქალებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი სიმსუქნესა და მენტალურ მდგომარეობას შორის (Hällström/ჰალსტრომი, 1981). ამის საპირისპიროდ, გერმანულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდა ქალებში სიმსუქნე იწვევს ნევროზული დაავადებების გახშირებას (Becker/ ბეკერი, 2001).

კვლევებით ასევე დადგინდა, რომ განსხვავებულია ეს დამოკიდებულება მამაკაცებსა და ქალებში. მაგ, Onyike/ ონიკე (2003) კვლევით, სიმსუქნე ქალებში მნიშვნელოვნად ხშირად არის დეპრესიის გამომწვევი მამაკაცებთან შედარებით. სხვადასხვა კვლევის ურთიერთგამომრიცხავი შედეგი განპირობებულია იმით, რომ დეპრესიის შეფასებისთვის იყენებდნენ სხვადასხვა შკალას.

1.5 სხეულის იმიჯი

სხეულის იმიჯი განისაზღვრება, როგორც სუბიექტის მიერ საკუთარი სხეულის აღქმა (Grogan/ გროგანი, 1999). სხვადასხვა მკვლევარის თანახმად, სხეულის იმიჯი სოციალური ფენომენია. მაგ, Fallon/ ფალონი (1990) მიხედვით, სხეულის იმიჯი არის ის, როგორადაც ადამიანი აღიქვამს საკუთარ სხეულს და ასევე აზრი იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ მას სხვები. არსებობს მოსაზრება, რომ სიმსუქნე თავისთავად არ იწვევს რამე სახის ფსიქოლოგიურ პრობლემას. ეს ნეგატიური ეფექტები უპირატესად გამოწვეულია საზოგადოების დამოკიდებულებით, წინასწარგანწყობით და დისკრიმინაციით ჭარბწონიანი ადამიანების მიმართ. აღნიშნული სტიგმა არსებობს საზოგადოებაში, რადგან საზოგადოებაც და მედიცინაც ჭარბ წონას აღიქვამს როგორც ჭარბი კვების შედეგს და ამდენად, მთლიანად აკისრებს პასუხისმგებლობას ინდივიდს (Sobal/ სობალი, 1999).

1.6 კვებითი დარღვევები

ანორექსია (anorexia nervosa) და ბულიმია (bulimia nervosa) კვებითი დარღვევების უხშირესი ფორმებია. კვებითი დარღვევები ხშირად ვითარდება დაბალი თვითშეფასების და დეპრესიის შედეგად. კვებითი მოშლილობის მქონე ახალგაზრდებმა შეიძლება მეტად არასარწმუნო ინფორმაცია მოგვაწოდონ თავიანთი კვების რეჟიმის შესახებ და ხშირად უარყოფენ რაიმე „პრობლემის“ არსებობას ამ საკითხის ირგვლივ. სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც სწრაფად იკლებენ წონაში, შეიძლება ჰქონდეთ კვებითი დარღვევების ადრეული სტადიები.

ამ მდგომარეობების, განსაკუთრებით კი ანორექსიის, მართვა და მკურნალობა ხშირად მეტად ხანგრძლივი და რთული პროცესია.

Anorexia nervosa და bulimia nervosa - მდგომარეობებია, რომელიც ყველაზე ხშირად მიუთითებს კვებით დარღვევებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ისინი განხილული იყოს, როგორც ჭეშმარიტი ფსიქიატრიული პრობლემა (Gordon / გორდონი, 1997):

კვებითი დარღვევებისთვის დამახასიათებელია შემაწუხებელი და გაძლიერებული ლტოლვა საკვების, ჭამის მიმართ და უკმაყოფილება სხეულის ფორმებით. ეს ტერმინი რამდენადმე არასწორია, რადგანაც კვებითი დარღვევები სინამდვილეში მხოლოდ ჭამას არ ეხება. რეალურად ეს პრობლემა ვითარდება საკუთარი სხეულის წონის არასწორად აღქმის, დაბალი თვითშეფასების და დეპრესიის შედეგად (Schwartz/ შვარცი, 2000). ასეთი ადამიანები თვლიან, რომ თავიანთი პრობლემების გამოხატვა მათ მხოლოდ ერთი გზით - საკვებთან მიმართებაში შეუძლიათ.

კვებითი დარღვევები, როგორც წესი, ცხოვრების გარდამავალ (გარდატეხის) პერიოდებს ემთხვევა, როდესაც ადამიანი უნდა შეეგუოს ახალ გარემოებებს. ერთ-ერთი ასეთი პერიოდია სქესობრივი მომწიფების, მეორე - სკოლის დამთავრების პერიოდები. ამ ორი პერიოდის მანძილზე ყველაზე ხშირია კვებითი დარღვევების გამოვლინება. თუმცა ეს მდგომარეობები შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების საპასუხოდ. თუ ოჯახის ერთ ან მეტ წევრს კვებითი დარღვევები აქვს, მაშინ ამავე ოჯახის სხვა წევრებს აქვთ ასეთივე მდგომარეობების განვითარების მეტი რისკი. დადგენილია ასევე კავშირი კვებითი დარღვევების განვითარებასა და ოჯახის გარკვეულ წევრებს შორის. ამ დარღვევებს განსაკუთრებით ექვემდებარებიან:

1. ოჯახის წევრები, რომლებიც ერიდებიან ოჯახურ კონფლიქტებს.
2. ოჯახში დაუბალანსებელი სიტუაციის დროს ოჯახის პასიური წევრები.
3. ოჯახის წევრები, რომლებისთვისაც ძნელია ოჯახური „წესების“ დარღვევა (McPhail/ მაკფეილი, 1997).

კვებითი დარღვევებიდან უფრო ხშირად გვხვდება ბულემია, რომლითაც მეტად ავადდებიან ქალები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ახალგაზრდები, რომლებსაც დროზე არ დაუდგინდათ ანორექსია ან ბულიმია, რადგანაც ამ მდგომარეობების ნიშნები მკაფიოდ არ აქვთ გამოხატული. მათ შეიძლება პერიოდულად შეზღუდონ საკვების მიღება, მიიღონ საფადარათო საშუალებები, ან გადაჭარბებით მიიღონ საკვები, რაც თავდაპირველად შესამჩნევი არ არის. ასეთი ახალგაზრდები არ შეესაბამებიან სადიაგნოზო კრიტერიუმებს, თუმცა მათ უკვე აქვთ კვების მოშლის განვითარების გარკვეული რისკი. მათ შეიძლება ჰქონდეთ დაქვეითებული თვითშეფასება ან უარყოფითი სხეულის იმიჯი (გორდონი, 1997).

1.7 ნერვული ანორექსია

ანორექსიის ზედმიწევნითი თავმანი ნიშნავს „მადის დაკარგვას“, თუმცა ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ამ მდგომარეობის ძირითად პრობლემას. პირიქით, ამ მდგომარეობის მქონე ადამიანები ჭამას იზღუდავენ. ანორექსიას, როგორც პათოლოგიურ მდგომარეობას, ყურადღება პირველად მე-19 საუკუნეში მიაქციეს, თუმცა ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე ქალები დიდი ხნით ადრე იყვნენ აღწერილი (C. Pomeroy/ პომეროი, 2001) ანორექსიის ძირითადი ნიშნებია:

1. წონაში დაკლება ან წონაში მომატების არარსებობა ბავშვებში. შედეგად წონის დეფიციტი მოცემული ასაკის და სიმაღლის ბავშვისთვის 15%-ზე მეტს შეადგენს ნორმასთან შედარებით.
2. სიმსუქნის არანორმალური და უკიდურესი შიში - ანორექსიის მქონე ადამიანებს ძალიან ეშინიათ გასუქების.
3. საკვების მკაცრი თვითშეზღუდვა, რისი დარღვევაც აღიქმება, როგორც გასუქების რისკი.
4. სქესობრივი მომწიფების დაგვიანება ან შეჩერება.

ადამიანების უმრავლესობა წონის კონტროლს უკიდურესი დიეტური შეზღუდვის ხარჯზე აღწევს. მათ უვითარდებათ ხისტი ან აკვიატებული ქცევა და შეხედულება საკვებზე (მაგ, საკვების დაქუცმაცება), აწუხებთ სხვების კვების რეჟიმი, ხშირად უვითარდებათ შფოთვა კვების მიმართ. ეშინიათ, რომ ჭამის დაწყებისთანავე გასუქდებიან. ანორექსიის მქონე პირთა დაახლოებით ნახევარი ჭამის შემდეგ იყენებს საფადარათო საშუალებებს, რათა არ აითვისონ მიღებული კალორიები, ან ხელოვნურად იწვევს ღებინებას. საფადარათო საშუალებების არასწორმა გამოყენებამ შეიძლება ნაწლავების ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა გამოიწვიოს,

ხოლო განმეორებითმა ღებინებამ დააზიანოს კბილები და საყლაპავი კუჭის წვეთთან ხშირი კონტაქტის გამო. ძვლების სიმკვრივის დაქვეითება საბოლოო ჯამში იწვევს ოსტეოპოროზის განვითარებას, შესაბამისად, ანორექსიით გამოწვეული შიმშილობის შედეგია მოტეხილობების სიხშირის მატება.

მძიმე ემოციების მართვისა და თვითკონტროლის აღსადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს ფიზიკური ვარჯიში, მაგრამ ანორექსიით (ან ბულიმიით) დაავადებულები, როგორც წესი, მიმართავენ უკიდურესად ინტენსიურ ფიზიკურ ვარჯიშს, როგორც წონაში დაკლების ერთ-ერთ საშუალებას.

ნერვული ანორექსიის ბევრი სიმპტომი, მაგალითად, კონცენტრირების პრობლემა, შიმშილობის შედეგად ვითარდება. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნებისმიერი დიეტის დაცვისას აღინიშნება კონცენტრირების უნარის და შემეცნების ეფექტურობის მსუბუქი დარღვევები. ანორექსიისთვის დამახასიათებელი სხვა ფიზიოლოგიური ცვლილებებიდან აღსანიშნავია სისხლის მიმოქცევის დარღვევა კიდურებში, რაც იწვევს ტერფების და მტევნების ტემპერატურის დაქვეითებას, ყაზობა, რომელსაც უკიდურესად შეზღუდული დიეტა იწვევს. კვების მძიმე დარღვევისას აღინიშნება თმის ცვენა, სისუსტე კუნთებისა და ძვლების განლევის გამო. თუმცა, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ანორექსიით გამოწვეული სიმპტომები შექცევადია.

ზოგადად ითვლება, რომ ანორექსიით შეპყრობილებს აწუხებთ წონაში დაკლების და გალამაზების აკვიატებული სურვილი, მაგრამ რეალურად სიტუაცია უფრო სერიოზულია. ანორექსია ვითარდება, როცა ადამიანები ვეღარ ახერხებენ თავისი პრობლემების (მაგალითად, ოჯახის პრობლემების, სხვებთან ურთიერთობების) კონტროლს. ანორექსიით დაავადებულები, როგორც წესი, დიდ იმედებს ამყარებენ საკუთარ თავზე, სინამდვილეში კი წონის დაკლება არის მათი ცხოვრების ერთადერთი სფერო, რომელიც მათ შეუძლიათ თავის კონტროლს დაუმორჩილონ. სამწუხაროდ, ეს მდგომარეობაც მათთვის უკონტროლო ხდება. ზოგიერთი ადამიანი ახერხებს მთელი სიცოცხლის მანძილზე ქრონიკული ანორექსიით იყოს შეპყრობილი. (Eagles/ იგლსი, 1995).

ანორექსია უხშირესად ვითარდება 15-24 წლის ასაკში. ამჟამად დადგენილია, რომ ეს მდგომარეობა შეიძლება ადრეულ ბავშვობაში დაიწყოს და წინ უსწრებდეს სქესობრივ მომწიფებას. ამ პერიოდში მისთვის დამახასიათებელია სხეულის წონის მატების დეფიციტი. კვებითი დარღვევები უპირატესად ახალგაზრდა ქალების პრობლემად მიიჩნევა (პომეროი, 2001), თუმცა ეს მდგომარეობა ხშირია მამაკაცებშიც, რაც მიუთითებს, რომ სიგამხდრის რეკლამირება ვაჟებზეც ისევე მოქმედებს, როგორც გოგონებზე. არსებობს ანორექსიის განვითარების მაღალი ალბათობა ისეთი პროფესიების მქონე პირებში, რომლებსაც განა

მოითხოვენ გარკვეული წონის შენარჩუნებას (მაგ, ჟოკეები). კვებითი დაღვევებისადმი მიდრეკილი არიან ბალეტის მოცეკვავეები, ტანმოვარჯიშეებში და სხვა, ათლეტიზმთან დაკავშირებული პროფესიის მქონე პირები.

1.8 ნერვული ბულიმია

პირველად ბულიმიის მსგავსი მდგომარეობა აღწერილი იყო 1979 წელს, ხოლო 10 წლის შემდეგ იგი ცალკე დაავადებად იქნა მიჩნეული.

ბულიმიით დაავადებულებს ერთნაირი სიმპტომები არ აღენიშნებათ, თუმცა საერთო მახასიათებლები მოიცავს:

1. „გაუმადლარ“ ჭამას - სწრაფად დიდი ოდენობით საკვების მიღება;
2. საკვებისადმი დაუოკებელ ლტოლვას ან საკვების მიღებასთან დაკავშირებით კონტროლის დაკარგვის შეგრძნებას;
3. ღებინების საკუთარი სურვილით გამოწვევას, საფადართო საშუალებების ან შარდმდენების გამოყენებას, მკაცრ დიეტას, ინტენსიურ ფიზიკურ ვარჯიშს წონის შემდგომი მატების შესაჩერებლად;
4. საკუთარი სხეულის ფორმასა და წონაზე გადაჭარბებულ ზრუნვას.

ბულიმიით დაავადებულებს, ანორექსიით დაავადებულთაგან განსხვავებით, წონა ხშირად ნორმალური აქვთ, თუმცა ისინი ხშირად ჩუმად იწყებენ გაუმადლარ ჭამას. ბულიმიის დროს ადამიანმა, რომელიც ვერ აკონტროლებს თავის ქცევას, მოკლე დროის მანძილზე შეუძლია მიიღოს მაღალკალორიული, ცხიმისა და ნახშირწყლების შემცველი საკვების დიდი რაოდენობა. უკონტროლო გაუმადლობისა და „წმენდის“ ეპიზოდები რეგულარულად ანაცვლებს ერთმანეთს (ცირკულირებს). სიმსუქნის შიში, დამახასიათებელი ანორექსიისთვის, ამ შემთხვევაშიც აღინიშნება. იმის გამო, რომ სხეულის წონა ნარჩუნდება ნორმის ფარგლებში, მენსტრუაცია არ წყდება, თუმცა შეიძლება არარეგულარული იყოს (Rahman/ რაჰმანი, 2013).

გაუმადლობის განმეორებითი ეპიზოდები და ხელოვნურად გამოწვეული ღებინება იწვევს კუჭის მჟავე რეაქციის მქონე შიგთავსის მიერ კბილის ემალის და საყლაპავის დაზიანებას. ღებინების განმეორებითი ეპიზოდები ხანგრძლივი დროის მანძილზე განაპირობებს კალიუმის დეფიციტს სისხლში, რაც იწვევს არითმიას და თირკმლების დაზიანებას. საფადართო საშუალებების გადაჭარბებული მოხმარება კი იწვევს კუჭის გამუდმებულ ტკივილს, ნაწლავების კუნთოვანი შრის დისფუნქციას და როგორც შედეგს, ყაბზობას.

ბულიმიისთვის ადამახასიათებელია ასევე სხვა გართულებებიც:

1. სახის შესიება, რაც გამოწვეულია გადიდებული სანერწყვე ჯირკვლებით;
2. მენსტრუალური ციკლის დარღვევები;
3. კუჭის ლორწოვანის შეშუპება;
4. დეჰიდრატაცია;
5. ხმის დაბოხება, ყელის ტკივილი და არასასიამოვნო სუნი პირის ღრუდან;
6. დაღლილობა და ძილიანობა;
7. მეტაბოლური დარღვევები.

ბულიმიის დაწყების ასაკი რამდენადმე აღემატება ანორექსიისას. ის უხშირესად ვითარდება 15 წლის ასაკში და მაქსიმალურ სიხშირეს მოზარდობის გვიან პერიოდში და 20-23 წლის ასაკში აღწევს. ამ ორ მდგომარეობას ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს. დაბალი თვითშეფასება და საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა, უკიდურესად გამოხატული უძლურების გრძნობა, საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება ჭრილობების სახით (ჩვეულებრივ, სხეულის იმ მიდამოებში, რომლებიც არ ჩანს), თვითმკვლელობის მცდელობები დამახასიათებელია ორივე მდგომარეობისთვის. ბულიმიით დაავადებულთა დაახლოებით 30%-ს ცხოვრების მანძილზე აღენიშნებათ ანორექსიისთვის დამახასიათებელი სიმპტომების ეპიზოდური გამოვლინება. ანორექსიით დაავადებულებს აღეგებს სექსუალურობის პრობლემა და ამის გამო შეიძლება თავი აარიდონ სქესობრივ ურთიერთობებს მაშინ, როდესაც ბულიმიის მქონე პირები, პირიქით, ცდილობენ ჰქონდეთ აქტიური სქესობრივი ცხოვრება (რაჰმანი 2013).

კვებითი დარღვევების მქონე ახალგაზრდებმა შეიძლება არასარწმუნო ინფორმაცია მოგვაწოდონ თავისი კვებითი ჩვევების შესახებ. ხშირად ისინი უარყოფენ ასეთი „პრობლემის“ არსებობას. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდებთან კვებითი ჩვევების შესახებ საუბარი განსაკუთრებული სიფრთხილით და დელიკატურობით უნდა წარიმართოს.

მიუხედავად დიდი ინტერესისა და მრავალრიცხოვანი კვლევებისა, კვებითი დარღვევების განვითარების მიზეზის შესახებ ერთიანი აზრი არ არის. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს გენეტიკურ წინასწარგანწყობას, რის საფუძველსაც იძლევა ოჯახის წევრებში კვებითი დარღვევების გამოვლენა და ტყუპებში ამ მდგომარეობების მაღალი სიხშირე.

ანორექსიასთან ასოცირებული რისკის ფაქტორებია მშობლების მაღალი დონის განათლება და შემოსავალი (თუმცა ეს კავშირი ცვალებადია), კვების ადრეული პრობლემები და ზედმეტად მზრუნველი ოჯახი. ბულიმიისთვის უფრო დამახასიათებელია წონის პრობლემები, ოჯახის წევრების დიეტაზე ყოფნა და მშობლებს შორის უთანხმოება.

ის ფაქტი, რომ კვებითი დარღვევები ამჟამად გამოვლინდა მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ადრე არ რეგისტრირდებოდა, მიუთითებს სოციალურ-კულტურული ფაქტორების

მნიშვნელობას. დასავლეთის იდეალი მიმზიდველობის შესახებ და ქალის სოციალური როლის ცვლილებები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი მოქმედი ფაქტორებია.

დიეტის დაცვამ შეიძლება პირველადი ბიძგის როლი შეასრულოს რისკის ფაქტორების მქონე ახალგაზრდებში კვებითი დარღვევების განვითარებაში. არსებობს მონაცემები, რომ ანორექსიის შემთხვევები თანდათან მატულობს (იგლსი 1995).

აღწერილი მდგომარეობების მართვა და მკურნალობა ხშირად ძალიან ხანგრძლივი და რთული პროცესია, განსაკუთრებით ეს ანორექსიას ეხება. თავდაპირველად, ანორექსიის შემთხვევაში, ძირითადი ძალისხმევა მიმართულია მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებასა და წონის შენარჩუნებისკენ სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით.

შემდგომში იწყება ფსიქოთერაპიის და კონსულტაციის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც მიზნად ისახავს თვითშეფასების აღდგენას. ბულიმიის შემთხვევაში მკურნალობა იწყება კვებაზე და სხეულის იმიჯზე შეხედულებების შეფასებით, რაც საკმაოდ ეფექტურ მიდგომად ითვლება.

სკოლებში იმ ბავშვებს, რომლებიც სწრაფად იკლებენ წონაში, შეიძლება აღნიშნებოდეთ კვებითი დარღვევის ადრეული სტადია. ამდენად მეტად მნიშვნელოვანია მათი დარწმუნება, რომ მათ ამ პრობლემის გადაჭრაში დახმარება ესაჭიროებათ. აღნიშნული მეტად

მნიშვნელოვანია ახლად აღმოცენებული ანორექსიის დროს, რომელიც შეიძლება დაეწყოს 8-12 წლის ასაკის ბავშვებს. შემთხვევათა ანალიზი მოწმობს, რომ დაავადების ადრეულ ეტაპებზე მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატული კვებითი დარღვევების სიხშირე სკოლებში საკმაოდ დაბალია, ბევრ ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ამ დაავადების ფარული, „სუბკლინიკური“ სტადიები (Kawachi / კავაჩი, 1999).

ბევრი, ბულიმიით დაავადებულები პირი, რომლებსაც სკოლის პერიოდში ჭარბი წონა ჰქონდათ, აღნიშნავს, როგორ განიცდიდნენ დაცინვას და მეტსახელების შერქმევას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კვებითი დარღვევების მკურნალობა რთულია. ამდენად, მეტად მიზანშეწონილია ამ დაავადების პრევენციისადმი მიმართული ღონისძიებების გატარება. კვებითი დარღვევები მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითშეფასებასთან და საკუთარი სხეულის ფორმის შესახებ წარმოდგენასთან. ახალგაზრდებისათვის დახმარების გაწევა საკუთარი და სხვების გარეგნობის მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში პრევენციის უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

ანორექსიის და ბულიმიის სოციალურ-კულტურული ფონი წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას. ამასთან, მშობლების, პედაგოგების და ფსიქოლოგების მხრიდან

მხარდაჭერა ხელს შეუწყობს კვებითი დარღვევების მქონე ახალგაზრდების უმრავლესობის გამოჯანმრთელებას და ნორმალური, ჯანსაღი ცხოვრების დაწყებას (Galani /გალანი 2007).

1.9 სიმსუქნე და ჯანსაღი ცხოვრების წესი

ცხოვრების ჯანსაღი წესი არის ცხოვრების გზა, რომელიც შეამცირებს სერიოზული ავადობის და ნაადრევი სიკვდილობის რისკს. რა თქმა უნდა, ყველა დაავადების თავიდან აცილება შეუძლებელია. თუმცა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვით შესაძლებელია ისეთი ქრონიკული არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის თავიდან აცილება ან გადავადება, როგორცაა არის გულსისხლძარღვთა დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, სიმსივნეები, ფილტვის ქრონიკული დაავადებები და სხვ (Roux / როუქსი, 2008).

სხეულის ოპტიმალური წონის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია ბალანსირებული კვება და ფიზიკური აქტიურობა.

ჯანსაღი კვების პრინციპების გათავისებისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ გსიამოვნებდეთ ის საკვები, რომელსაც მიირთმევთ და ამასთან, მოხმარებული საკვები იყოს ხელმისაწვდომი. ბალანსირებული კვება გულისხმობს ისეთ კვებით რაციონს, რომლის რეგულარული მიღებისას ორგანიზმი მარაგდება რაოდენობრივად და ხარისხობრივად საკმარისი მაკრო და მიკრო საკვები ნივთიერებებით, მეორადი ნუტრიენტებით (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, უჯრედისი, ანტიოქსიდანტები და სხვა აქტიური ნივთიერებები), რომ შენარჩუნდეს ორგანიზმის ოპტიმალური ფუნქციები და შესაბამისად, ოპტიმალური ჯანმრთელობა ცხოვრების წესის ზოგად კონტექსტში (ფიზიკური აქტიურობა, მენტალური მდგომარეობა) (Sobal / სობალი, 1999).

ჯანსაღი კვება გულისხმობს აუცილებელი საკვები ნივთიერებების მოხმარების უზრუნველყოფას მრავალფეროვანი საკვებით და ამავდროულად საჭირო რაოდენობის კალორას ჯანსაღი წონის შენარჩუნებისათვის.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ე.წ. „დასავლური ცხოვრების წესთან“ დაკავშირებული კვებითი ჩვევები. მისი ყველაზე ცუდი ფორმაა ე.წ.

„სწრაფი კვების“ პრინციპები. იგი იაფად, სწრაფად და ადვილად უზრუნველყოფს ადამიანის ენერგეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და სიმამძრეს, რითაც იზიდავს მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებს. თუმცა საკვების ეს ფორმა ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღ ცხოვრებას, იწვევს სხეულის წონის მატებას და სიმსუქნეს. ამ ტიპის საკვებით ადამიანის

ორგანიზმი ჭარბად მოიხმარს ისეთ საკვებ ნივთიერებებს, როგორც არის რაფინირებული ნახშირწყლები (აღნიშნულ საკვებში ცომეულის და შაქრების ჭარბად არსებობის გამო), ნაჯერი ცხიმები და ქოლესტერინი (აღნიშნულ საკვებში ცხოველური წარმოშობის კვებითი პროდუქტების ჭარბად არსებობის გამო). ისინი ჭარბწონიანობასა და სიმსუქნესთან ერთად ზრდიან ძირითადი ქრონიკული დაავადებების (გულსისხლძარღვთა დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვ.) და სიკვდილობის რისკს. ამდენად, ჯანსაღი კვების პრინციპების დამკვიდრებისათვის კვების რაციონიდან ამოღებული უნდა იქნას ე.წ. „სწრაფი კვების“ პროდუქტები და კერძები (სობალი 1999).


ბევრი ტრადიციული საკვები მართლაც ჯანსაღია, მაგ, სახლში დაწნილებული ბოსტნეული, მშრალი ხილი (ჩირი), თონეში გამომცხვარი უხეშად დაფქვილი ფქვილის პროდუქტები, მარცვლეული საკვები და სხვ. მაგრამ საკვების ნაწილი შესაძლოა იყოს არაჯანსაღი და მათი დიდი რაოდენობით მოხმარება ხელს უწყობდეს დაავადებების განვითარებას. მაგ, ჭარბცხიმოვანი ხორცის კერძები, სახლში დამზადებული ხორცის პროდუქტები - ლორი, შაშხი. თანამედროვე კვლევებით მიღებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ცხიმოვანი ხორცის პროდუქტების და კერძების ჭარბი რაოდენობით მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილობის რისკს. ორგანიზმის რეალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ მცირე რაოდენობით მჭლე ხორცის მოხმარებაც საკმარისია, ისიც არა ყოველდღიურად.

ბალანსირებული კვების პრინციპებიდან გამომდინარე ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დაავადების პრევენციისათვის აუცილებელია ნედლი ხილისა და ბოსტნეულის საკმარისი რაოდენობით (ყოველდღიურად 400გ-ზე მეტი) მოხმარება (ვილეტი 1995).

ქვემოთ მოცემულია გრაფიკული მთვლეელი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მარტივად ვაკონტროლოთ სხეულის წონა, მივადწიოთ და შევინარჩუნოთ ოპტიმალური სხეულის მასა.

გრაფიკის ჰორიზონტალურ ღერძზე მოცემულია სხეულის წონა კილოგრამებში, ხოლო ვერტიკალურზე — სიმაღლე მეტრებში.

ილუსტრაცია 2- გრაფიკული მთვლელი სხეულის წონის კონტროლისათვის



წყარო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2007 წელი

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ გამოიკვეთა ტერმინი ჯანსაღი ცხოვრების სტილი. იგი ითვალისწინებს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას სხვადასხვა მანერე ჩვევებისთვის (თამბაქოს მოხმარება, წამალდამოკიდებულება, ალკოჰოლის ჭარბად გამოყენება) თავის დანებების გზით. აუცილებელია ხალხის მოტივირება, რომ წესად გაიხადონ ჯანსაღი საკვების მიღება და გაზარდონ ფიზიკური აქტივობის დონე. ჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტივობა არის ორი ძირითადი კომპონენტი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის. კვებასა და სხვადასხვა დაავადებების განვითარებას შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება (Bush / ბუში, 1999). ევროპაში ნაადრევი სიკვდილობის დაახლოებით ერთი მესამედი გამოწვეულია კვებითი დარღვევებით და შესაბამისად, მათი პრევენცია სავსებით შესაძლებელია (Robertson /რობერტსონი, 1999). ძალიან მნიშვნელოვანია განათლების დონის ამაღლება, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ ხალხს ბოლომდე არ ესმის არაჯანსაღი ქცევის რისკი და ჯანმრთელობისთვის სავალალო შედეგები (Kerr /კერი, 2000). ასევე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შესახებ რჩევების დანერგვა პრაქტიკაში.

ადამიანებს აქვთ უნარი დააკავშირონ სიმსუქნე სხვადასხვა ფაქტორთან, ძირითადად გენეტიკურთან, და არ შეცვალონ თავისი ცხოვრების წესი. ჯანმრთელობის პრომოცია არ უნდა მოიცავდეს დიდაქტიკურ ელემენტებს, რომ არ გამოიწვიოს წინააღმდეგობის გრძობა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში. ინდვიდმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ პასუხისმგებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ერის კვებით ტრადიციებსა და თავისებურებებს. მაგ, სწრაფი კვების ობიექტებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს, რაც აისახა სიმსუქნის შემთხვევების გახშირების ტენდენციებზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში.

თანამედროვე ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გადაადგილების ძირითადი საშუალება გახდა ავტომობილი, რამაც მკვეთრად შეზღუდა ფეხით სიარულის ჩვევა და უარყოფით გავლენა მოახდინა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ჯანმრთელობის პრომოციასთან დაკავშირებული ლიტერატურა მოიცავს კვების რეჟიმის შეცვლას შემდეგნაირად: ცხიმის შემცირება საკვების მომზადებისას, ნაკლებციხმიანი რძის პროდუქტების მიღება, ნახშირწყლების შემცირება და ხილისა და ბოსტნეულის მიღების გაზრდა (ანდერსონი, 1992). ჯანსაღი კვება ფინანსურ შესაძლებლობებთანაც არის დაკავშირებული, ვინაიდან მცირე შემოსავლის მქონე ოჯახები ყიდულობენ გაყინულ და დაბალფასიან პროდუქტებს, რაც თავისთავად არ არის ჯანსაღი (Dowler /დოვლერი, 2001) . გარდა ფასისა, არაჯანსაღი კვების კიდევ ერთი მიზეზი დროის უქონლობაა. ნახევრად მზა, მიკროტალღურ ღუმელში მოსამზადებელი პროდუქტები აქტუალური გახდა დროის ეკონომიის მიზნით. სასარგებლო პროდუქტის მომზადება სადილის სახით კი ნაკლებ აქტუალური, განსაკუთრებით, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში.

ჯანმრთელობის პრომოცია ასევე ითვალისწინებს ფიზიკური აქტივობის აგიტაციას. იმ შემთხვევაში, თუ არ არის სავარჯიშო კლუბებში სიარულის შესაძლებლობა, ალტერნატიულად მიიჩნევა ფეხით ან ველოსიპედით სიარული. ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, დროის დეფიციტი იყოს შემზღუდველი ფაქტორი.

1.10 სიმსუქნის გავრცელება

ინდუსტრიულ ქვეყნებში აღინიშნება სიმსუქნის შემთხვევების მზარდი გავრცელება. მაგ, კანადაში 1985 წლიდან დღემდე სიმსუქნის შემთხვევები გაორმაგდა. National Health and Nutrition Examination Survey (NHANES)/ ნაციონალური ჯანმრთელობის და კვების კითხვარის მონაცემებით, აშშ-ში 20–დან 74 წლამდე ასაკის მოზრდილებში სიმსუქნის

გამოვლენა გაიზარდა 13.3 %-დან 30.9 % მდე (1960- დან 2000 წლამდე). 2002 წლის მონაცემებით ეს ტენდენცია არსებობდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე (Flegal / ფლეგალი, 2002). იაპონიაში სიმსუქნის გავრცელების სიხშირე 1982 წლიდან 2003 წლამდე გაორმაგდა (სიმსუქნის საერთაშორისო საგანგებო ჯგუფი, 2003).

სიმსუქნის გავრცელების ასეთივე სავალალო სურათია განვითარებად ქვეყნებშიც (Friedrich/ ფრიდრიხი, 2002). მაგ, აფრიკაში, სადაც საკვების დეფიციტი ფიქსირდება, სიმსუქნის გავრცელება მაინც მატულობს, 1980 წლიდან სიმსუქნის გავრცელება გასამმაგდა შუა აზიაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე (ჯანმო, 2003).

1.11 სიმსუქნის გავრცელება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში

ევროპაში სიმსუქნის გავრცელების სიხშირე ყველაზე მაღალია რუსეთში, პოლონეთში, იუგოსლავიის ქვეყნებში, განსაკუთრებით ქალებში (Molarius /მოლარიუსი, 2000).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის MONICA (Monitoring Trends and Determinants in cardiovascular Disease/ კარდიოვასკულური დაავადებების ტენდენციისა და ფაქტორების მონიტორინგი) პროექტის ფარგლებში შექმნილია ბაზა სიმსუქნის გავრცელების შესახებ. აღნიშნული პროექტი შეიქმნა, რათა განესაზღვრათ კარდიოვასკულური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის ტენდენცია და შეეფასებინათ რისკ-ფაქტორები. კვლევა ჩატარდა 26 ქვეყანაში 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში. კითხვარები ივსებოდა 200 კაციანი ჯგუფების არარანდომიზებული შერჩევის პრინციპით. მასში შედიოდა ორივე სქესი და 10 ასაკობრივი ჯგუფი 35–დან 64 წლამდე. საწყისი და საბოლოო კითხვარების შედარების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სიმსუქნის გავრცელება გაიზარდა ყველა პოპულაციაში (Jahns /იანსი, 2003) , გარდა ქალაქ მოსკოვისა, სადაც შეინიშნა სიმსუქნის გავრცელების შემცირება.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ყველაზე გამხდარი მამაკაცები არიან სკანდინავიის ქვეყნებში, ბელგიასა და ტულუზაში (საფრანგეთი). დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სიმსუქნის გავრცელება ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში (რუსეთში აღინიშნება ორჯერ მეტად).

1.12 არაგადამდებ დაავადებები საქართველოში

არაგადამდებ დაავადებათა გავრცელების შესახებ მონაცემების მიხედვით, საქართველოში აღინიშნება ეპიდემიოლოგიური ძვრები ქრონიკული დაავადებების ზრდის თვალსაზრისით. ამ დაავადებებით განპირობებული საფრთხე გამოიხატება სიკვდილობისა და DALY-ს (Disability-Adjusted Life Year / უუნარობასთან ადაპტირებული სიცოცხლის წლები) მაჩვენებლებით, ამ ძირითად ინდიკატორთა შეფასებების ხარისხის შესახებ ინფორმაცია არასაკმარისია.

დაავადებათა ძირითადი წილი საქართველოში არაგადამდებ დაავადებებთანაა დაკავშირებული და სწორედ ეს განპირობებს მკვეთრ განსხვავებებს საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჯანმრთელობის ინდიკატორთა შორის. ამავე დროს ცნობილია, რომ ნაადრევი სიკვდილობის, ავადობისა და ინვალიდობის მაჩვენებელთა შემცირება შესაძლებელია მათ ძირითად გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებით. სიკვდილიანობისა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მონაცემები ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებშიც მსგავსი ტენდენციებით გამოირჩევა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სიკვდილობის მაჩვენებლების მიხედვით, აღინიშნებოდა კონტრასტის გაღრმავება დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. დასავლეთის ქვეყნების საპირისპიროდ, ჯანდაცვის საბჭოური სისტემის მქონე ყველა ქვეყანაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი მცირდებოდა, ხოლო სიკვდილობის მაჩვენებელი კი იზრდებოდა. 1990 წელს ევროკავშირისა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის საშუალო მონაცემებს შორის განსხვავება შეადგენდა 7.2 წელს, ხოლო 1998 წლისათვის მან 10.2 წელს მიაღწია. (WHO- The European health report / ჯანმო, ევროპის ჯანმრთელობის რეპორტი, 2015.)

ამ სხვაობის თითქმის ნახევარი მოდიოდა გულსისხლძარღვთა დაავადებებით განპირობებულ სიკვდილობაზე. სიკვდილობის ინდიკატორთა თანდათანობითი ზრდა საქართველოში დაიწყო 1960 წლიდან, შემდგომში ზრდის ტემპი დაჩქარდა და ბოლო წლებში მან 70-75%-ს მიაღწია. კარდიოვასკულური დაავადებებით სიკვდილობის მაჩვენებელი საქართველოში აჭარბებს არა მარტო საშუალო ევროპულ, არამედ აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელსაც (ევროპის ჯანმრთელობის რეპორტი, 2015).

პრევენტაბელურ არაგადამდებ დაავადებათა წილის შემცირება გახდა საქართველოს მთავრობისა და ჯანმოს 2006-2007 წლების ერთობლივი ძალისხმევის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ქვეყანაში მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად (არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის პოტენციალის გაძლიერება) გამოიყო 3 მიმართულება: 2005 წლის საკვებზე დაფუძნებული დიეტური გზამკვლევის სადისემინაციო პაკეტის შემუშავება, არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა და არაგადამდებ დაავადებათა ინტეგრული პრევენციის რეკომენდაციათა გამომუშავება.

ამავე დროს, საქართველო აქტიურად ჩაერთო არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

1.13 სიმსუქნის ფიზიკური შედეგები

სხეულის წონასა და სიკვდილობის სიხშირეს შორის არსებული დამოკიდებულება პირველად აღწერილ იქნა სიცოცხლის დაზღვევის ინდუსტრიის მიერ (კავაჩი, 1999). ამის საფუძველზე აშშ-ში შეიმუშავეს სიმაღლისა და წონის მრუდები. იმ მრუდის ფორმა, რომელიც ასახავდა წონისა და სიკვდილობის დამოკიდებულებას, იყო J ფორმის ან U ფორმის. U ფორმის მრუდი ასახავს, რომ სხეულის მცირე ან ჭარბი წონა არის სიკვდილობის რისკ-ფაქტორი (Andres /ანდრესი, 1980) ; (სეკარეჩია, 1998). J ფორმის მრუდი ასახავს, რომ სიკვდილობა იზრდება, თუ არსებობს წონის დეფიციტი ან ჭარბი წონა (Peeters / პიტერსი, 2003).

სიმსუქნეს ხშირად განიხილავენ, როგორც სიკვდილობის რისკ-ფაქტორს, თუმცა კვლევებით დადგენილია რომ ეს ეხება შემთხვევებს, როდესაც BMI ≥ 40 კგ/მ². იტალიაში ჩატარებულმა კვლევამ 569 პაციენტზე აჩვენა, რომ ასეთი სახის სიმსუქნე დაკავშირებულია სიკვდილობის გაზრდილ რისკთან (Brunani /ბრუნანი, 2002). სხვა ავტორთა მონაცემებით, საკამათოა სიკვდილობისა და სიმსუქნის დამოკიდებულება, ვინაიდან საშუალო ხარისხის სიმსუქნე არ ზრდის სიკვდილობის რისკს (BMI 25-32კგ/მ²) (Bender / ბენდერი, 1998). თუმცა არსებობს კვლევა, რომელიც ამტკიცებს, რომ 1 ხარისხის სიმსუქნე მაინც ზრდის სიკვდილობის რისკს (Ferraro / ფერარო, 2003). გამოიკვეთა, რომ ქალებს აქვთ სიმსუქნით გამოიწვეული სიკვდილობის ნაკლები რისკი. არსებობს კავშირი მწველობასა და სიმსუქნეს შორის. მაგ, მწველ ქალებს, რომელთაც აღენიშნებათ ჭარბი წონა, სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვთ 13 წლით, ხოლო მამაკაცებს 14 წლით ნაკლები

(პიტერსი, 2003) არამწვევლ, არაჭარბწონიან ადამიანებთან შედარებით. ინგლისში დადგენილია, რომ სიმსუქნე იწვევს დაახლოებით 30000 სიკვდილის შემთხვევას წელიწადში (National Audit Office/ ნაციონალური აუდიტის ოფისი, 2001). სიმსუქნე უშუალოდ არ იწვევს სიკვდილობის გაზრდას, მაგრამ ზრდის ისეთი დაავადებების გავრცელებას, როგორც არის კარდიოვასკულური დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, სიმსივნური დაავადებები, ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებები და სხვ.

1.14 გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები

სიმსუქნე არის გულის იშემიური დაავადების (გ.ი.დ) განვითარების რისკ-ფაქტორი. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის განაწილებული ცხიმი (მაგ, აბდომინალური სიმსუქნე დაკავშირებულია გ.ი.დ-ის განვითარების გაზრდილ რისკთან). არსებობს პირდაპირპროპორციული კავშირი კარდიოვასკულური დაავადებების განვითარებასა და BMI შორის (Hubert / ჰუბერტი, 1983). დადასტურებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად არის დაკავშირებული სიმსუქნე ინსულტის გაზრდილ რისკთან, არ არსებობს, თუმცა რამდენიმე კვლევამ აჩვენა რომ შესაძლოა ასეთი კავშირი მაინც არსებობდეს (ჰუბერტი, 1983); (DiPietro /დიპიეტრო, 1994); (Shaper et al, 1997); (Kurth /კურთი, 2002). სხვა კვლევები არ ადასტურებს ამ ურთიერთკავშირს (Walker / ვოლკერი, 1996);

სიმსუქნესთან პირდაპირ კავშირშია არტერიული ჰიპერტენზიის რისკის ზრდა, ჰიპერქოლესტერინემია. დადასტურდა, რომ ჰიპერტენზია ორ-სამჯერ უფრო ხშირად გვხვდება მსუქან ქალებში მსუქან მამაკაცებთან შედარებით (ჯანმო, 2011) .

კვლევებით დასტურდება, რომ ბავშვთა ასაკის სიმსუქნე დაკავშირებულია ზრდასრულ ასაკში კარდიოვასკულური დაავადებების განვითარების გაზრდილ რისკთან (Freedman / ფრიდმანი, 1999).

63 კვლევის მეტა ანალიზი ეხებოდა ბავშვთა ასაკში ჭარბი წონის დამოკიდებულებას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკთან. გამოკვლეულ იქნა 49220 ბავშვი (Verbeeten/ ვერბეთინი, 2011). აღმოჩნდა, რომ ჭარბწონიან ბავშვებში სისტოლური წნევა 4.54. mm Hg- ით, ხოლო მსუქან ბავშვებში 7.49 mm Hg- ით მეტი იყო ნორმალური წონის ბავშვებთან შედარებით . ჭარბი წონა და სიმსუქნე დიდ გავლენას ახდენდა სისხლში ლიპიდების კონცენტრაციაზე. შესაბამისად, გაცილებით მაღალი იყო

ქოლესტეროლისა და ტრიგლიცერიდების დონე ჭარბწონიან და მსუქან ბავშვებში ნორმალური წონის ბავშვებთან შედარებით (ფრიდმანი, 2011).

1.15 შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2

კვლევებმა აჩვენა, რომ გარდა კარდიოვასკულური დაავადებების განვითარების რისკისა, აბდომინალური სიმსუქნე არის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკ-ფაქტორი. შ.დ.ტიპი 2 ძლიერ აქვეითებს სიცოცხლის ხარისხს და ასევე, საკმაოდ ძვირი ჯდება მისი მკურნალობა (Astrup / ასტრუპი, 2001). კვლევებით დადგინდა, რომ დიაბეტით დაავადებულთა დაახლოებით 80 პროცენტი არის მსუქანი (Pi-Suynen / პი-სუინერი, 1993). ამ ურთიერთკავშირის მიუხედავად, არ არის აუცილებელი, რომ ყველა მსუქან ადამიანს განუვითარდეს შაქრიანი დიაბეტი (ფინერი, 2000). დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ ფაქტორს. არსებობს მოსაზრება, რომ დიაბეტის გამომწვევი გენი პასუხისმგებელია წონის მატებაზეც (Ernsberger / ერნზბერგერი, 1999) და შესაბამისად, ჭარბი წონისა და დიაბეტის ეტიოლოგია ურთიერთკავშირშია. დიაბეტის დროს აღინიშნება ინსულინრეზისტენტობა, რაც თავის მხრივ იწვევს ჰიპერინსულინემიას. ეს მდგომარეობა ხშირად აღენიშნებათ მსუქან ადამიანებს. ჰიპერინსულინემია ასევე იწვევს ჰიპერტენზიის გაზრდილ რისკს, ზრდის დაბალი და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცველობას სისხლში, რაც იწვევს ქოლესტერინის ჩალაგებას სისხლძარღვებში და ზრდის კარდიოვასკულური დაავადებების განვითარების რისკს. სიკვდილიანობის დაახლოებით 75 პროცენტი შ.დ. ტიპი 2-ის დროს გამოწვეულია კარდიოვასკულური გართულებებით (ასტრუპი, 2001). არსებობს მოსაზრება, რომ დიაბეტის დიაგნოსტიკებიდან ერთი წლის განმავლობაში წონის დარეგულირება შეამცირებს დიაბეტით გამოწვეული სიკვდილობის რისკს (ლინი, 1990).

1.16 სიმსივნური დაავადებები

გარკვეული ტიპის სიმსივნეების რისკის ზრდა დაკავშირებულია ჭარბ წონასთან. არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებს ასეთ კავშირს ჭარბ წონასა და ენდომეტრიუმის სიმსივნეს შორის (Visscher / ვისჩერი, 2001). კვლევებიდან ჩანს ასევე პირდაპირი კავშირი სწორი ნაწლავის სიმსივნესა და სიმსუქნეს შორის მამაკაცებში (Caan / კანი, 1998) ; (Murphy / მარფი, 2000). ჭარბი წონა ზრდასრულ ასაკში დაკავშირებულია

პოსტმენოპაუზაში მყოფ ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების გაზრდილ რისკთან (Brinton / ბრინტონი, 1992); (Huang / ჰუანგი, 1997).

1.17 რესპირატორული დაავადებები

სუნთქვის უკმარისობა ხშირად თან ახლავს სიმსუქნეს. სიმსუქნე შეიძლება უკავშირდებოდეს სუნთქვითი უკმარისობით მიმდინარე ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორც არის ასთმა და ძილის აპნოე. ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია სიმსუქნესთან და სავარაუდო ხდება, თუ პიროვნებას ხვრინვის პრობლემა აქვს (არონი, 2002). ძილის აპნოე უფრო ხშირად გვხვდება მსუქან მამაკაცებში, თუმცა ქალების გარკვეულ პროცენტშიც აღინიშნება ეს პათოლოგია (Young / იანგი, 1993.) კვლევების მიხედვით, ძილის აპნოე გვხვდება მსუქანი ქალების 4% და მსუქანი მამაკაცების 2 %-ში. ხშირად იკვეთება კავშირი სიმსუქნესა და ბრონქულ ასთმას შორის. ეს კავშირი პირველად აღწერილი იყო 1980 –იან წლებში (Chinn / ჩინი, 2003). კვლევებმა აჩვენა რომ ბრონქული ასთმის სიხშირე უფრო მეტი იყო ქალებში, ხოლო მსუქან ქალებში იგი აღინიშნებოდა სამჯერ მეტად (Camargo / კამარგო, 1999). ბავშვობის ასაკში მსუქან გოგონებს უფრო ხშირად უვითარდებოდათ ასთმა მსუქან ბიჭებთან შედარებით. ამის საპირისპიროდ, კანადური კვლევის თანახმად არ არსებობს კავშირი ბავშვთა ასაკის სიმსუქნესა და ბრონქული ასთმის განვითარების სიხშირეს შორის. მეორე მხრივ, კვლევებმა აჩვენა, რომ წონის შემცირება ბრონქული ასთმის მქონე პაციენტებში იწვევს ფილტვის ფუნქციის გაუმჯობესებას და ასთმის სიმპტომების შემცირებას. (Stenius-Aarniala / სტენიუს - არნიალა, 2000) ; (Tantisira / ტანტისირა , 2001).

1.18 დარღვევები ძვალ-კუნთოვანი სისტემის მხრივ

სიმსუქნესთან პირდაპირ კავშირშია ოსტეოართრიტი. კვლევებმა დაადასტურა, რომ მისი ერთ-ერთი გამომწვევი სწორედ ჭარბი წონაა. ასევე არსებობს თეორია, რომ ოსტეოართრიტს იწვევს მომატებული წნევა სახსრებში (ერნზბერგერი, 1999), თუმცა ნორმალური წონის ადამიანებს ასევე შესაძლოა განუვითარდეთ აღნიშნული მდგომარეობა. ოსტეოართრიტი უფრო მეტად გვხვდება ქალებში. სიმსუქნესთან ასევე დაკავშირებულია შემდეგი მდგომარეობები: დისკოზი, ზურგისა და ბეჭების ქრონიკული

ტკივილი (Heliövaara / ჰელიოვარა, 1987), (Leboeuf-Yde / ლებეუფ- იდე, 1999), (Mäkelä / მაკელა ,1991).

1.19 სიმსუქნის ეკონომიკური მახასიათებლები

გარდა იმისა, რომ სიმსუქნე გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, მას ასევე აქვს ეკონომიკური ასპექტი. ამიტომ ხდება სიმსუქნის შეფასება ეკონომიკურ ჭრილში, რომ განისაზღვროს მკურნალობის პრიორიტეტები და ჯანდაცვის ბიუჯეტი ამ მიმართულებით (Thompson / ტომპსონი, 2001). რამდენიმე ეკონომიკურმა კვლევამ შეისწავლა მკურნალობის ხარჯები სიმსუქნესთან და სიმსუქნის მიერ გამოწვეულ დაავადებებთან მიმართებაში (არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, კარდიოვასკულური დაავადებები (ბიორნტორპი, 1997). დადგინდა, რომ მსუქანი ადამიანები უფრო ხშირად მიდიან ექიმთან ვიზიტზე, ვიდრე ნორმალური წონის მქონე ადამიანები (Trakas / თრაკასი , 1999). ისინი უფრო ხშირად მოიხმარენ სხვადასხვა მედიკამენტებს (ჰიპოტენზიურს, დიურეტიკებს, ანტიდიაბეტურ პრეპარატებს, ანტიდეპრესანტებს, საჭმლის მომნელებელი სისტემის სამკურნალო მედიკამენტებს, ტკივილგამაყუჩებლებს ზურგის ტკივილის და ართრიტის გამო და ა.შ.). გარკვეულ ქვეყნებში გამოთვლილ იქნა სიმსუქნის მკურნალობის ხარჯები. ჯანდაცვის ხარჯის დაახლოებით 2–7 % მოდის ჭარბი წონისა და სიმსუქნის მკურნალობაზე (სეიდელი , 1998), მაგ, ავსტრალიაში იგი შეადგენს 2%, საფრანგეთში, კანადასა და ახალ ზელანდიაში დაახლოებით 2,5 %-ს, (Birmingham / ბირმინგამი, 1999), (Swinburn / სვინბურნი, 1997) . ყველაზე მაღალია ეს ხარჯები აშშ-ში და უტოლდება 7 %-ს (ჩოლდიცი, 1999). გარდა პირდაპირი ეკონომიკური ხარჯისა, სიმსუქნეს აქვს არაპირდაპირი ეკონომიკური ზეგავლენაც, ვინაიდან იგი იწვევს შრომისუნარიანი ადამიანების შესაძლო უუნარობას და ნაადრევ სიკვდილობას. მაგ, ერთ–ერთ კვლევაში შესწავლილ იქნა უუნარობის გამო გაცემული პენსიები (Rissanen / რისანენი, 1990) და აღმოჩნდა რომ იგი 2 -ჯერ უფრო ხშირად გაიცემოდა მსუქან ადამიანებზე გამხდრებთან შედარებით. ასევე, შვედეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ პენსია შრომისუუნარობის გამო გაიცემოდა მსუქანი ქალების დაახლოებით 12 %-ში, ხოლო ნორმალური წონის მქონე ქალების მხოლოდ 5 %-ში. მსუქანი ქალები შვებულებას ავადმყოფობის გამო იღებდნენ წლის განმავლობაში 1,5 – ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე გამხდარი ქალები (Narbro / ნარბრო, 1996).

საბოლოო ჯამში, სიმსუქნე ინდივიდუალური ადამიანისათვის არის ხარჯი, ვინაიდან მოითხოვს დაზღვევის უკეთეს პაკეტს, უფრო ძვირიან ტანსაცმელს (ბუნებრივი მასალის) და ა. შ. (The Times/ თაიმსი, 2004).

Cost-effectiveness / ხარჯების ეფექტურობის - ის შესახებ არსებობს ურთიერთგამომრიცხველი კვლევები. მაგ, აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ (Kite / კიტი, 2015) აჩვენა, რომ სიმსუქნის პრევენცია 20–70 წლის ასაკში მნიშვნელოვნად ამცირებს ჯანდაცვის დანახარჯებს. მეორე მხრივ, ნიდერლანდებში ჩატარებულმა კვლევამ (Seidella / სეიდელა, 2011) აჩვენა, რომ 20 წლის ასაკში სიმსუქნის პრევენცია უფრო მეტ დანახარჯს მოითხოვს, ვიდრე პრევენციის არარსებობა. არსებობს კვლევები, რომლებიც ერთმანეთს ადარებს დანახარჯებს სიმსუქნით გამოწვეული დაავადებების დროს, თუმცა ყველა მათგანს აქვს ნაკლი. არცერთი მათგანი არ განიხილავს ადამიანის პროდუქტიულობის ზრდას სიმსუქნით გამოწვეული დაავადების და სიკვდილობის შემცირების შემთხვევაში. ასევე არცერთი არ განიხილავს, რამდენად ნაკლებია ბოლო წლის დანახარჯი, ვინაიდან რაც უფრო ხანდაზმულია ადამიანი, მით უფრო ნაკლებია ბოლო წლის დანახარჯი ავადობაზე (კიტი, 2015).

1.20 სიმსუქნის პრევენცია

აშშ-ში ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევებს ეპიდემიის სახე აქვს, ამიტომ მათი პრევენცია ძალიან მნიშვნელოვანია ამ ქვეყანაში. ბოლო პერიოდის პუბლიკაციები მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფიზიკური აქტივობა ჭარბი წონის პრევენციისათვის (Lee / ლი , 2010). ჭარბი წონის პრევენციისათვის შესაძლოა გამოყენებულ იყოს პრევენციის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდები მოიცავს ინდივიდის კვებითი თვისებების ცვლილებას და ფიზიკური აქტივობის დანერგვას. ხოლო არაპირდაპირი - ინდივიდის ქცევის ცვლილებას სოციოეკონომიკური და ფიზიკური გარემოს ცვლილების გზით. ეს ნიშნავს, გახდეს საზოგადოება ნაკლებ ობესოგენური (მიეცეს საზოგადოებას ჯანმრთელი არჩევანის საშუალება). მაგალითად, სკოლებში დანერგილი პროგრამები, რომლებიც ბავშვს აძლევს განათლებას ფიზიკურად აქტიური განვითარების შესახებ, არის პირდაპირი მეთოდი, ხოლო პროგრამები, რომელთა საშუალებითაც პოპულაცია ეწევა ფეხით სიარულს, ან ბანერები არაჯანსაღი საკვების ანტირეკლამით, წარმოადგენს არაპირდაპირ მეთოდს. არსებობს პუბლიკაციები ამ ორივე მეთოდის გამოყენების ეფექტურობის შესახებ (ვანგი ,

2003); (Moodie / მუდი , 2011); (Galani / გალანი , 2007); (Magnus / მაგნუსი , 2009). არსებობს ეკონომიკური ეფექტურობის მოდელი (მუდი, 2011). იგი შეიქმნა წონის პრევენციის ეკონომიკური ეფექტურობის შესაფასებლად. ეს მოდელი აფასებს დამოკიდებულებას BMI - სა და სიმსუქნესთან დაკავშირებულ სხვადასხვა დარღვევებს შორის. არსებობს სხვა მოდელებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ არცერთი არ არის სრულყოფილი. ასევე ნაადრევია საუბარი იმაზე, თუ რომელი მეთოდია ეკონომიკურად უფრო ეფექტური, ინდივიდზე თუ გარემოზე გათვლილი.

თავი II - კვლევის მასალები და მეთოდები

2.1 საქართველოში არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების

კვლევის მასალები

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს სიმსუქნისა და ჭარბი წონის დამოკიდებულების ანალიზს სოციო-დემოგრაფიულ მონაცემებთან, ქცევით რისკ-ფაქტორებთან, ფიზიკურ გაზომვებსა და ბიოქიმიურ მახასიათებლებთან საქართველოში ანალიზს საფუძვლად უდევს საქართველოში 2011 წელს ჩატარებული არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა.

2011 წლის არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევა ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდით – STEPS (WHO STEP wise approach to Surveillance / ჯანმო, ეტაპობრივი მიდგომა

ზედამხედველობისათვის). ეს არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდი - სტანდარტიზებული მიდგომა, რომ მოხდეს მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და მათი გავრცელება ჯანმო-ს წევრ ქვეყნებში. აღნიშნული კვლევა ტარდება მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაშიც. იგი ეფუძნება ეფექტურ და მეცნიერულად დადასტურებულ მეთოდოლოგიას და ინსტრუმენტებს, იძლევა სარწმუნო მონაცემებს. ერთიდაიგივე სტანდარტიზებული კითხვარებისა და პროტოკოლების გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება ქვეყნის შიგნით, არამედ შედარებების გაკეთება ქვეყნებს შორის.

აღნიშნული მეთოდი ასევე იძლევა საშუალებას მოხდეს მასალების ადაპტაცია ქვეყნის თავისებურებების და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით (ჯანმო , 2010) STEPS კვლევა არის თანმიმდევრული, ეტაპობრივი პროცესი. ის იწყება კითხვარით, რომელიც ემსახურება რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. შემდეგ ეტაპზე ემატება მარტივი ფიზიკური გაზომვები და ბიოქიმიური კვლევები. კვლევა აკმაყოფილებს ორ ძირითად მოთხოვნას:

1. სტანდარტიზებული მონაცემების შეგროვება,
2. ადაპტირება იმგვარად, რომ კვლევა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ქვეყანაში.

STEPS კვლევა ტარდება მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე და საშუალებას იძლევა მოხდეს მიღებული მონაცემების განზოგადოება მთელ პოპულაციაზე.

აღნიშნული მეთოდით კვლევა მოიცავს სამ ეტაპს:

STEP 1 - ინტერვიუება დემოგრაფიულ საკითხებზე (სქესი, ასაკი, განათლება, სოციალური სტატუსი და ა.შ.), ქვევით საკითხებსა (თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება, კვება, ფიზიკური აქტივობა) და კლინიკურ ანამნეზზე.

STEP 2 - ფიზიკური მონაცემების განსაზღვრა (სიმაღლე, წონა, წელისა და თემოს გარშემოწერილობა, გულისცემის სიხშირე).

STEP 3 - ბიოქიმიური გაზომვები (სისხლში გლუკოზის, საერთო ქოლესტეროლის, ტრიგლიცერიდების განსაზღვრა).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს კვლევის სრული პაკეტი, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კვლევის დაგეგმვის, ნიმუშის ზომის გამოთვლის, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შესახებ. STEPS კვლევის გუნდი ასევე უზრუნველყოფს მასალებს, ტრენინგებსა და კონსულტაციას.

არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა განახორციელა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ევროკავშირის გრანტით დაფინანსებული პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.

საქართველოში ნიმუშის ზომა შეირჩა მოსახლეობის 2002 წლის მონაცემთა ბაზის მიხედვით. შემდგომ მოხდა დაყოფა რეგიონების მიხედვით. ყველა რეგიონი გაიყო 2 ჯგუფად - ურბანული და სოფლის. ამგვარად, საქართველო დაიყო 22 ჯგუფად.

ჯგუფებში შერჩეულ იქნა კლასტერები, კლასტერებში - შინამეურნეობები.

აღწერის ერთეული არის პირველადი შერჩევის ერთეული, პირველადი შერჩევის ერთეულები საარჩევნო უბნებია, რომლებიც თითოეულ სტრატაში შემთხვევითი წესით, მათი ზომის პროპორციული ალბათობით შეირჩევა (CRRC-საქართველოს კვლევის გზამკვლევი 2011). ურბანულ დასახლებებში საქართველო დაყოფილია დაახლოებით 16 000 ერთეულად. თითოეულ ერთეულში საშუალოდ არის 85 შინამეურნეობა.

შინამეურნეობების შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით ინტერვიუერების მიერ. კვლევისთვის შესაფერისი აღმოჩნდა 6839 შინამეურნეობა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 64 წლამდე ასაკის 6497-მა საქართველოს მოქალაქემ (მონაწილეობის მაჩვენებელი 95%).

STEP 1. კითხვარი მოიცავს ძირითად, გაფართოებულ და ზოგჯერ ქვეყნის შესაბამის სპეციფიკურ დამატებით მოდულებს. ძირითადი მოდული გამოიყენება საბაზისო/ძირითადი ცვლადების გამოსათვლელად, გაფართოებულ მოდული - დეტალური ინფორმაციის მოსაძიებლად. მაგალითად, დემოგრაფიული ნაწილის

ძირითადი მონაცემები მოიცავს სქესს, დაბადების თარიღს, დაბადების ადგილსა და განათლებას, ხოლო გაფართოებული – ეთნიკურ ან კულტურალურ კუთვნილებას, განათლების დეტალიზაციას, საქმიანობის აღწერილობას, მონაცემებს ოჯახის წევრებზე, ოჯახის შემოსავლებს. კვლევის პროცესში ივსება კითხვარის ძირითადი და გაფართოებული ნაწილები. ძირითადი მოდულის კითხვები ისევე, როგორც მათი შესაბამისი კოდები, სავალდებულოა ნებისმიერი ქვეყნის ადაპტირებული ვერსიისათვის, ხოლო გაფართოებული მოდულის შემუშავება ხორციელდება ქვეყნის პრობლემების სპეციფიკის გათვალისწინებით.

კითხვარის ადაპტაცია მოხდა საქართველოს ადგილობრივი პირობების შესაბამისად, კითხვარის ადაპტაციის პროცესში ჩართული იყო ჯანმოს სტეპს ქენევის გუნდი.

ადაპტირებულ კითხვარში გამოყენებულ იქნა როგორც ძირითადი, ისე გაფართოებული და დამატებითი კითხვები. გაფართოებული კითხვები აღებულ იქნა როგორც სტეპის გლობალური ინსტრუმენტიდან (გაფართოებული დემოგრაფიული კითხვები, გაფართოებული კითხვები თამბაქოს, კვების, ფიზიკური აქტივობის შესახებ და პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ), ისე სამხრეთ ამერიკაში ადაპტირებული სტეპის კითხვარიდან. საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებით მოხდა ასევე შესაბამისი სპეციფიკური კითხვების დამატება

ჯანმო-ს სტეპს მეთოდის მიხედვით, გამოსაკვლევი კონტინგენტი მოიცავს 25-დან 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებს 10 წლიანი ინტერვალებით. მაგ, 25-34, 35-44, 45-54 და 55-64 ასაკობრივ ჯგუფებს, თუმცა საქართველოს შემთხვევაში გამოსაკვლევ კონტინგენტში შევიდა ასევე 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფიც.

აღნიშნული კვლევისთვის გამოყენებულ იქნა სპეციალური მობილური მოწყობილობა (PDA). ყველა ბრიგადას გააჩნდა 3 ძირითადი და 1 ლაბორატორიული PDA. ძირითადი აპარატებით გროვდებოდა ინფორმაცია სტეპ-1,2-სთვის, ხოლო ლაბორატორიული აპარატით მხოლოდ სტეპ 3-სთვის.

შინამეურნეობებში რესპონდენტის შერჩევა ხდებოდა კიშის მეთოდით. შინამეურნეობაში რესპონდენტის შერჩევაც ალბათობის პრინციპს ეფუძნება. ამისთვის გამოიყენება ლესლი კიშის მიერ შემუშავებული რესპონდენტის ობიექტური შერჩევის მეთოდი, „ბოლო დაბადების დღის“ მეთოდი და სხვა (CRRC-საქართველოს კვლევის გზამკვლევი, 2011).

აღნიშნული მეთოდი შემუშავებული იყო 1949 წელს იმისათვის, რომ შეერჩიათ რესპოდენტი გარკვეულ ერთეულში. კიშის მეთოდის მიხედვით შინამეურნეობაში ხდებოდა კვლევისათვის ყველაზე შესაფერისი რესპოდენტების შერჩევა. PDA-ში

შედიოდა შინამეურნეობის წევრთა მონაცემები და აპარატი ავტომატურად (რანდომულად) ახდენდა რესპონდენტის შერჩევას.

გარდა PDA-ებისა ყველა ინტერვიუერს გააჩნდა ელექტრონული სასწორი, არტერიული წნევის და პულსის საზომი აპარატი, სიმაღლის და გარშემოწერილობის საზომი ხელსაწყო. აღნიშნული აღჭურვილობა სტანდარტიზირებულ იქნა სავსე სამუშაოების დაწყებამდე.

ბიოქიმიური გამოკვლევებისათვის თითოეული ჯგუფის ლაბორანტს გადაეცა ანალიზატორი სისხლში გლუკოზის, საერთო ქოლესტეროლის, ტრიგლიცერიდების განსაზღვრისთვის.

რესპონდენტთან მუშაობა მოიცავდა:

1. ინფორმირებული თანხმობის ფორმის შევსებას ინტერვიუს წინ.
2. სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული მონაცემების, თამბაქოს, კვების რეჟიმისა და ფიზიკური აქტივობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას კითხვარის საშუალებით.
3. ფიზიკურ გაზომვებს (სხეულის წონა, სიმაღლე, წელისა და თეძოს გარშემოწერილობა, არტერიული წნევა, პულსი).
4. ბიოქიმიურ მონაცემებს (სისხლში გლუკოზის, საერთო ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების დონეს).

არტერიული წნევის გაზომვა ტარდებოდა ჯანმოს რეკომენდაციის მიხედვით.

რესპონდენტი წნევის გაზომვამდე 5 წუთი უნდა ყოფილიყო მოსვენებულ, მჯდომარე მდგომარეობაში. ამისათვის ჯერ რესპონდენტს უტარდებოდა გამოკითხვა მჯდომარე მდგომარეობაში, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში. შემდგომ ზომავდნენ არტერიულ წნევას და პულსს მარჯვენა ხელზე.


შემდეგ ეტაპზე იზომებოდა ანთროპომეტრიული პარამეტრები. კერძოდ, წონა, სიმაღლე და წელის გარშემოწერილობა. მონაცემები ფიქსირდებოდა როგორც PDA-ებზე ისე ნაბეჭდ ფორმებში.

ლაბორატორიული პროცედურა ტარდებოდა მეორე დილით. რესპონდენტის თითოეულ მიღებული სისხლი თავსდებოდა აპარატების ფირფიტებზე და პასუხი ავტომატურად ფიქსირდებოდა ციფერბლატებზე. ხდებოდა მონაცემების დაფიქსირება ნაბეჭდ ფორმებზე და ლაბორატორიულ PDA-ში. სტეპ 1,2-სთვის კითხვარი ივსება ძირითად PDA-ში, ხოლო სტეპ-3-სთვის - ლაბორატორიულ PDA-ში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 6497-მა მოქალაქემ, აქედან 1887 (29%) იყო მამაკაცი, ხოლო 4610 (71%) ქალი. მონაწილეები დაყოფილი იყვნენ 5 ასაკობრივ ჯგუფად.

რესპონდენტების ყველაზე მეტ ოდენობას (31%) შეადგენდა 55-დან 64 წლამდე ასაკის პირები. მას მოსდევდა 45-დან 54 წლამდე პირების ჯგუფი (26,4%), შემდგომ 35-დან 44 წლამდე (18,2%) და 25-დან 34 წლამდე ასაკის პირები (14%). ყველაზე მცირე რაოდენობას (10%) შეადგენდა 18-დან 24 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი.

ილუსტრაცია 3 – STEPS კვლევის მონაწილეები ასაკისა და სქესის მიხედვით



წყარო - არაგადამდებ რისკ-ფაქტორთა კვლევა საქართველოში (ანგარიში 2011)

ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით გადანაწილება თითქმის თანაბარი იყო და შეადგინა 26-31% მამაკაცებისთვის და 70-72% ქალებისათვის, გარდა 18-დან 24 წლამდე პირების ჯგუფისა, რომელშიც მამაკაცი შედარებით დიდი პროპორციით იყვნენ წარმოდგენილნი – 38,8%, ხოლო 55-დან 64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში პროპორციულად ქალები ჭარბობდნენ (73,9%).

ცხროლ 2. ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით გადანაწილება


ასაკობრივი	კაცი	ქალი	ორივე სქესი
ჯგუფი (წლები)	%	%	%
18-24	38.8	61.2	10.0
25-34	27.7	72.3	14.5
35-44	30.5	69.5	18.2
45-54	28.6	71.4	26.4
55-64	26.1	73.9	31.0
18-64	29.0	71.0	100.0

წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ იყო 6 ჯგუფი. ყველაზე დიდ ჯგუფს (64,3%) შეადგენდნენ დაქორწინებულები. შემდეგ დაუქორწინებლები (16,7%) და ქვრივები (12,3%). შედარებით მცირერიცხოვანი იყო განქორწინებულთა (3,4%) და ცალკე მცხოვრებთა (3,0%) ჯგუფები, ძალზე დაბალი - თანამცხოვრებლები (0.1%).

ილუსტრაცია 4 - გადანაწილება ოჯახური მდგომარეობის სტატუსის მიხედვით

ოჯახური მდგომარეობის პროცენტული განაწილება




წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

დასრულებული განათლების ხარისხის მიხედვით მონაწილეები (განათლების უმაღლესი დონე რომელსაც მონაწილემ მიაღწია) დაჯგუფებული იყვნენ 7 დონედ. განათლების არმქონე, არასრული დაწყებითი და სრული დაწყებითი განათლების მქონე პირების პროცენტული რაოდენობა იყო 0,3%, 0,3% და 0,6% შესაბამისად. მცირერიცხოვანი იყო ასევე დიპლომისშემდგომი განათლების მქონე (1,2%) და არასრული საშუალო განათლების მქონე (6,7%) პირები. გამოკითხულთა უმეტესობას ჰქონდა სრული საშუალო (57,2%) და საუნივერსიტეტო (33,6%) განათლება.

ილუსტრაცია 5 - არასრული საშუალო განათლების მქონე პირთა პროცენტული განაწილება ასაკის მიხედვით

არასრული საშუალო განათლების მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი ასაკების მიხედვით




წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

სამუშაო სტატუსის მიხედვით გამოყოფილი იქნა 4 ჯგუფი. ყველაზე დიდი ჯგუფი (65,3%) შეადგინა არაანაზღაურებადი სამუშაო სტატუსის მქონე პირებმა. ამ სტატუსის მქონე ქალები შეადგენდნენ გამოკითხულ ქალთა 70,6%-ს, კაცები_52,4%-ს.

არაანაზღაურებადი სამუშაო სტატუსის მქონე პირები განსაკუთრებით ჭარბობდნენ 18-დან 24 წლამდე ასაკში.

ილუსტრაცია 6- მამაკაცებისა და ქალების პროცენტული განაწილება სამუშაო სტატუსის მიხედვით

სამუშაო სტატუსის პროცენტული განაწილება




წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

საშუალო წლიური შემოსავლის მიხედვით გამოყოფილ იყო 5 ჯგუფი. გამოკითხულთა 95,5%-ის წლიური შემოსავალი 2600 ლარზე ნაკლები იყო. 3%-ის წლიური შემოსავლები მერყეობს 2600-5000 ლარის ფარგლებში და კიდევ უფრო მცირე (1,0%-ის) - 5000-10000 ლარის, 0,5%-ის - 10000-20000 ლარის ფარგლებში. კომლის წლიური შემოსავლების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 1587,4 ლარი.

თამბაქოს მოხმარების მიხედვით მწვეელი აღმოჩნდა მოსახლეობის 30.3%.

ილუსტრაცია 7 - პროცენტული გადანაწილება მწვევლობის სტატუსის მიხედვით



წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011


ცხრილი 3. რესპოდენტთა პროცენტული განაწილება მწვევლობის, სქესის და ასაკის მიხედვით

რესპოდენტთა პროცენტული განაწილება მწვევლობის, სქესის და ასაკის მიხედვით			
ასაკობრივი ჯგუფი (წლები)	კაცი % ამჟამად მწვეელი	ქალი % ამჟამად მწვეელი	ორივე სქესი % ამჟამად მწვეელი
18-24	45.2	5.0	26.5
25-34	62.7	3.7	36.1
35-44	65.3	5.7	33.7
45-54	57.5	5.7	29.9
55-64	40.1	3.2	20.9
18-64	55.5	4.8	30.3

წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

ალკოჰოლის მოხმარების საერთო პრევალენსი საქართველოში აღმოჩნდა საკმაოდ მაღალი, და შეადგინა 78.5%.

ილუსტრაცია 8 - მამაკაცებისა და ქალების პროცენტული გადანაწილება ალკოჰოლის მოხმარების მიხედვით



წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

ალკოჰოლის მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის მონაცემების მიხედვით იყო შემდეგი: რესპონდენტ მამაკაცთა დიდი უმრავლესობა (42.6%) ალკოჰოლს იღებდა თვეში 1-3 დღე, ხოლო 22.4% - კვირაში 1-4 დღე. ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 2-ჯერ და 7-ჯერ მეტი იყო ქალებში მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. ქალთა უმეტესი ნაწილი (75.3%), განსაკუთრებით 45 წლის ასაკის ზევით, ალკოჰოლს თვეში ერთხელ იღებდა.

ცხრილი 4- რესპონდენტების პროცენტული განაწილება საკვების მიღების სიხშირის მიხედვით მამაკაცებში

ასაკი	კაცი					
	% არა ყოველდღე	% 1/ დღეში	% 2/ დღეში	% 3/ დღეში	% 4/ დღეში	% >4/ დღეში
18-24	0	3.9	20.3	67.2	6.6	2.0
25-34	0	1.6	21.9	69.0	6.2	1.2
35-44	0	4.6	30.4	58.8	5.9	0.3
45-54	0	4.2	25.7	61.2	7.8	1.1
55-64	0	2.7	25.4	62.7	8.8	0.4
18-64	0.0	3.3	24.3	64.4	6.9	1.1

წყარო - არაგადამღებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

ცხრილი 5 - რესპონდენტების პროცენტული განაწილება საკვების მიღების სიხშირის მიხედვით ქალებში

ასაკი	ქალი					
	% არა ყოველდღე	% 1/ დღეში	% 2/ დღეში	% 3/ დღეში	% 4/ დღეში	% >4/ დღეში
18-24	0.4	4.2	30.3	56.9	8.0	0.2
25-34	0.0	3.7	31.5	57.5	7.0	0.2
35-44	0.0	3.2	35.5	55.1	5.9	0.3
45-54	0.0	4.7	36.9	52.1	6.1	0.2
55-64	0.0	2.7	31.0	58.4	7.5	0.4
18-64	0.1	3.8	33.3	55.7	6.8	0.3

წყარო - არაგადამღებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

ცხრილი 6- რესპონდენტების პროცენტული განაწილება საკვების მიღების სიხშირის მიხედვით მამაკაცებსა და ქალებში

ასაკიკ	სულ					
	% არა ყოველდღე	% 1/ დღეში	% 2/ დღეში	% 3/ დღეში	% 4/ დღეში	% >4/ დღეში
18-24	0.2	4.0	25.0	62.4	7.2	1.2
25-34	0.0	2.6	26.2	63.8	6.6	0.8
35-44	0.0	3.9	33.1	56.8	5.9	0.3
45-54	0.0	4.5	31.7	56.3	6.9	0.6
55-64	0.0	2.7	28.3	60.5	8.1	0.4
18-64	0.0	3.6	28.8	60.1	6.8	0.7

წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

დღის განმავლობაში სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაზე საშუალოდ დახარჯული დრო (წუთების საშუალო მაჩვენებელი დღეში) შემდეგნაირად განაწილდა: ორივე სქესისათვის ყველაზე მეტი დრო იხარჯებოდა სამუშაოსთან დაკავშირებულ ფიზიკურ აქტივობაზე (141,7 წუთი/დღე), ტრანსპორტით გადაადგილებასთან დაკავშირებულ ფიზიკურ აქტივობას ხმარდებოდა 54,0 წუთი/დღე. ყველაზე ცოტა იყო დასვენებასთან დაკავშირებული ფიზიკური აქტივობა (6,9 წუთი/დღე). ყველა სახის ფიზიკურ აქტივობაზე მამაკაცები უფრო მეტ დროს ხარჯავდნენ. კერძოდ, სამუშაოსთან დაკავშირებით 1,16-ჯერ, ტრანსპორტთან დაკავშირებით 1,36-ჯერ, ხოლო დასვენებასთან დაკავშირებით - 3,37-ჯერ მეტ დროს.


სამუშაოსთან დაკავშირებულ ფიზიკურ აქტივობაზე დახარჯული დროის რაოდენობა ორივე სქესისათვის 18-54 წლის კონტიგენტში ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით.

სამუშაოსთან დაკავშირებული ფიზიკური აქტივობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა 35-54 წლის კონტიგენტი როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებშიც.

დასვენებასთან დაკავშირებულ ფიზიკურ აქტივობაზე დახარჯული დროის რაოდენობა ორივე სქესისათვის ასაკის მატებასთან ერთად მცირდებოდა. დასვენებასთან დაკავშირებულ ფიზიკურ აქტივობაზე ყველაზე მეტ დროს ხარჯავდა 18-დან 24 წლამდე ასაკის კონტიგენტი.


ძლიერ ფიზიკურ აქტივობას არ აღნიშნავდა გამოკითხულთა 78,6%. ქალებს შორის ძლიერი ფიზიკური აქტივობა არ აღნიშნებოდა 88,6%, მამაკაცებში - 68,7%. ასაკის

მატებასთან ერთად ძლიერი ფიზიკური აქტივობა ქალებში იზრდებოდა. მამაკაცებში ასაკის მატებასთან ერთად ძლიერი ფიზიკური აქტივობა მცირდებოდა ილუსტრაცია 9 - რესპონდენტთა პროცენტული განაწილება ანამნეზში არტერიული წნევის გაზომვის სტატუსის, სქესის და ასაკის მიხედვით



წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011


ილუსტრაცია 10 - რესპონდენტთა პროცენტული განაწილება ანამნეზში სამედიცინო პერსონალის მიერ სისხლში შაქრის დონის გაზომვის სტატუსის და ასაკის მიხედვით



წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

რესპოდენტების უმრავლესობა (56.1%), რომელთაც დიაგნოსტირებული ჰქონდათ შაქრიანი დიაბეტი, პასუხობდა, რომ იღებენ რეკომენდაციას სპეციალური კვებითი რაციონის შესახებ. მათი 48.4% ბოლო ორი კვირის განმავლობაში იღებდა ანტიდიაბეტურ პერორალურ ტაბლეტებს, 13.9% იტარებდა ინსულინოთერაპიას, 29.3% ახორციელებდა ექიმის რეკომენდაციას წონის დაკლების მიზნით, 16.2% - რეკომენდაციას ფიზიკური ვარჯიშის დაწყებასა და ინტენსივობაზე, უმცირესობა (13.7%) - რეკომენდაციას თამბაქოს მოწევის შეწყვეტის შესახებ.


ილუსტრაცია 11 - ანამნეზში მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტის, ინსულტის, სიმსივნის და მომატებული ქოლესტეროლის არსებობა სქესის მიხედვით



წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

რესპოდენტთა დაავადების ანამნეზში აღნიშნული დაავადებების სიხშირე ასაკობრივი ჯგუფების მატების პროპორციულად იზრდებოდა. მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტი ანამნეზში ყველაზე ხშირად (9.6%) 55-დან 64 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებს აღნიშნებოდათ, ხოლო ამავე ასაკის ქალებს – მიოკარდიუმის ინფარქტი და ინსულტი - 3.8% და 3,6%-ში შესაბამისად.

ილუსტრაცია 12- მემკვიდრეობაში ჰიპერგლიკემიის ან დიაბეტის, მაღალი არტერიული წნევის, ინსულტის, სიმსივნის, ჰიპერქოლესტერინემიის, მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტის არსებობის სტრუქტურა



წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

მემკვიდრეობაში დაავადებების არსებობის შესახებ გამოკითხულთა უმრავლესობა (55.9%) ოჯახურ ანამნეზში ასახელებდა მაღალ არტერიულ წნევას, მეორე პოზიციას ოჯახურ ანამნეზში სიმსივნეები იკავებდნენ (20.8%), შემდეგ დიაბეტი და ჰიპერგლიკემია - (20.5%). გამოკითხულთა მინიმალური რაოდენობა (2.3%) ოჯახურ ანამნეზში აღნიშნავდა ჰიპერქოლესტერინემიას.

ასაკობრივ ჯგუფებში პროცენტულ გადანაწილებას შემდეგი სახე ქონდა

დაავადება	18-24	25-34	35-44	45-54	55-64
დიაბეტი ან მომატებული გლუკოზის დონე სისხლში	20.4	22.2	18.8	21	19
მაღალი არტერიული წნევა	49.3	58.9	57.1	56	58.2
ინსულტი	15.5	17.2	17.8	19.4	18.9
სიმსივნე	19.1	22.3	20.8	20.3	21.3
მომატებული ქოლესტეროლი სისხლში	2.1	2	2.9	2.7	1.8
მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტი	14.6	14.4	14.1	13.8	13.5

ცხრილი 7 - გულისცემის საშუალო მაჩვენებელი სქესის და ასაკის მიხედვით

გულისცემა წუთში			
ასაკობრივი	კაცი	ქალი	ორივე სქესი
ჯგუფი (წლები)	საშუალო	საშუალო	საშუალო
18-24	79.7	85.1	82.2
25-34	83.1	83.3	83.2
35-44	81.3	81.9	81.6
45-54	80.8	80.6	80.7
55-64	80.0	79.8	79.9
18-64	81.2	82.2	81.7

წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

გულისცემა ორივე სქესში იყო ნორმაზე ოდნავ მაღალი იყო და შეადგენდა 81,7 დარტყმას წუთში. ქალებში პულსი მეტი იყო მამაკაცებთან შედარებით.

ბიოქიმიური მაჩვენებლებიდან ისაზღვრებოდა სისხლში გლუკოზის საშუალო დონე უზმოდ, რომელიც სქესისა და ასაკის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: უზმოდ გლუკოზის საშუალო მაჩვენებელი მამაკაცებში შეადგენდა 5.8 მმოლ/ლ, ქალებში - 5.4 მმოლ/ლ. ასაკის მატებასთან ერთად ორივე სქესში აღინიშნება ამ მაჩვენებლის მატება. მამაკაცებში გლუკოზის საშუალო მაჩვენებელი სისხლში ოდნავ აჭარბებდა ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

აქვე უნდა აღინიშნოს შეუსაბამო კვლევის დროს მიღებულ მონაცემებსა და რესპოდენტების ანამნეზს შორის. კერძოდ, ანამნეზში დიაბეტის დიაგნოზი აღნიშნა 3,5%-მა, ხოლო ობიექტური გასინჯვით (გლუკოზის განსაზღვრა სისხლში) ეს მონაცემი 16,3%-ს აღწევდა.

საერთო ქოლესტეროლის საშუალო მაჩვენებელი (172.9 მგ/დლ) აღინიშნა ორივე სქესის პირებში. იგი მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა სქესის და ასაკის მიხედვით.

ტრიგლიცერიდების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (129.4 მგ/დლ) სქესისა და ასაკის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა.

ცხრილი 8 - ბიოქიმიური მაჩვენებლები სქესისა და ასაკის მიხედვით

მმოლ/ლ			
ასაკობრივი	კაცი	ქალი	ორივე სქესი
ჯგუფი (წლები)	საშუალო	საშუალო	საშუალო
18-24	1.3	1.2	1.3
25-34	1.4	1.3	1.4
35-44	1.6	1.3	1.5
45-54	1.7	1.6	1.6
55-64	1.6	1.7	1.6
18-64	1.5	1.4	1.5

წყარო - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში, ანგარიში 2011

2.2 სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი შესადარებელ ჯგუფებში

კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით

ჩვენს კვლევაში მიზნად დავისახეთ დაგვედგინა არსებობდა თუ არა კავშირი სიმსუქნესა და ჭარბწონიანობასა და სხვა ფაქტორებს შორის, როგორცაა სოციო-დემოგრაფიული მონაცემები, ქცევითი რისკ-ფაქტორები, ფიზიკური გაზომვები, ბიოქიმიური მახასიათებლები, ანამნეზში სხვადასხვა დაავადებების არსებობა. ზემოთ აღწერილი კვლევების საფუძველზე მოხდა მონაცემთა მეორადი ანალიზი კვლევის რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ძალიან პოპულარულია. მათ იყენებენ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებში, სოციალურ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მონაცემების მოპოვების საიმედო ტექნიკაა. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთელ მსოფლიოში სისტემატურად ხდება მოსახლეობის აღწერა, ყოველწლიურად ტარდება შინამეურნეობის კვლევები და ყოველდღიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კვლევები. ეს ყველაფერი რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ხორციელდება. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები საშუალებას იძლევა, სწორად განხორციელებული შერჩევის შემთხვევაში, მოსახლეობის ფართო ჯგუფებზე მოხდეს შედეგების განზოგადება (Cresswell / კრესველი, 2007).

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები წარმოადგენს სისტემატიზირებულ გამოკვლევას სტატისტიკური, მათემატიკური და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. მონაცემი გამოიხატება ციფრებში, მაგ: სტატისტიკური მონაცემი, პროცენტული მაჩვენებელი და ა.შ. ეს ნიშნავს რომ რაოდენობრივი კვლევისას მკვლევარი უსვამს რესპოდენტს სპეციფიურ შეკითხვას და ლებულობს კონკრეტულ პასუხს. ამ პასუხების შეჯამებით და ანალიზით ხდება მაჩვენებლის მიღება. მკვლევარი მიღებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას აწარმოებს და ვარაუდობს რომ გარკვეულ პოპულაციაზე ჩატარებული კვლევის შედეგის განზოგადება შესაძლებელი იქნება უფრო დიდ პოპულაციაზე მკვლევართა შორის არსებობს შეხედულება, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ობიექტური რეალობის უკეთესი ასახვაა, ვიდრე თვისობრივი, რომლებიც დამოკიდებულია მკვლევრის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე (კრესველი, 2007) .

რაოდენობრივი კვლევისას ხდება გარკვეული მახასიათებლის (ცვლადის) შერჩევა და შემდეგ იმის განსაზღვრა თუ როგორ არის იგი განაწილებული პოპულაციაში. შესაძლებელია მონაცემების შეგროვება მრავალი ცვლადის შესახებ – კითხვარებით ან დაკვირვებით. ეს ცვლადები შეიძლება იყოს დამოკიდებული ან დამოუკიდებელი. დამოუკიდებელია ცვლადი რომლითაც ვმანიპულირებთ და რომელიც გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადებზე ჩვენს შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადებია:

1. სოციო-დემოგრაფიული მონაცემები:

- სქესი
 - მდედრობითი
 - მამრობითი
- ასაკი
- განათლების დონე
 - არანაირი სასკოლო განათლება
 - არასრული დაწყებითი
 - სრული დაწყებითი
 - არასრული საშუალო
 - სრული საშუალო
 - საუნივერსიტეტო
- ოჯახური მდგომარეობა
 - დაუქორწინებლები
 - ამჟამად ქორწინებაში მყოფი

- ცალკე მცხოვრები
 - განქორწინებული
 - ქვრივი
 - სამუშაო სტატუსი
 - სახელმწიფო მოხელე
 - არასამთავრობო სექტორში მომუშავე
 - თვითდასაქმებული
 - სტუდენტი
 - დიასახლისი
 - პენსიონერი
 - უმუშევარი
2. *ქცევითი განზომილებები*
- 10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვა დღის განმავლობაში,
 - ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში
 - საკვების მიღების ჯერადობა
 - დღეში 1-ელ
 - დღეში 2-ჯერ
 - დღეში 3 ჯერ
 - დღეში 4 ჯერ
 - მწეველობის სტატუსი
 - მწეველი
 - არამწეველი
3. *ფიზიკური განზომილებები:*
- თემოს გარშემოწერილობა,
 - გულისცემის სიხშირე,
4. *ბიოქიმიური განზომილებები:*
- უზმოზე გლუკოზის დონე,
 - ქოლესტერინის დონე სისხლში,
5. *დაავადებების ანამნეზი:*
- მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობა ანამნეზში,
 - ინსულტის არსებობა ანამნეზში,
 - სიმსივნური დაავადება ანამნეზში,

- ქოლესტერინის მომატებული დონე ანამნეზში,
- მემკვიდრეობაში დიაბეტის არსებობა,
- მემკვიდრეობაში ჰიპერტენზიის არსებობა,
- მემკვიდრეობაში ინსულტის არსებობა,
- მემკვიდრეობაში სიმსივნური დაავადებების არსებობა,
- მემკვიდრეობაში მაღალი ქოლესტერინის არსებობა,
- მემკვიდრეობაში მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობა.

დამოკიდებულ ცვლადად ჩვენს შემთხვევაში განიხილება ჭარბი წონა და სიმსუქნე. კვლევისას ჩვენ ვიყენებთ სხეულის მასის ინდექსს (სმი) როგორც ჭარბწონიანობისა და სიმსუქნის მახასიათებელს. ამგვარად,დამოკიდებულ ცვლადად მოვიაზრებთ სმი-ს.

მონაცემთა დამუშავება ჩვენს კვლევაში მოხდა SPSS პროგრამის საშუალებით. მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა მარტივი T- ტესტი და მრავლობითი რეგრესიის მეთოდი, ასევე გამოვლენილ იქნა დაავადებათა შეფარდებითი რისკები ჭარბი წონისა და სიმსუქნის მქონე პოპულაციაში.

აღნიშნულ ანალიზში გამოყენებულ იქნა ტ-ტესტი იმისათვის რომ შეგვედარებინა ჯგუფებში სმი-ს განაწილება და დაგვედგინა ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო იყო თუ არა. აღნიშნული ტესტი საშუალებას იძლევა შედარდეს კონკრეტული მონაცემები იმისათვის რომ დაადასტუროს ან გააბათილოს ნულოვანი ჰიპოთეზა. ტ-ტესტი თვალსაჩინოდ აჩვენებს სტატისტიკურად სარწმუნოა თუ არა ჯგუფებს შორის განსხვავება. სტატისტიკური სარწმუნოება ნიშნავს, რომ ორ პოპულაციას შორის რომლიდანაც შესასწავლი ნიმუში იქნა აღებული, არსებობს განსხვავება.

ჩვენს კვლევაში ჩამოყალბებულ იქნა რამდენიმე ჰიპოთეზა:

1. სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი იცვლება დემოგრაფიული და ქცევითი ფაქტორების გავლენით
2. სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი მაღალია იმ ადამიანებში რომელთაც აღენიშნებათ ანამნეზში მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი, იმ ინდივიდებთან შედარებით რომელთაც არ აქვთ დამძიმებული ანამნეზი.
3. სისხლში გლუკოზისა და ქოლესტერინის მაღალი დონე აღენიშნებათ ადამიანებს სმი-ს მაღალი მაჩვენებლით
4. სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლის მნიშვნელობა დამოკიდებულია სხვადასხვა ტიპის საკვები პროდუქტის მოხმარებაზე

აღნიშნული ჰიპოთეზების გამოსაცდელად ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი სადაც ნიმუშის ზომამ შეადგინა 6402 ადამიანი (მთელი პოპულაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო STEPS კვლევაში).

პირველ ეტაპზე ჩატარდა ანალიზი სტატისტიკური სარწმუნოების დადგენისათვის ჯგუფებს შორის.

2.3 სხეულის მასის ინდექსის კავშირი ფაქტორების სხვადასხვა ჯგუფთან

რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით

მრავლობითი რეგრესიის მიზანია აიგოს მოდელი ფაქტორების დიდი რიცხვისათვის და განისაზღვროს მათი, როგორც თითოეულის, ისე ერთობლივი ზეგავლენა მოდელირებულ ფაქტორზე. (Schneider / შნიდერი, 2010) . რეგრესიული ანალიზი სტატისტიკური პროცესია რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას მრავალ დამოუკიდებელ და უმეტეს შემთხვევაში ერთ დამოკიდებულ ცვლადს შორის. ამ შემთხვევაში ხდება დადგენა იმისა თუ რამდენად იცვლება დამოკიდებული ცვლადი დამოუკიდებელი ცვლადების ცვლილებისას. შესაძლოა განისაზღვროს რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილება ერთდროულად, შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ ერთი, ხოლო სხვები დარჩეს უცვლელი. რეგრესიულ ანალიზში ასევე ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი დამოუკიდებელ ცვლადსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის არსებობს კორელაცია, მისი საშუალებით შესაძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ცვლადებს შორის. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ შეკითხვას - ახდენს თუ არა გავლენას დამოუკიდებელი ცვლადები დამოკიდებული ცვლადის ცვლილებაზე. ფაქტიურად ეს არის ნულოვანი ჰიპოთეზის გამოცდა, რაც უფრო ახლოსაა რეგრესიის კოეფიციენტი ერთთან, მით უფრო მეტად დადებითი კორელაცია არსებობს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადს შორის.

რეგრესიული ანალიზის საშუალებით შესაძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ცვლადებს შორის და პასუხობს შეკითხვას - ახდენს თუ არა გავლენას დამოუკიდებელი ცვლადები დამოკიდებული ცვლადის ცვლილებაზე.

მრავლობითი რეგრესიული ანალიზი ჩატარდა შემდეგ პარამეტრებზე :

1. სოციო - დემოგრაფიული მონაცემები, რომელშიც შევიდა შემდეგი ცვლადები: სქესი, ასაკი, განათლების დონე, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო სტატუსი ბოლო 12 თვის მანძილზე;

2. ქცევითი რისკ-ფაქტორები : თამბაქოს მოხმარება, ყოველდღიური 10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვა, საკვების მიღების ჯერადობა დღეში, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე ბოლო 12 თვის განმავლობაში;
3. ფიზიკური განზომილებები: თემოს გარშემოწერილობა და გულისცემის სიხშირე;
4. ბიოქიმიური განზომილებები : სისხლში გლუკოზისა და ქოლესტერინის დონე;
5. ანამნეზში დაავადებების არსებობა : ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნე; მიოკარდიუმის ინფარქტი;
6. მემკვიდრულ ანამნეზში დაავადებების არსებობა: დიაბეტი ან მომატებული გლუკოზის დონე სისხლში, მაღალი არტერიული წნევა, ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნე, მომატებული ქოლესტერინის დონე სისხლში, მიოკარდიუმის ინფარქტი;
7. სხვადასხვა პროდუქტის მოხმარება კვირის დღეების რაოდენობის მიხედვით: ხილის , ბოსტნეულის, ხორცპროდუქტების, თევზეულის , რძის პროდუქტების, პურის, ცხიმის (ამ უკანასკნელის მიხედვით გამოყოფილ იქნა ორი ჯგუფი: 1. მცენარეული ზეთის 2. კარაქის ან ერბოს მომხმარებლები); აღნიშნულ ანალიზში შეფასდა ასევე გარეთ დამზადებული საკვების დამოკიდებულება სხეულის მასის ინდექსთან.


თავი III - სხეულის მასის ინდექსის გავრცელების ანალიზი სტატისტიკური მეთოდების საშუალებით

3.1. სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელება სხვადასხვა ჯგუფში რაოდენობრივი კვლევის მარტივი ტ-ტესტის გამოყენებით

6293 პირის, მათ შორის 4453 ქალისა და 1840 მამაკაცის სხეულის მასის ინდექსის (სმი) შესწავლით დადგენილი იქნა, რომ ჭარბი წონის (სმი=25.0-29.9) პრევალენტობა ყოველ 1,000 მოსახლეზე ორივე სქესში შეადგენს 314-ს. ამავე დროს, ჭარბი წონა ყოველ 1,000 ქალზე აღენიშნება 257-ს, ხოლო 1,000 მამაკაცზე - 368-ს. სიმსუქნის (სმი=30+)

პრევალენტობა ყოველ 1,000 მოსახლეზე ორივე სქესში შეადგენს 251-ს. ამავე დროს, სიმსუქნე ყოველ 1,000 ქალზე აღენიშნება 285-ს, ხოლო 1,000 მამაკაცზე - 218-ს. ამდენად, ჭარბი წონის სიხშირე უფრო პრევალირებს მამაკაცებში (368%0), ხოლო სიმსუქნის-ქალებში (285%0).

ილუსტრაცია 13- ჭარბი წონისა და სიმსუქნის გავრცელება 1000 მოსახლეზე სქესის მიხედვით




წყარო - კვლევის მასალები

როგორც ჭარბი წონის, ისე სიმსუქნის სიხშირე მატულობს ასაკთან ერთად. ჭარბი წონისა და სიმსუქნის (სმი=25+) პრევალენტობა და ყოველ 1,000 მოსახლეზე ორივე სქესში ასაკობრივ ჯგუფში 45-54 წელი შეადგენს 738-ს, ხოლო ასაკობრივ ჯგუფში 55-64 წელი-763-ს. ამავე დროს, ჭარბი წონა და სიმსუქნე 45-54 წლის ასაკში ყოველ 1,000 ქალზე

აღნიშნება 727-ს, ხოლო 55-64 წლის ასაკში ყოველ 1,000 ქალზე - 925-ს. ჭარბი წონა და სიმსუქნე 45-54 წლის ასაკში ყოველ 1,000 მამაკაცზე - აღნიშნება 860-ს, ხოლო 55-64 წლის ასაკში ყოველ 1,000 მამაკაცზე - 595-ს.

ამდენად, ჭარბი წონისა და სიმსუქნის სიხშირე ასაკობრივ ჯგუფში 45-54 წელი უფრო პრევალირებს მამაკაცებში (860‰), ხოლო ასაკობრივ ჯგუფში 55-64 წელი- ქალებში (925‰). ანუ, სხვა სიტყვებით, ასაკთან ერთად წონის მომატებისა და სიმსუქნის განვითარების ტენდენცია ერთი დეკადით ადრე იწყება მამაკაცებში.

ილუსტრაცია 14- ჭარბი წონისა და სიმსუქნის გავრცელება 1000 მოსახლეზე სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

რაოდენობრივი კვლევის ტ-ტესტის საშუალებით მიღებული მონაცემები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებსა და ილუსტრაციებში.

მწველობის სტატუსის მიხედვით სხეულის მასის ინდექსი შედარებულ იქნა 2 ჯგუფში: 1. მწველები და 2. არამწველები

ცხრილი 9 - სხეულის მასის ინდექსი მწვევლობის სტატუსის მიხედვით

თამბაქოს მოხმარება	საშუალო	N	სტანდარტული გადახრა
დიახ	26.79	1181	8.0933837
არა	28.41	5221	12.2870653
სულ	28.11	6402	11.6442329


წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 10 - სხეულის მასის ინდექსი მწვევლობის სტატუსის მიხედვით (2)

	კვადრატების ჯამი	df	საშუალო	F	Sig.
BMI ჯგუფებს (კომბინირებული)	2532.734	1	2532.734	18.731	.000
BMI შორის ჯგუფების შიგნით	865367.071	6400	135.214		
მთლიანი	867899.805	6401			

წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 15 - სხეულის მასის ინდექსი მწვევლობის სტატუსის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

T-ტესტის საშუალებით გამოთვლილ იქნა დამოკიდებულება მწვევლობასა და სხეულის მასის ინდექსს შორის. აღნიშნულ გრაფიკზე წარმოდგენილია მწვევლები (1) და არამწვევლები (2). მწვევლების საშუალო სმი შეადგენს 26.75, ხოლო არამწვევლების - 28.5, განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა. აღნიშნული შედეგის მიხედვით აღმოჩნდა, რომ თამბაქოს გამოყენება დაკავშირებულია სმი-ს დაბალ მაჩვენებელთან. ინდოეთში ჩატარებული კვლევის თანახმად (Mangesh / მანგეში. 2006), თამბაქოს გამოყენება წარმოადგენს წონის დეფიციტის რისკ-ფაქტორს. იგივეს განზოგადება საქართველოს პოპულაციაზე ვერ მოხდება, ვინაიდან მწვევლებში სმი-ს მნიშვნელობა არ უახლოვდება წონის დეფიციტს . აღსანიშნავია, რომ ინდოეთის მსგავს ქვეყნებში რეკომენდებულია კონტროლი თამბაქოს გამოყენებაზე, რომ მოხდეს წონის დეფიციტის პრევენცია.

განათლების დონის მიხედვით კვლევაში შესწავლილ იყო შემდეგი ჯგუფები

1. არანაირი სასკოლო განათლება
2. არასრული დაწყებითი
3. სრული დაწყებითი
4. არასრული საშუალო
5. სრული საშუალო
6. საუნივერსიტეტო

ჩვენს კვლევაში განისაზღვრა სმი-ს ცვლილება აღნიშნულ ჯგუფებში


ცხრილი 11 - სმი მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით

განათლება	საშუალო მაჩვენებელი	N	სტანდარტული გადახრა
1	25.9	20	6.2
2	26.6	22	5.9
3	27.8	40	6.7
4	27.8	425	11.0
5	28.5	3665	12.6
6	27.5	2151	9.4

წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე მაღალი სმი აღმოჩნდა სრული საშუალო განათლების მქონე ჯგუფში. ხოლო ყველაზე დაბალი - განათლების არმქონე პირებს

ილუსტრაცია 16 - სხეულის მასის ინდექსი განათლების დონის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 12 - სმი მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით (2)

	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
BMI Between (Combined) Groups	1644.746	6	274.124	2.024	.059
BMI Within Groups	866255.058	6395	135.458		
BMI Total	867899.805	6401			

წყარო - კვლევის მასალები

აღნიშნული მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურული მიმოხილვის თანახმად, სხეულის მასის ინდექსი დაბალია უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებში. საუნივერსიტეტო განათლების მქონე ქალებს ჰქონდათ

2.1 კგ/ მ²- ით ნაკლები სმი არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებთან შედარებით (ჰერმანი, 2011) . მამაკაცებისათვის განსხვავება ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ნაკლები- აბსოლუტური რიცხვების მიხედვით (1.4 კგ/ მ²). ევროპულ ქვეყნებში მტკიცე უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა განათლების დონესა და სხეულის მასის ინდექსს შორის. აღნიშნული კვლევის შედეგის მიხედვით, საქართველოში ასეთი კორელაცია არ არის, ვინაიდან ყველაზე დაბალი სმი აღმოაჩნდა განათლების არმქონე მოსახლეობას, ხოლო ყველაზე მაღალი - სრული საშუალო განათლების მქონე პოპულაციას. აღნიშნული შედეგის მიხედვით შესაძლოა მსჯელობა სკოლაში ჯანსაღი კვების პრინციპების დანერგვის აუცილებლობაზე, ვინაიდან განათლების დონე არ განსაზღვრავს ცხოვრების სწორი რეჟიმის ჩვევას.

შესწავლილი იყო სმი-ს დამოკიდებულება საკვების მიღების ჯერადობასთან .

მიღების ჯერადობის მიხედვით ანალიზში შესწავლილი იქნა შემდეგი ჯგუფები:

- 1- დღეში 1-ელ
- 2- დღეში 2-ჯერ
- 3- დღეში 3 ჯერ
- 4- დღეში 4 ჯერ


ცხრილი 13 - სმი მაჩვენებლები საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით

საკვების მიღების ჯერადობა	საშუალო მაჩვენებელი	რაოდენობა	სტანდარტული გადახრა
1	27.74	233	7.2031966
2	28.42	2054	13.0659561
3	27.86	3674	10.2116638
4	29.17	411	17.1151778

წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე მაღალი სმი აღნიშნა იმ პირებს რომლებიც იკვებებოდნენ დღეში ოთხჯერ, ხოლო ყველაზე დაბალი მათ ვინც საკვებს ღებულობდა დღეში ერთხელ.

ილუსტრაცია 17- სმი ცვლილება საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 14 - სმი მაჩვენებლები საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით (2)

		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
BMI	Between Groups (Combined)	1407.491	5	281.498	2.078	.045
BMI *	Within Groups	866492.313	6396	135.474		
X5	Total	867899.805	6401			

წყარო - კვლევის მასალები

განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ ანალიზში გამოყენებულ იყო მხოლოდ საკვების მიღების ჯერადობა. იმ შემთხვევაში, თუ ანალიზში გათვალისწინებული იქნება ინდივიდის დღიური ფიზიკური აქტივობაც, რასაკვირველია, შედეგი შეიძლება შეიცვალოს. ლიტერატურული მიმოხილვის მიხედვით იმ ადამიანებს, რომელთაც სტაბილური აქვთ საკვების მიღების ჯერადი ჩვევა (მაგ, 3- ჯერ დღეში), აღნიშნებათ უფრო დაბალი სმი, არიან უფრო გამხდრები იმ ადამიანებთან შედარებით, რომელთა კვების ჩვევა არის შემთხვევითი ხასიათის და შესაძლოა მერყეობდეს 1-დან 5- მდე და მეტჯერ დღეში. ლიტერატურაში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა იმის შესახებ, ახდენს თუ არა გავლენას

დღის განმავლობაში მიღებული საკვების ჯერადობა სხეულის მასის ინდექსზე.

შესაბამისად, სასურველია კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით.

(ამიგო, 2007).


ყოველდღიური 10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვის მიხედვით ანალიზში შევიდა ორი

ჯგუფი: 1. ადამიანები რომლებიც დღეში ათი წუთი მაინც იტვირთებოდნენ ფიზიკურად და 2.

ფიზიკური დატვირთვის არმქონე ინდივიდები

ილუსტრაცია 18- სხეულის მასის ინდექსი ყოველდღიური 10- წუთიანი ფიზიკური

დატვირთვის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 15 - სმი მაჩვენებელი ათწუთიანი ფიზიკური დატვირთვის მიხედვით

	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
სხეულის ჯგუფებს მასის შორის ინდექსი ჯგუფებში სულ	2201.674	1	2201.674	16.277	.000
	865698.131	6400	135.265		
	867899.805	6401			

წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 16 - სმი მაჩვენებელი ათწუთიანი ფიზიკური დატვირთვის მიხედვით (2)

10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვა	Mean	N	Std. Deviation
1	27.74	4586.00	10.29
2	29.04	1816.00	14.47
სულ	28.11	6402.00	11.64

წყარო - კვლევის მასალები

იმ პირებში, რომლებიც ყოველდღიურად 10 წუთი მაინც იტვირთებოდნენ ფიზიკურად, სმი-ს მაჩვენებელი აღმოჩნდა 27.7, ხოლო იმ პირებში, რომლებიც 10 წუთსაც არ გამოყოფდნენ ფიზიკურ დატვირთვაზე დღის განმავლობაში, სმი-მ შეადგინა 29.0, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ლიტერატურის მიხედვით, უფრო დაბალი სმი აღენიშნებათ ფიზიკურად აქტიურ ადამიანებს და საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ასეთ ადამიანებში სმი-ს ზრდა ხდება გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ფიზიკურად არააქტიურ ადამიანებში. აღნიშნულმა კვლევამ მოგვცა საშუალება დაგვიკვირებოდით ქართველ პოპულაციაში ფიზიკური დატვირთვის ზეგავლენას სმი-ს ცვლილებაზე. აღმოჩნდა, რომ თუნდაც 10 წუთიანი დატვირთვა დღეში სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას იძლევა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფიზიკური აქტივობის პრომოციამ ბავშვთა ასაკში შესაძლოა დადებითი შედეგი მოგვცეს სიმსუქნის პრევენციის თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემული შედეგის მიხედვით ფიზიკური დატვირთვა ეფექტური მეთოდია ჭარბწონიანობასთან ბრძოლის საკითხში.

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შესწავლილი იყო 5 ჯგუფი

1. დაუქორწინებლები
2. ამჟამად ქორწინებაში მყოფი
3. ცალკე მცხოვრები
4. განქორწინებული
5. ქვრივი

ილუსტრაცია 19- სხეულის მასის ინდექსი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 17 - სმი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით

			Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
სმი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით	Between Groups	(Combined)	16011.082	5	3202.216	24.042	.000
	Within Groups		851888.723	6396	133.191		
	Total		867899.805	6401			

წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე დაბალი სმი აღმოჩნდა იმ პირებში, რომლებიც არ იყვნენ დაქორწინებულნი. სმი იზრდებოდა ქორწინებაში მყოფ პირებში და ყველაზე მაღალი აღმოჩნდა ქვრივებისათვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ჯგუფი იყო ყველაზე მცირერიცხოვანი, ამიტომ არ არის გამორიცხული არასანდო შედეგი.

განქორწინებაში მყოფთათვის საშუალო სმი კვლავ იკლებდა.

უცხოური ლიტერატურის თანახმად, დაქორწინება დაკავშირებული იყო სმი-ს მატებასთან (Dinour / დინოური, 2012) ხოლო განქორწინება - სმი-ს კლებასთან. აღნიშნული შედეგები არ განსხვავდება მოცემულ კვლევაში მიღებული შედეგებისაგან. შესაძლოა დამატებითი კვლევებით ფრიად სასარგებლო ინფორმაცია იქნას მოძიებული, რაც საფუძვლად დაედება რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს სმი-ს საშუალო მაჩვენებლის შენარჩუნება ქორწინების პერიოდშიც. სავარაუდოდ უმოდრაო ცხოვრების წესი და სახლში უფრო მეტი

დროის გატარება განაპირობებს აღნიშნულ შედეგს, თუმცა ეს ყველაფერი შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.


სამუშაო სტატუსის მიხედვით შესწავლილ 7 ჯგუფში სმი-ს მაჩვენებელი გადანაწილდა შემდეგნაირად:

ცხრილი 18 - სმი მაჩვენებელი სამუშაო სტატუსის მიხედვით

ჯგუფები სამუშაო სტატუსის მიხედვით	სმი
1 სახელმწიფო მოხელე	28.373816
2 არასამთავრობო სექტორში მომუშავე	27.255669
3 თვითდასაქმებული	28.456184
4 სტუდენტი	22.848159
5 დიასახლისი	28.759659
6 პენსიონერი	30.382922
7 უმუშევარი	26.690590

წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 20- სმი სამუშაო სტატუსის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე მაღალი სმი აღმოაჩნდათ პენსიონერებს, თუმცა შესაძლოა მიგველო სხვადასხვა მონაცემი იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერები დაჯგუფებული იქნებოდნენ ასაკის მიხედვით. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ საჯარო მოსამსახურეები, დიასახლისები და თვითდასაქმებულები დაახლოებით ერთნაირი სმი-თ - 28-დან 29- მდე. ყველაზე დაბალი სმი აღენიშნებოდათ სტუდენტებს და უმუშევრებს. ლიტერატურის მიხედვით, სამუშაო სტატუსი პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული შემოსავალზე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელზე (Nakade / ნაკადე, 2015).

საინტერესო შედეგები იქნა მიღებული ანამნეზში სხვადასხვა დაავადების არსებობასა და სხეულის მასის ინდექსს შორის კავშირის კუთხით .

განხილულ იქნა 4 ნოზოლოგია - ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნე, მომატებული ქოლესტეროლი სისხლში, მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტი.


ანამნეზში სიმსივნის არსებობისას მიღებულ იქნა შემდეგი:

ცხრილი 19 - სმი მაჩვენებელი ანამნეზში სიმსივნის არსებობის მიხედვით

ანამნეზში სიმსივნის არსებობა	სმი
დიახ	36.424389
არა	27.999671
სულ	28.110211

წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 21- სმი ანამნეზში სიმსივნის არსებობის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები


პირველ ჯგუფს წარმოადგენს ადამიანები, რომელთაც აღენიშნებოდათ სიმსივნე ანამნეზში და მათი სმი იყო დაახლოებით 35. მეორე ჯგუფში საშუალო სმი იყო 27. შეიძლება ითქვას, რომ მსუქანი ადამიანები იმყოფებოდნენ სიმსივნური დაავადებების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ.

აშშ კიბოს ასოციაციის მონაცემებით, მომატებული სმი-ს მქონე ადამიანებში სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკი მაღალია იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებენ სხეულის ნორმალურ წონას. აღმოჩნდა, რომ ჭარბი წონა ზრდის სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნის განვითარების რისკს, კერძოდ, სარძევე ჯირკვლის, სწორი ნაწლავის, ენდომეტრიუმის, საყლაპავის, თირკმლის, პანკრეასის. მუცლის

არეში ჭარბი ცხიმის არსებობა დაკავშირებულია სწორი ნაწლავის კიბოს გაზრდილ რისკთან. თუმცა ამ დამოკიდებულების მექანიზმები ბოლომდე შესწავლილი არ არის, სტატისტიკური კვლევა ასეთ შედეგს გვთავაზობს. დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ასაკში ხდება წონის მატება. ჭარბი წონა ბავშვთა ასაკში დაკავშირებულია სიმსივნური დაავადებების განვითარების გაზრდილ რისკთან. (ედმუნდსი, 2001).

აშშ კიბოს საზოგადოების რეკომენდაციით, საჭიროა სხეულის ნორმალური მასის შენარჩუნება მთელი ცხოვრების განმავლობაში, რადგან ამ შემთხვევაში ქვეითდება სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკი. იგივე რეკომენდაცია შესაძლოა მიეცეს საქართველოს მოსახლეობას, ვინაიდან კვლევის შედეგი იძლევა ანალოგიური დასკვნის გაკეთების საშუალებას.

ილუსტრაცია 22- სმი ანამნეზში ინსულტის არსებობისას



წყარო - კვლევის მასალები

ანამნეზში ინსულტის არსებობის მიხედვით შედარებულ იქნა ორი ჯგუფი:

პირველ ჯგუფს წარმოადგენდნენ პირები, რომელთაც ანამნეზში ჰქონდათ ინსულტი, ხოლო მეორე ჯგუფს ის პირები, რომელთაც არ გადაუტანიათ ინსულტი.

განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა. პირველ ჯგუფში საშუალო სმი დაფიქსირდა 33, ხოლო მეორე ჯგუფში- 28.

ცხრილი 20 - სმი მაჩვენებელი ანამნეზში ინსულტის არსებობის მიხედვით

ინსულტი ანამნეზში	სმი
1	32.971954
2	28.034632
სულ	28.110211

წყარო - კვლევის მასალები

ცხრილი 21 - სმი მაჩვენებელი ანამნეზში ინსულტის არსებობის მიხედვით (2)

	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
BMI_A Between Groups (Combined)	2352.391	1	2352.391	17.394	.000
BMI * Within Groups	865547.414	6400	135.242		
S1A Total	867899.805	6401			

წყარო - კვლევის მასალები

აღნიშნული შედეგიდან ნათელია, რომ ინსულტის რისკი უფრო მაღალია იმ ადამიანებში, რომელთაც აღნიშნებათ სხეულის ჭარბი წონა, თუმცა ლიტერატურის თანახმად დიდი მნიშვნელობა აქვს ინსულტის ტიპსაც. აღმოჩნდა, რომ სმი-ს მაღალი მაჩვენებელი არის იშემიური ინსულტის განვითარების რისკ ფაქტორი, თუმცა არ არის დადგენილი კორელაცია ჰემორაგიულ ინსულტთან.

ჩვენი მონაცემების თანახმად შესაძლოა ზოგადი მსჯელობა, რომ მაღალი სმი დაკავშირებულია ინსულტის მომატებულ რისკთან. უფრო კონკრეტული დასკვნები საჭიროებს შემდგომ კვლევას.


ანამნეზში მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობისას მაღალი სმი აღნიშნათ იმ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ გადატანილი ინფარქტი. მათთვის საშუალო სმი იყო 35. იმ პირებში, რომლებსაც ანამნეზში არ აღნიშნებოდათ მიოკარდიუმის ინფარქტი, სმი-მ შეადგინა 27.9.

ცხრილი 22 -სმი მაჩვენებელი ანამნეზში მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობის მიხედვით

ინფარქტი ანამნეზში	სმი მაჩვენებელი
1	34.989414
2	27.938397
სულ	28.110211

წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 23- სმი ანამნეზში მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობისას



წყარო - კვლევის მასალები

სხეულის მასის ინდექსის ქოლესტერინის დონესთან მიმართებაში გამოყოფილი იყო ორი ჯგუფი. 1 ჯგუფის ინდივიდებს აღნიშნებოდათ ქოლესტერინის მომატებული დონე. მე- 2 ჯგუფში არ აღინიშნებოდა ქოლესტერინის დონის მომატება სისხლში.


ცხრილი 23 -სმი მაჩვენებელი სისხლში ქოლესტერინის დონის მიხედვით

	საშუალო	N	სტანდარტული გადახრა
1	31.4733	108	6.45563
2	28.0525	6294	11.70509
სულ	28.1102	6402	11.64423

წყარო - კვლევის მასალები

პირველ ჯგუფში საშუალო სმი-მ შეადგინა 31.4, ხოლო მეორე ჯგუფში 28 . განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია

ილუსტრაცია 24 - სმი მაჩვენებელი სისხლში ქოლესტერინის დონის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ზემოთაღნიშნული ანალიზი გამოყენებულ იქნა, რათა მარტივი ტ-ტესტის საშუალებით შეფასებულიყო ერთიდაიგივე ცვლადის შემთხვევაში სხვადასხვა ჯგუფებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. ამგვარად, რაოდენობრივი კვლევის აღნიშნული მეთოდის საშუალებით შესაძლებელი გახდა ჯგუფებს შორის სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლის შედარება.

3.2 სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელება საკვლევ პირთა ჯგუფებში რაოდენობრივი კვლევის მარტივი ტ-ტესტის გამოყენებით (რეზიუმე)

ტ-ტესტის გამოყენება პოპულარული და გამართლებულია, რათა მოხდეს კვლევის ჰიპოთეზის გამოცდა. ჩვენს კვლევაში შესწავლილ იქნა მთელი რიგი დამოუკიდებელი ცვლადების კორელაცია ჭარბ წონასა და სიმსუქნესთან, შესაბამისად, კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე ჰიპოთეზა. ჩატარებული კვლევის შედეგად მოხდა აღნიშნული ჰიპოთეზის დადასტურება ან უარყოფა. აღნიშნული მეთოდი ასევე იძლევა საშუალებას დადგინდეს შესადარებელ ჯგუფებს შორის განსხვავების სტატისტიკური სარწმუნოობის ხარისხი.

მთელი რიგი კვლევების თანახმად დადგენილ იქნა რომ სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი უფრო დაბალია მწვევლებში არამწვევლებთან შედარებით (ჯანმრთელობის და კვების ნაციონალური კითხვარი) . აღნიშნული შრომების საფუძველზე ჩამოყალიბეთ ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც საქართველოს პოპულაციაში მწვევლების სხეულის მასის ინდექსი დაბალია არამწვევლებთან შედარებით.

T-ტესტის საშუალებით გამოთვლილ იქნა დამოკიდებულება მწვევლობასა და სხეულის მასის ინდექსს შორის. მწვევლების საშუალო სმი-მ შეადგინა 26.75, ხოლო არამწვევლების - 28.5, განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა. აღნიშნული შედეგის მიხედვით თამბაქოს გამოყენება დაკავშირებულია სმი-ს დაბალ მაჩვენებელთან. ამ მონაცემის თანახმად დადასტურებული იქნა კვლევის ჰიპოთეზა და უარყავით ნულოვანი ჰიპოთეზა.

განათლების დონის მიხედვით კვლევაში შესწავლილ იყო შემდეგი ჯგუფები

1. არანაირი სასკოლო განათლება
2. არასრული დაწყებითი
3. სრული დაწყებითი
4. არასრული საშუალო
5. სრული საშუალო
6. საუნივერსიტეტო

ჩვენი ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში : სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი მით უფრო დაბალია, რაც უფრო მაღალია ადამიანის განათლების დონე.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი:

1. არანაირი სასკოლო განათლება - 25.9
2. არასრული დაწყებითი - 26.6

3. სრული დაწყებითი - 27.8
4. არასრული საშუალო - 27.8
5. სრული საშუალო - 28.5
6. საუნივერსიტეტო - 27.5

განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, თუმცა გამოიკვეთა რომ განათლების დონე არ არის უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში სხეულის მასის ინდექსთან. ყველაზე დაბალი სმი აღმოჩნდა სასკოლო განათლების არმქონე ინდივიდებში, მაშინ როდესაც ყველაზე მაღალი სმი აღმოაჩნდათ სრული საშუალო განათლების მქონე პირებს. კვლევის ჰიპოთეზის დადასტურება აღნიშნული კვლევის საფუძველზე არ მომხდარა, რის გამოც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განათლების დონე არ განსაზღვრავს ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩვევას და საჭიროა ყველას ინფორმირება განათლების დონის მიუხედავად.

საკვების მიღების სიხშირესთან მიმართებაში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: საკვების მიღების სიხშირე არ განსაზღვრავს სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს

საკვების ჯერადობის მიხედვით ჩატარებულ ანალიზში მიღებულ იქნა შემდეგი:

- 1.საკვების მიღება დღეში 1-ელ - სმი - 27.74კგ/მ²;
- 2.საკვების მიღება დღეში 2-ჯერ - 28.42კგ/მ²;
3. საკვების მიღება დღეში 3 ჯერ - 27.86კგ/მ²;
4. საკვების მიღება დღეში 4 ჯერ - 29.17კგ/მ²;

ჯგუფებს შორის აღნიშნა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება, თუმცა აღნიშნულ ანალიზში გამოყენებულ იყო მხოლოდ საკვების მიღების ჯერადობა. თუ ანალიზში გათვალისწინებული იქნება ინდივიდის დღიური ფიზიკური აქტივობაც, რასაკვირველია, შედეგი შეიძლება შეიცვალოს. მრავალი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანებს, რომელთაც აღნიშნებათ სტაბილური კვების რეჟიმი (მაგ, 3- ჯერ დღეში დაახლოებით ერთიდაიგივე დროს), აქვთ უფრო დაბალი სმი და არიან უფრო გამხდრები იმ ადამიანებთან შედარებით, რომელთა კვების ჩვევა არის შემთხვევითი ხასიათის და შესაძლოა მერყეობდეს 1-დან 5- მდე და მეტჯერ დღეში. ლიტერატურაში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა იმის შესახებ, ახდენს თუ არა გავლენას დღის განმავლობაში მიღებული საკვების ჯერადობა სხეულის მასის ინდექსზე. შესაბამისად, სასურველია კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით.

ფიზიკური დატვირთვის მიხედვით აღნიშნულ კვლევაში შესწავლილ იყო ორი ჯგუფი: ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად სულ ცოტა 10 წუთს ხარჯავდნენ ფიზიკურ დატვირთვაზე და პირები, რომლებიც სრულიად არ იტვირთებოდნენ დღის განმავლობაში.

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად: არსებობს კორელაცია ფიზიკურ დატვირთვასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის, კერძოდ ყოველდღიური დატვირთვის მქონე ინდივიდების სმი უფრო დაბალია დატვირთვის არმქონე პირებთან შედარებით. პირველ ჯგუფში (10 წუთიანი დატვირთვის მქონე პირებში) სმი-ს მაჩვენებელი აღმოჩნდა 27.7, ხოლო იმ პირებში, რომლებიც 10 წუთსაც არ გამოყოფდნენ ფიზიკურ დატვირთვაზე დღის განმავლობაში, სმი-მ შეადგინა 29.0, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. აღნიშნული ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას რომ ფიზიკური დატვირთვის ყოველდღიური რეჟიმი განაპირობებს სხეულის მასის ინდექსის დაბალ მაჩვენებელს.

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შესწავლილი იყო 5 ჯგუფი

1. დაუქორწინებლები
2. ამჟამად ქორწინებაში მყოფი
3. ცალკე მცხოვრები
4. განქორწინებული
5. ქვრივი

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, ყველაზე დაბალი სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი აღნიშნებათ დაუქორწინებელ პირებს.

მიღებული შედეგის მიხედვით:

1. დაუქორწინებლები - 24.79
2. ამჟამად ქორწინებაში მყოფი - 28.54
3. ცალკე მცხოვრები - 29.54
4. განქორწინებული - 27.91
5. ქვრივი - 30.07

აღნიშნულმა დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა, თუმცა საკმაოდ საინტერესო შედეგები იქნა მიღებული დანარჩენი ოჯახური სტატუსის მიხედვითაც. განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

უცხოური ლიტერატურის თანახმადაც, დაქორწინება დაკავშირებული იყო სმი-ს მატებასთან (დინოური, 2012) ხოლო განქორწინება - სმი-ს კლებასთან. აღნიშნული შედეგები არ განსხვავდება მოცემულ კვლევაში მიღებული შედეგებისაგან. სავარაუდოდ უმოძრაო

ცხოვრების წესი და სახლში უფრო მეტი დროის გატარება განაპირობებს აღნიშნულ შედეგს, თუმცა ეს ყველაფერი შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

სამუშაო სტატუსის მიხედვით კვლევაში მიღებულ იქნა შემდეგი:

1. სახელმწიფო მოხელე - სმი - 28.38კგ/მ²;
2. არასამთავრობო სექტორში მომუშავე - 27.26კგ/მ²;
3. თვითდასაქმებული - 28.46კგ/მ²;
4. სტუდენტი - 22.85კგ/მ²;
5. დიასახლისი - 28.76კგ/მ²;
6. პენსიონერი - 30.38კგ/მ²;
7. უმუშევარი - 26.69კგ/მ²;

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, უმუშევრებს, სტუდენტებსა და პენსიონერებს აღნიშნებათ სხეულის მასის ინდექსის დაბალი მაჩვენებელი სხვა ჯგუფებთან შედარებით.

შედეგის მიხედვით ყველაზე დაბალი სმი აღნიშნათ სტუდენტებს და უმუშევრებს, რაც ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას.

ყველაზე მაღალი სმი აღმოაჩნდათ პენსიონერებს. აღნიშნული უარყოფს ჩვენს ჰიპოთეზას, თუმცა შესაძლოა მიგველო სხვადასხვა მონაცემი იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერები დაჯგუფებული იქნებოდნენ ასაკის მიხედვით. 60 წლის ადამიანს შესაძლოა აღნიშნებოდეს მაღალი სმი, მაშინ, როდესაც 80 წელს მიახლოებულ ადამიანებში სმი იკლებს. ლიტერატურის მიხედვით, სამუშაო სტატუსი პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული შემოსავალზე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელზე (ნაკადე, 2015). ანამნეზში სხვადასხვა დაავადების არსებობასა და სხეულის მასის ინდექსს შორის კავშირის მიხედვით განხილულ იქნა შემდეგი: ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნე, მომატებული ქოლესტეროლი სისხლში, მიოკარდიუმის ინფარქტი.

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, იმ ადამიანებში რომელთაც აღნიშნებათ ანამნეზში ზემოთ აღნიშნული რომელიმე დაავადების არსებობა, სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი უფრო მაღალია.

კვლევის შედეგები. იხ. ცხრილი

ცხრილი 24 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ანამნეზში დაავადებების არსებობის მიხედვით

	დიახ	არა
სიმსივნე	სმი 36.42	28
ინსულტი	33	28.03
მიოკარდიუმის ინფარქტი	35	28.11
სისხლში ქოლესტერინის მაღალ მაჩვენებელი	31	28

წყარო კვლევის მასალები

აღნიშნულმა ანალიზმა დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა. შესაბამისად საქართველოს მოსახლეობას შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია სხეულის ნორმალური მასის შენარჩუნების შესახებ მთელი ცხოვრების განმავლობაში, რადგან ამ შემთხვევაში ქვეითდება მთელი რიგი დაავადებების განვითარების რისკი.

თავი IV - რეგრესიული მოდელი

4.1 - სიმსუქნისა და ჭარბი წონის კავშირი რისკ-ფაქტორთა ჯგუფებთან რეგრესიული ანალიზის გამოყენებით

იმისათვის რომ ინფორმატიული ყოფილიყო თუ რომელი ცვლადების ცვლილებაზეა დამოკიდებული სმი ცვლილება, გამოყენებულ იქნა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი.

იგი პასუხობს შეკითხვას - ახდენს თუ არა გავლენას დამოუკიდებელი ცვლადები დამოკიდებული ცვლადის ცვლილებაზე.

მრავლობითი რეგრესიული ანალიზი ჩატარდა შემდეგ პარამეტრებზე :

სოციო - დემოგრაფიული მონაცემები:

სქესი, ასაკი, განათლება დონე, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო სტატუსი ბოლო 12 თვის მანძილზე.

გამოიყო ოჯახური მდგომარეობის 5 ჯგუფი:

1. დაუქორწინებელი, 2. ამჟამად დაქორწინებული, 3. ცალკე მცხოვრები, 4. განქორწინებული , 5. ქვრივები.

განათლების დონის მიხედვით : 1. დაწყებითი განათლება (სრული და არასრული); 2.

არასრული საშუალო; 3. სრული დაწყებითი; 4. საუნივერსიტეტო და დიპლომის შემდგომი.

სამუშაო სტატუსის მიხედვით ანალიზში მოხვდნენ: 1. სახელმწიფო მოხელე; 2.

არასამთავრობო სექტორში დასაქმებული; 3. თვითდასაქმებული; 4. არაანაზღაურებადი; 5.

სტუდენტი; 6. დიასახლისი; 7. პენსიონერი; 8. უმუშევარი

ცხრილი 25 - რეგრესიული ანალიზი - დემოგრაფიული მონაცემები სმი-თან მიმართებაში

მოდელი	არასტანდარტიზირებული კოეფიციენტი		სტანდარტიზირებული კოეფიციენტი		t	Sig.
	B	Std. Error	Beta			
1 დამოუკიდებელი ცვლადები	30.300	.230			131.839	
ასაკი_18_24	-5.693	.559	-.146		-10.185	.000
ასაკი_25_34	-3.950	.428	-.119		-9.220	.000
ასაკი_35_44	-1.658	.386	-.055		-4.293	.000
ოჯახური მდგომარეობა	-1.419	.441	-.045		-3.220	.001
განათლების დონე	-.677	.302	-.028		-2.238	.025
სქესი	-.490	.331	-.019		-1.481	.139
სამუშაო სტატუსი	-.666	.375	-.023		-1.777	.076

წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე ძლიერი კორელაცია გამოვლინდა სხეულის მასის ინდექსსა და ასაკს შორის. ეს ნიშნავს, რომ ასაკის ცვლილება აღნიშნულ ცვლადებს შორის ყველაზე დიდ გავლენას ახდენს წონაზე. კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად სხეულის მასის ინდექსი მნიშვნელოვნად იზრდება. ბეტა კოეფიციენტის აბსოლუტური რიცხვის თანახმად სმი-ს და ასაკის დამოკიდებულება საკმაოდ ძლიერია.

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ სქესი მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სხეულის მასის ინდექსის ცვლილებას და დამოკიდებულებაც ცვლადებს შორის არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. შესაბამისად, სქესთან მიმართებაში რაიმე სპეციფიური რეკომენდაციებიც არ მოიძებნა.

ოჯახური მდგომარეობაც გარკვეულწილად განსაზღვრავს სმი-ს ცვლილებას და ეს დამოკიდებულება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ტ-ტესტის შედეგების მიხედვით ყველაზე დაბალი სმი აღმოჩნდა იმ პირებში, რომლებიც არ იყვნენ დაქორწინებულნი. სმი


მატულობდა ქორწინებაში მყოფ პირებში. აქედან გამომდინარე, შესაძლოა რეკომენდაციები მიეცეს ქორწინებაში მყოფ წყვილებს კვების რეჟიმთან და ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით.

ყველაზე სუსტი კორელაცია აღმოჩნდა სმი-სა და სამუშაო სტატუსს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო სტატუსის ცვლილება მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სმი-ს ცვლილებას. ტ-ტესტის შედეგის გათვალისწინებით, ყველაზე მაღალი სმი აღმოაჩნდათ პენსიონერებს, თუმცა შესაძლოა მიგველო განსხვავებული მონაცემი პენსიონერების ასაკის მიხედვით დაჯგუფების შემთხვევაში. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ საჯარო მოსამსახურეები, დიასახლისები და თვითდასაქმებულები დაახლოებით ერთნაირი სმი-თ 28-დან 29- მდე. ყველაზე დაბალი სმი აღენიშნებოდათ სტუდენტებს და უმუშევრებს. თუმცა როგორც რეგრესიამ გვიჩვენა, სამუშაო სტატუსის ცვლილება მნიშვნელოვნად არ განაპირობებს წონის ცვლილებას.

ასევე ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ განათლების დონე ნაკლებად განსაზღვრავს სმი-ს და მხოლოდ განათლების დონე არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ადამიანი დაიცავს ჯანსაღი ცხოვრების წესს. ნებისმიერი განათლების მქონე ადამიანისათვის აუცილებელია ამ ინფორმაციის დეტალური მიწოდება.

აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა შემუშავებულ იქნას რეკომენდაციები ცხოვრების წესის შესახებ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანებს მიეცეთ რჩევა უარი თქვან მაღალკალორიულ საკვებზე. საჭიროა პრომოცია გაეწიოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას დაქორწინებულ წყვილებში, ვინაიდან რეგრესიულ ანალიზში დაფიქსირდა კორელაცია ოჯახურ მდგომარეობასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის.

ილუსტრაცია 25 - დემოგრაფიული მონაცემები და სხეულის მასის ინდექსი



წყარო - კვლევის მასალები

ქვევითი რისკ-ფაქტორებიდან ცვლადებად გაანალიზებულ იქნა : თამბაქოს მოხმარება, ყოველდღიური 10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვა, საკვების მიღების ჯერადობა დღეში, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე ბოლო 12 თვის განმავლობაში.

საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით ანალიზში შევიდა ორი ჯგუფი: 1.საკვების მიღება დღეში 1 -დან 3-მდე ; 2. საკვების მიღება დღეში ოთხჯერ და მეტად

ცხრილი 26 - სმი და ქცევითი რისკ-ფაქტორები

მოდელი	არასტანდარტიზირებული კოეფიციენტები		სტანდარტიზირებული კოეფიციენტები	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
1 დამოუკიდებელი	27.966	1.059		26.416	.000
ცვლადები					
ყოველდღიური	-.828	.405	-.035	-2.045	.041
ათწუთიანი					
ფიზიკური					
დატვირთვა					
საკვების მიღების	.260	.362	.013	.719	.472
ჯერადობა_1_3					
საკვების მიღების	1.728	.711	.042	2.429	.055
ჯერადობა_5_6					
თამბაქოს	-1.401	.406	-.063	-3.451	.001
მოხმარება					
ალკოჰოლის	.159	.216	.013	.738	.461
მოხმარება					

წყარო - კვლევის მასალები

ქცევითი ფაქტორებიდან ყველაზე ძლიერი კორელაცია გამოვლინდა სხეულის მასის ინდექსსა და თამბაქოს მოხმარებას შორის. კერძოდ, რაც მეტია თამბაქოს მოხმარება, მით უფრო დაბალია სხეულის მასის ინდექსი, თუმცა აღნიშნულზე დაყრდნობით არ შეიძლება ადამიანების წახალისება თამბაქოს მოხმარებისაკენ, ვინაიდან აღნიშნული მავნე გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე.


აღნიშნულ ანალიზში არ გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება საკვების მოხმარების სიხშირესა და სხეულის მასის ინდექსის ცვლილებას შორის. როგორც ლიტერატურული წყაროებიდან არის ცნობილი (Franko / ფრანკო, 2008), სტაბილური წონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კვების სტაბილური რეჟიმი, ყოველდღიურად ერთიდაიგივე

დროს და ერთნაირი სიხშირით, ამიტომ რეკომენდაციისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყოველდღიური, სტაბილური კვების რეჟიმი.

ძლიერი კორელაცია გამოვლინდა ყოველდღიურ 10-წუთიან ფიზიკურ დატვირთვასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის. ეს კიდევ უფრო ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ყოველდღიური ფიზიკური აქტივობის პრომოცია ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოპულაციის ჯანმრთელობისათვის.

სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება არ გამოვლინდა ალკოჰოლის მოხმარებასა და სხეულის მასის ინდექსის ცვლილებას შორის.

ილუსტრაცია 13 - ქვევითი რისკ-ფაქტორები და სმი



წყარო - კვლევის მასალები

რეკომენდაციის სახით შესაძლოა მოწოდებულ იყოს შემდეგი

1. ყოველდღიური 10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვა სხეული მასის ინდექსის ნორმალური მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით
2. კვების სტაბილური რეჟიმი (მაგ: დღეში 3-ჯერადი კვება ერთიდაიგივე დროს)
3. რაც შეეხება თამბაქოს მოხმარებას, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი უარყოფითი კორელაცია იქნა ნანახი რეგრესიული ანალიზის დროს, არ არის რეკომენდებული თამბაქოს მოხმარების პრომოცია, ვინაიდან ამას თან ახლავს ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი მთელი რიგი ფაქტორები.

ფიზიკური განზომილებებიდან განხილულ იქნა სმი-ს დამოკიდებულება თემოს გარშემოწერილობასა და გულისცემის სიხშირესთან.

მიღებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა ძლიერი დადებითი კორელაცია თემოს გარშემოწერილობასა და სმი-ს შორის. რაც მეტია თემოს გარშემოწერილობა, მით მეტია სმი, თუმცა არ აღმოჩნდა კორელაცია სმი-სა და გულის შეკუმშვათა სიხშირეს შორის.

ცხრილი 27 - სმი და ფიზიკური პარამეტრები

	არასტანდარტიზებული კოეფიციენტი		სტანდარტიზებული კოეფიციენტი	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
დამოუკიდებელი ცვლადი	24.318	1.017		23.911	.000
თემოს გარშემოწერილობა	.012	.001	.116	8.959	.000
გულისცემის სიხშირე	-.003	.020	-.003	-.125	.901

წყარო - კვლევის მასალები

